# ლიპარტელიანმა ვერცხლი დაამატა

გვ. 11



ვალერი ლიპარტელიანი (თეთრ კიმონოში)

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ლივერპულში არაფერი იცვლება, მაინც ჩამოაგდეს

გვ. 6-10

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

18 ოქტომბერი **ორშაბათი** 2010

№245 (13233) ფასი 60 თეთრი

ჭადრაკი. ევროპის საკლუბო თასი

EUROPEAN CHESS CLUB CUP PLOVDIV 2010

## მძიმედ, მაგრამ მოგებით...

გვ. 12

# მსაჯები ალყაში



სამტრედია-კოლხეთი 1:1. მატჩის შემდეგ

თომა ჩალაძის ფოტო

გვ. 2-4

# ...და აწყვეტილი ტორპედო



არჩილ გეგენავას ფოტო



## ლუკასის ქართული პასპორტი

დღეს ჰუფნაგელი და მისი თანაგუნდელები იწყებენ...

გვ. 4

ეროვნული ბიბლიოთეკა



დონალდ ჯუისმა გრიშიკაშვილს ვერ აჯობა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# სოსოს ქულა

16.10. თბილისი. მერანი (ზეემკა)
400 მაყურებელი

**სპარტაკი 0**
**დინამო 0**

| სპარტაკი | დინამო |
|---|---|
| 4-2-2 | 4-2-3-1 |
| გრიშიკაშვილი | ლორია |
| შ. კაშია | გავაშელიშვილი |
| ალავიძე | თომაშვილი |
| ბოიომო | გ. კვარაცხელია |
| ჭაფოძე | ოთარაშვილი |
| ნარიმანიძე | ედნილსონი |
| კაკაშვილი | ხმალაძე |
| შონია | ლილუაშვილი |
| ბაბულაიძე | მუჯირი |
| დეკანოიძე | კოშკაძე |
| ძაგანია | ჯუისი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ბ. კვარაცხელია | კ. კაჭარავა |

**სპარტაკი**

46. დეკანოიძე - **მამედოვი**
70. მამედოვი - **ჯაყელი**
89. კაკაშვილი - **ტეტუნაშვილი**

*სათადარიგოები: დაუშვილი, ჩალაძე, კორსანტია, კლოვისი*

**დინამო**

46. გავაშელიშვილი - **ჩადუნელი**
64. ლილუაშვილი - **მეტრეველი**
83. ჯუისი - **ლექვთაძე**

*სათადარიგოები: შეყრილაძე, ფირცხალავა, თექთურმანიძე, ქანთარია*

გაფრთხილება: ჭაფოძე (27), ბოიომო (59), ჯუისი (61)
არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

„სპარტაკმა" „დინამოს" „მერანის" სტადიონზე იმიტომ უმასპინძლა, რომ „მიხეილ მესხი" ამ დღეებში ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებს მიიღებს. თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ **ბადრი კვარაცხელიას** გუნდი საქართველოს მრავალგზის ჩემპიონებს ღირსეულად ებრძოლა და საკუთარ მოკრძალებულ აქტივს დამსახურებული ქულა შეჰმატა.

შეხვედრის პირველ ტაიმში უკეთ „სპარტაკი" გამოიყურებოდა. „დინამომ" მეტოქის კარში პირველად ზედ შესვენების წინ დაარტყა, როცა **კოშკაძის** დარტყმა **გრიშიკაშვილმა** გააუვნებლა, მანამდე კი მასპინძელთა მიერ გამოუყენებელი შესაძლებლობები იყო. პირველად **დეკანოიძეს** შეეძლო თავის გამოჩენა. მან **ნარიმანიძის** გადაცემა მიიღო, მაგრამ არცთუ ხელსაყრელ პოზიციაში მდგომმა **ლორიას** ვერ აჯობა. კიდევ უფრო ხელსაყრელი საგოლე შანსი „სპარტაკმა" ხელიდან მე-15 წუთზე გაუშვა - **ბაბულაიძე** „დინამოს" საჯარიმოში შეიჭრა და **ძაგანია** მოძებნა, რომლის დარტყმაც სტუმართა მეკარემ მოიგერია. დამატებაზე იქვე მდგომმა ნარიმანიძემ კარს ბურთი სულ ოდნავ ააცილა.

შესვენების შემდეგ **კახა კაჭარავას** გუნდმა გაცილებით უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა და თუკი პირველ ტაიმში გიორგი ლორია იყო თამაშში სისტემატურად ჩართული, მეორე ნახევარში სოსო გრიშიკაშვილს მოუხდა მთელი საკუთარი ოსტატობის გამოვლენა. აქედანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „სპარტაკის" ვეტერანმა გოლკიპერმა მატჩი უმაღლეს დონეზე ჩაატარა, თავისი გუნდის კარი არაერთხელ იხსნა და უდავოდ უნდა დავასახელოთ შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ.

გრიშიკაშვილმა მეორე ტაიმის დასაწყისში **მუჯირის** ძლიერი დარტყმა მოიგერია, ამაზე უფრო ეფექტური კი ის ეპიზოდი იყო, როცა სოსომ **ლილუაშვილის** ახლო დარტყმულზე გამოავლინა შესაშური რეაქცია. გრიშიკაშვილის შესანიშნავი თამაშით გულდაწყვეტილი დინამოელები მხოლოდ მუჯირი და ლილუაშვილი არ ყოფილან, ამათ გარდა, გრიშიკაშვილმა გოლის გატანის საშუალება არ მისცა **ედნილსონს, ჯუისსა** და **მეტრეველს**.

59-ე წუთზე კი „სპარტაკის" მხარეს იღბალი აღმოჩნდა - მუჯირის მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმა ხარიხას მოხვდა, დამატებაზე მდგომი ჯუისი კი თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდა.

88-ე წუთზე კი „სპარტაკმა" შეტევისთვის მოიცალა. **ჯაყელმა** „დინამოს" საჯარიმოში ჩაანოდა, ბურთი **ჩადუნელს** ხელზე მოხვდა, მაგრამ მსაჯის სასტვენი დუმდა. საფინალო სასტვენამდე ცოტა ხნით ადრე ლორიამ **შონიას** თავური არ გაატანინა და მატჩი აბსოლუტურად სამართლიანი შედეგით დასრულდა.

მატჩის შემდეგ კი კახა კაჭარავამ მსაჯობით უკმაყოფილება გამოთქვა. მისი თქმით, დონალდ ჯუისს გაფრთხილება შეგნებულად მისცეს, რათა მომავალ ტურში „ზესტაფონთან" თამაში გამოეტოვა; ბადრი კვარაცხელია კი მიღწეული შედეგით კმაყოფილი, ხოლო საკუთარი გუნდის თამაშის ხარისხით კი უკმაყოფილო დარჩა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

16.10. რუსთავი. ფოლადი
400 მაყურებელი

**ვიტ ჯორჯია 0**
**ოლიმპი 4**

0:1 ადამაძე (43. საკუთარკარში), 0:2 მოდებაძე (53), 0:3 დობროვოლსკი (77. მოდებაძის პასით), 0:4 მოდებაძე (90+1)

| ვიტ ჯორჯია | ოლიმპი |
|---|---|
| 3-4-2-1 | 4-4-2 |
| ძაძამია | ჭანტურია |
| ლომაია | ლონლაძე |
| ადამაძე | კვახაძე |
| კასრაძე | რეხვიაშვილი |
| ბექვაია | ჯაფარიძე |
| გურ. გურეშიძე | გ. ჭელიძე |
| კლიმიაშვილი | რაზმაძე |
| ლანიაშვილი | ბოლქვაძე |
| ლიპარტია | ძავთარაძე |
| ჯანელიძე | მოდებაძე |
| ჩიმაკაძე | ბერიაშვილი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| მ. კოჭლაშვილი | რ. მუმლაძე |

**ვიტ ჯორჯია**

46. ბექვაია - **ხურცილავა**
60. კასრაძე - **ვასაძე**
75. ჩიმაკაძე - **ზაქრაძე**

*სათადარიგოები: ა. მიქაბერიძე, გოგიაშვილი, კორიფაძე, ჭანკვეტაძე*

**ოლიმპი**

77. ჭელიძე - **დობროვოლსკი**
82. ბოლქვაძე - **ყაზაიშვილი**
88. რეხვიაშვილი - **ქემოკლიძე**

*სათადარიგოები: ბედიაშვილი, ახალკაცი.*

გაფრთხილება: ბექვაია (30), ლონლაძე (63), ლანიაშვილი (80)
არბიტრი: თ. გვანცელაძე



ირაკლი მოდებაძე

# ოლიმპიური მონდომება

...ერთი თვეც არ გასულა იმ დღიდან, „ვიტ ჯორჯიამ" საშინაო მატჩში ქუთაისის „ტორპედო" რომ დაამარცხა. იმ შეხვედრიდან მეორე დღეს კი „ტორპედოს" მწვრთნელი შეეცვალა: შვიდმატჩიანი მოუგებელი სერიის შემდეგ **რამაზ მუმლაძემ** გადადგომა არჩია. ბოლო წლების ერთ-ერთი წარმატებული ქართველი მწვრთნელის უქმობა დიდხანს არ გაგრძელებულა და რამაზ მუმლაძემ ახალ სეზონში თავის პირველ გამარჯვებას ამჯერად უკვე „ოლიმპის" თავკაცის რანგში მიაღწია. სიმბოლური იყო ის ფაქტიც, რომ მუმლაძის მეტოქე... ასევე თავისი ყოფილი გუნდი იყო, სადაც ოთხი სეზონის განმავლობაში წარმატებულად მუშაობდა. თუმცა, დღევანდელ „ვიტ ჯორჯიას" (შემადგენლობიდან გამომდინარე) ბოლო წლების მსგავსი ამბიციური მიზნები აღარ აქვს.

მართალია, გუნდი ჯერჯერობით ცხრილის ზედა ნახევარში იმყოფება, არა გვგონია, კლუბის ხელმძღვანელობას ბოლოდროინდელი შედეგები აკმაყოფილებდეს: ზედიზედ სამი ნაგება, მეტოქის კარში გატანილი... არც ერთი გოლი და საკუთარში - რვა გაშვებული! „ვიტ ჯორჯია" გუშინაც დამარცხდა, თანაც დიდი ანგარიშით და ამაში ალოგიკური არაფერია: „ოლიმპის" ფეხბურთელთა მონდომებულ-მოტივირებულ თამაშთან ერთად აშკარად თვალშისაცემი იყო „ვეტერინართა" ყოვლად უღიმღამო და უშინაარსო ქმედებები (განსაკუთრებით - მეორე ტაიმში).

საერთოდაც: შაბათის მატჩი „ვიტ ჯორჯიასათვის" ამ სეზონში ერთ-ერთი უსუსტესი საშინაო შეხვედრა გამოდგა (თუ არ ჩავთვლით „სამტრედიასთან" პირველ ტაიმს). არადა, მატჩის დასაწყისში „ვეტერინარები" მეტოქეზე მეტად აქტიურად გამოიყურებოდნენ: ჯერ, **ირაკლი კლიმიაშვილმა** დაარტყა სახიფათოდ, შემდეგ კი **ჯაბა ლიპარტია** თავის „საფირმო" დრიბლინგით მოწინააღმდეგის ხუთ (!) ფეხბურთელს გაცდა, მაგრამ ეს შეტევა პარტნიორებმა ველარ გააგრძელეს. აქვე, შემადგენლობებზეც უნდა ვთქვათ: მასპინძელთა თავკაცმა **მერაბ კოჭლაშვილმა** პირველ ტაიმში, ცოტა არ იყოს, სარისკო გადაწყვეტილება მიიღო და თავისი გუნდი 3 ცენტრალური მცველით ათამაშა.

აი, რაც შეეხება **გიგა ბექვაიასა** და **რევაზ ლანიაშვილს**, მწვრთნელის ჩანაფიქრით, ამ ფეხბურთელებს მთელი ფლანგი უნდა ეკონტროლებინათ. სამწუხაროდ, ამ ჩანაფიქრმა არ გაამართლა: „ოლიმპი" სწორედ ფლანგებიდან ცდილობდა მეტოქის შევიწროებას და ტაიმის ბოლოს მასპინძლებს ეს აქტიურობა დაუფასდათ. თუმცა, მანამდე ისიც ვთქვათ, თუ რა სიახლეები იყო რუსთაველთა გუნდში: რამაზ მუმლაძემ, წინამორბედისაგან განსხვავებით, 4-4-2 განლაგებით ათამაშა თავისი გუნდი; თანაც, რაიმე განსაკუთრებული სიურპრიზი „ოლიმპის" ძირითადში არ ყოფილა, თუ არ ჩავთვლით **გრიგოლ ჭანტურიას** გამოჩენას: 37 წლის მეკარემ სეზონში პირველი მატჩი ჩაატარა და საკუთარი მაღალი კლასი კიდევ ერთხელ დაამტკიცა. აი, დასაწყისი რომ ვახსენეთ, იმის მერე პირველ ტაიმში „ვიტ ჯორჯიამ" მხოლოდ ერთხელ შეუტია მეტოქეს, მაგრამ ირაკლი კლიმიაშვილის შორეულ დარტყმას ჭანტურიას უშეცდომო თამაში მოჰყვა.

სამაგიეროდ, რაც დრო გადიოდა, „ოლიმპი" უფრო მეტ ზეწოლას ახდენდა მოწინააღმდეგეზე და მე-16 წუთზე გოლის გატანის კარგი შანსიც ჰქონდა. თავდაპირველად, **გიორგი ბერიაშვილის** ოსტატური თამაში უნდა აღვნიშნოთ, საჯარიმოს მისადგომებიდან ბურთს მეტოქის კარის „ცხრიანში" რომ გზავნიდა, მაგრამ **გიორგი ძაძამიამ** ეფექტურ ნახტომში ბურთი კუთხურზე მოიგერია. ამ კუთხურს კი **გიორგი რეხვიაშვილის** არანაკლებ ეფექტური დარტყმა მოჰყვა, მაგრამ მასპინძლები ამ ჯერზეც გადარჩნენ. ისე როგორც იმ ეპიზოდში, როცა **დავით ბოლქვაძისა** და **გიორგი ჭელიძის** წამოწყებულ კომბინაციას **ირაკლი მოდებაძე** აგვირგვინებდა - „ოლიმპის" საუკეთესო ბომბარდირის მიერ დარტყმული ბურთი მიზანს მცირე მანძილით ასცდა. თუმცა, ამდენ შეტევას შედეგი უნდა მოეტანა და ასეც მოხდა: მასპინძელთა დაცვის მარჯვენა ფლანგი კვლავაც „ჩავარდა", საიდანაც მოდებაძემ გამჭოლი გადაცემა გაუკეთა საჯარიმოში ხელსაყრელ პოზიციაზე მყოფ ჭელიძეს, რომელიც, ფაქტობრივად, ცარიელ კარში ურტყამდა. ამ ეპიზოდში აშკარად არ გაუმართლა **გურამ ადამაძეს** - მასპინძელთა ახალგაზრდა მცველს რთულ სიტუაციაში ბურთის მოგერიება სურდა, მაგრამ „ავტოგოლი" ჩაეთვალა...

მეორე ტაიმში „ვეტერინარებმა" ტაქტიკა შეცვალეს და ოთხ მცველზე გადავიდნენ, მაგრამ ამით საერთო სურათი არ შეცვლილა: „ოლიმპის" უპირატესობა უკვე ეჭვს არ იწვევდა და სტუმართა ფეხბურთელებიც ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გადადიოდნენ მეტოქის ნახევარზე. ამასობაში, კურიოზულმა სიტუაციებმაც იმატა და ხშირ შემთხვევაში, ერთი და იმავე ფეხბურთელების შესრულებით; აი, თუნდაც ის მომენტი რად ღირდა, როცა მასპინძელთა მეკარისა და ირაკლი მოდებაძის ორთაბრძოლა იმით დამთავრდა, რომ ეს უკანასკნელი მახვილი კუთხიდან ცდილობდა დაუცველ კარში გოლის გატანას - „ვიტ ჯორჯია" გურამ ადამაძემ გადაარჩინა, რომელმაც ბურთი ცარიელი კარიდან გამოიტანა. თუმცა, ძაძამია-მოდებაძის „დუელი" ამით არ ამოწურულა: ამ შეხვედრაში უაღრესად აქტიური **თემურ ლონლაძის** ფლანგური ჩაწოდების შემდეგ, ერთი შეხედვით, ბურთი მასპინძელთა მეკარეს უნდა დარჩენოდა, მაგრამ მოდებაძემ ბოლომდე იბრძოლა და მონდომებაც დაუფასდა. ორბურთიანი უპირატესობის მოპოვების შემდეგ „ოლიმპმა" თამაშის ტემპი ოდნავ დააგდო, მაგრამ მეტოქეს არაფერი ეტყობოდა, შეხვედრის „შემოტრიალება" რომ სურდა. ეგ კი არა, მეორე ტაიმში მასპინძლებმა მხოლოდ ერთადერთხელ დაარტყეს „ოლიმპის" კარის მიმართულებით, მაგრამ **გურამ გურეშიძის** ძლიერი და ეფექტური დარტყმა არანაკლებ ჩინებულ ნახტომში გრიგოლ ჭანტურიამ მოიგერია.

...ამ შეხვედრის ბოლო ორი გოლი კი მართლაც კურიოზული გამოდგა; **დენის დობროვოლსკი** მოედანზე რამდენიმე წამის შემოსული იყო, ბურთთან პირველივე შეხება გოლით რომ დაასრულა - „ოლიმპის" ნახევარმცველმა მეტოქის საჯარიმოს მისადგომებიდან ძლიერად დაარტყა, ბურთი გზად... მართლაც უიღბლო გურამ ადამაძეს მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და რიკოშეტით დაუცველ კუთხეში აღმოჩნდა! ხოლო მაშინ, როცა უკვე მსაჯის მიერ დამატებული წუთები დაიწყო, **ალექსანდრე კვახაძემ** ყოფილი გუნდის კარის აღება შორეული დარტყმით გადაწყვიტა: „ოლიმპის" მცველი, დაახლოებით 35-40 მეტრიდან (თანაც აუტის ხაზის სიახლოვიდან) ურტყამდა, ძაძამიამ ეს ბურთი უხერხულად მოიგერია და მის წინ მყოფ მოდებაძესაც გოლის გატანა არ გასჭირვებია. სხვათა შორის, ამ შეხვედრაში შესრულებული „დუბლით" მოდებაძე საუკეთესო ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა, „ოლიმპმა" კი მეორე ადგილზე გადაინაცვლა...

**გია ტუხაშვილი**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გან | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 10 | 7 | 0 | 3 | 19 | 8 | 21 |
| 2 | ოლიმპი | 10 | 6 | 1 | 3 | 17 | 10 | 19 |
| 3 | დინამო | 10 | 5 | 3 | 2 | 12 | 7 | 18 |
| 4 | ბაია | 10 | 4 | 3 | 3 | 13 | 13 | 15 |
| 5 | კოლხეთი | 10 | 4 | 3 | 3 | 12 | 9 | 15 |
| 6 | ვიტ ჯორჯია | 10 | 4 | 1 | 5 | 10 | 16 | 13 |
| 7 | სიონი | 10 | 3 | 4 | 3 | 8 | 12 | 13 |
| 8 | ტორპედო | 10 | 2 | 4 | 4 | 6 | 8 | 10 |
| 9 | სამტრედია | 10 | 2 | 2 | 6 | 12 | 19 | 8 |
| 10 | სპარტაკი | 10 | 1 | 3 | 6 | 8 | 15 | 6 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| მოდებაძე (ოლიმპი) | 7 |
| მეგრელაძე (ბაია) | 6 |
| ლიპარტია (ვიტ ჯორჯია) | 5 |

| მომდევნო ტური | | |
|---|---|---|
| 23 ოქტომბერი, შაბათი | | |
| ზესტაფონი-დინამო თბ. | | |
| ბაია-ვიტ ჯორჯია | | |
| 24 ოქტომბერი, კვირა | | |
| ოლიმპი-ტორპედო | | |
| სამტრედია-სპარტაკი | | |
| კოლხეთი-სიონი | | |

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384.* *ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა



სამტრედიელ გულშემატკივარი მსაჯობით უკმაყოფილო დარჩა

16.10. სამტრედია. ე. მანჯგალაძე
1 500 მაყურებელი

**სამტრედია 1**
**კოლხეთი 1**

0:1 სიჭინავა (2), 1:1 კვერენჩხილაძე (65. ბაკარანაძის პასით)

| სამტრედია | კოლხეთი |
|---|---|
| 4-4-2 | 4-2-3-1 |
| ძაგანია | გ. შენგელია |
| გოგია | ჟიჟიანავა |
| თ. შალიკაშვილი | მახვილაძე |
| ბაქურაძე | ინწკირველი |
| კუპრეიშვილი | გველესიანი |
| ქებაძე | ჯიქია |
| ტყემალაძე | სიჭინავა |
| ჩოგახიძე | სილაგავა |
| პავლიაშვილი | გვალია |
| ბაკარანაძე | რ. ჯიქია |
| კვერენჩხილაძე | ციცხვაია |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| გ. სანაია | გ. შეროზია |

**სამტრედია**

46. პავლიაშვილი - **კაკალაძე**
77. კვერენჩხილაძე - **კირკიტაძე**
80. თ. შალიკაშვილი - **კირთაძე**

სათადარიგოები: *ჯინჭარაძე, ჩხიკვაძე, ფურთუხია, ი. შალიკაშვილი*

**კოლხეთი**

63. სილაგავა - **თედიაშვილი**
83. ჯიქია - **ცხვიტარია**

სათადარიგოები: *სტურუა, ლემონჯავა, ნიქარიშვილი, გულუა, ექონია*

გაფრთხილება: ციცხვაია (26), ჯიქია (27), შენგელია (40), ინწკირველი (62), ბაკარანაძე (69), სიჭინავა (80), გვალია (85)
გაძევება: სიჭინავა (80)
არბიტრი: ი. ურუშაძე

# იუბილარი პრეზიდენტი და ალყაში მოქცეული მსაჯები

## სამტრედიაში თამაზ ლაცაბიძე გაახსენდათ

შაბათს სამტრედიაში ორი ისეთი კლუბი გაეჯიბრა ერთმანეთს, რომელსაც მძიმე ფინანსური პრობლემები აწუხებს, თუმცა ამის მიუხედავად, „კოლხეთმაც" და „სამტრედიამაც" დაამტკიცეს, რომ უფულოდაც შეუძლიათ ჯიგრიანი თამაში და ეს მათ მიერ ჩატარებულმა პირველმა წრემაც გამოაჩინა. ამიტომაც იყო, „ეროსი მანჯგალაძეზე" დაძაბულ და საინტერესო თამაშს რომ ელოდნენ. ასეც მოხდა, ელიტლიგაში წელს დაბრუნებულმა გუნდებმა ისეთი თამაში გააჩაღეს, ქომაგისთვის მოწყენის საშუალება არ მიუციათ. რაც ყველაზე დასაფასებელია, მოედანზე მყოფთაგან ვერც ერთს შეამჩნევდი, მხოლოდ ერთი თვის ხელფასი იმ დღეს რომ დაურიგეს (ეს ფული რომ არა, „კოლხეთი" სამტრედიაში დუბლშემადგენლობით ჩავიდოდა, ძირითადი გუნდის გამგზავრება მხოლოდ 13 საათზე გადაწყდა)...

პირველივე წუთებიდან ფიცხელი ბრძოლა გაჩაღდა და მეორე წუთზე ანგარიში უკვე 1:0 იყო. კოლხთა მე-9 ნომერმა მას შემდეგ გაიტანა, რაც საჯარიმოდან ბურთის ამოტანა სამტრედიელმა მცველებმა ზედიზედ ორჯერ ვერ მოახერხეს და საჯარიმოში მყოფმა სიჭინავამ **ძაგანიას** შორეულ დაბალ კუთხეში აულებელი დაურტყა - 1:0.

სამიოდ წუთში უკვე „კოლხეთი" მეკარე **შენგელიამ** აშკარა გოლისგან იხსნა; მე-13 წუთზე **პავლიაშვილმა** ჩაანოდა საჯარიმოში და **კვერენჩხილაძის** თავური ცოტათი ასცდა სტუმართა კარს; ორიოდ წუთში **ტყემალაძემ** კარგი დრიბლინგი განახორციელა, თუმცა მისი დარტყმული შენგელიას იოლი ნადავლი გახდა.

ამის შემდეგ ხიფათს ძირითადად სტუმრები ქმნიდნენ და შეტევაში უფრო რომ ეაქტიურათ, შესვენებაზე მინიმუმ ორბურთიანი სხვაობით გავიდოდნენ. ისედაც თითქოს კოლხებს მატჩის მიმდინარეობა ცუდს არაფერს უქადდა, თუმცა მეორე ტაიმში სტუმრებმა დაცვაზე გადაიტანეს ყურადღება. ამის საშუალებას თითქოს მათ ანგარიშიც აძლევდათ, მაგრამ „კოლხეთს" მშვიდად ყოფნის „ფუფუნება" მასპინძლებმა მეორე ნახევარში უკვე აღარ მისცეს. ვითარების შესაბამისად, „სამტრედია" უტევდა, თუმცა „კოლხეთი" მწვავე კონტრშეტევებით ველარ გამოირჩეოდა. იყო პერიოდი, როცა ორივე გუნდმა დაკარგა ცენტრი და ყველაფერი რომელიმე მათგანის შეცდომაზე უფრო იყო დამოკიდებული.

ეს შეცდომა კი ფოთელთა დაცვამ დაუშვა, როცა **ბაკარანძემ** კვერენჩხილაძეს გადააწოდა, იმერელთა ფორვარდმა კი ერთი შეხებით გადაგზავნა ბურთი შენგელიას (წინ იყო გამოსული) კარში - 1:1.

ეს 65-ე წუთზე მოხდა, თუმცა მანამდეც შეეძლოთ სამტრედიელებს გატანა - ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა **ქებაძემ** შორიდან გაისროლა ბურთი; ათ წუთში იმერლებმა ორჯერ მოითხოვეს პენალტი, მაგრამ **ირაკლი ურუშაძემ** მათ მოთხოვნას ყური არ უგდო. აქვე გეტყვით, რომ არბიტრი მანამდეც და შემდეგაც მოექცა ყურადღების ცენტრში - პირველად ეს წინა ტაიმის შუაში მოხდა, როცა სიმულაცია-შედავების გამო ზედიზედ გააფრთხილა კოლხები: **ციცხვაია** და ჯიქია. ამას სტუმართა მხრიდან მწვავე პროტესტი მოჰყვა - მათ მიაჩნდათ, რომ სიმულაციას ადგილი არ ჰქონია და კოლხთა წინახაზელებს მასპინძლები ორჯერვე დარღვევით ეთამაშნენ. პირველივე ტაიმში ჯიქია ერთ-ერთ მასპინძელს ეუხეშა, თუმცა არბიტრმა ის აშკარად დაინდო.

გოლიდან სადღაც ხუთ წუთში სამტრედიელები უკვე მესამედ ითხოვდნენ 11-მეტრიანს, როცა შეცვლაზე შესული **კაკალაძე** ურტყამდა (ისევ ხელით თამაშის დაფიქსირებას ითხოვდნენ), მაგრამ იქვე **თორნიკე შალიკაშვილმა** კარისკენ ისეთი დაარტყა, მატჩის მთავარ ინტრიგად დარჩა - გადაკვეთა თუ არა ბურთმა კარის ხაზი? რაც ჩვენ დავინახეთ, ის იყო, რომ შენგელიას ნახტომმა კოლხებს ვერ უშველა, ხარიხიდან ბურთი კარის ხაზის მიდამოებში სტუმართა მეკარის უკან დაეცა, თუმცა ისიც სათქმელია, რომ მეკარე ხაზიდან ცოტათი წინ იყო. ამის მიუხედავად, იმის მტკიცებაც არ შეგვიძლია, რომ ბურთმა კარის ხაზი არ გადაკვეთა. ამას ყველაზე უკეთ ლაინსმენი დაინახავდა, მან კი მასპინძელთათვის არასასურველი გადაწყვეტილება მიიღო და ჩათვალა, რომ ბურთს კარის ხაზი არ გადაუკვეთავს.

ამის შემდეგ გუნდებმა თითოჯერ შეანუხეს ერთმანეთი, თუმცა მანამდე ისიც იყო, რომ კოლხმა მცველებმა ორი ურთულესი დარტყმა თავის თავზე აიღეს და საკუთარი მეკარე აშკარა ხიფათს ზედიზედ ააცილეს.

ერთი საინტერესო მომენტიც, რომელიც ჩვენთვის და, სხვათა შორის, სტუმრებისთვისაც გაუგებარი გახდა, ისევ მსაჯის გადაწყვეტილება გახლდათ: მე-80 წუთზე **ბესიკ შეროზიამ** თამაშში ტრადიციულად **გულუას** ჩართვა განიზრახა, თან ამით მცირე დროსაც მოიგებდა. როგორც ხდება ხოლმე, **სიჭინავამ** გასვლისას არ იჩქარა, მან მსაჯის მოწოდების შემდეგაც არ აუჩქარა და ურუშაძისგან ერთდროულად ყვითელ-წითელი ბარათების „კომპლექტი" მიიღო. არადა, გოლის ავტორი გაფრთხილებული არ ყოფილა. შესაძლოა, ნამებში მსაჯის გამოლანძღვაც მოასწრო, თორემ სხვანაირად გაუგებარია, როგორ მიიღო ერთი ყვითელი ბარათის შემდეგ უმალ წითელიც...

ამის კითხვა თავად არბიტრისთვის გვსურდა, მაგრამ ურუშაძე და კომპანია ადგილობრივმა ფანებმა თითქმის 40 წუთის განმავლობაში, ფაქტობრივად, ალყაში (სამსაჯოში) მოაქციეს. ქომაგებმა ორივე შესასვლელიდან სცადეს მათთან შეღწევა, მაგრამ ვერ მოახერხეს და ამაში ლომის წვლილი მასპინძელთა პრეზიდენტ **ზაზა ადეიშვილს** მიუძღვის - მან ძლივს შეძლო ქომაგების დაშოშმინება მოსალოდნელი დისკვალიფიკაციის საფრთხის შეხსენებით. არადა, სამტრედიელმა ქომაგებმა **თამაზ ლაცაბიძის** სამტრედიული ცემაც გაიხსენეს და მთელი 40 წუთი იქადნებოდნენ, ამათ ჭკუა უნდა ვასწავლოთო. რამდენიმე ქომაგმა მატჩის დირექტორ **ვახტანგ ქორიძესთან** შეღწევა კი მოახერხა და საკმაოდ არაკორექტულადაც ესაუბრა, მაგრამ ბოლოს ბოდიშიც მოუხადეს, ოღონდ, ფედერაციაში დააბარეს - რას გვერჩიან ეს მსაჯები, თუ ჩვენი გაგდება გინდათ, ეგეც გვითხარითო...

ჰო, ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ „კოლხეთის" პრეზიდენტ **თემურ ბარქაიას** შაბათს დაბადების დღე ჰქონდა, რასაც „ლელო" გულწრფელად ულოცავს. ნამატჩევს გვითხრა, მოგება კი მინდოდა, მაგრამ ფრეზეც ყაბულს ვარო. თავის მხრივ კი, იუბილარმა პრეზიდენტმა შაბათსვე თავის ფეხბურთელებს ასე ნანატრი ერთი თვის ხელფასი დაურიგა. ეს ფული რომ არა, „კოლხეთი" სამტრედიაში დუბლშემადგენლობით ჩამოვიდოდა და ზემონახსენები ინტრიგაც აღარ იქნებოდა.

**თომა ჩალაძე**
სამტრედიიდან

17.10. ბოლნისი. თ. სტეფანია
500 მაყურებელი

**სიონი 1**
**ბაია 3**

1:0 მელქაძე (36), 1:1 რიგვავა (56), 1:2 დიდავა (80-საკ. კარში), 1:3 რიგვავა (86. რ. ონიანის პასით)

| სიონი | ბაია |
|---|---|
| 4-4-1-1 | 4-4-1-1 |
| ბოგლიაშვილი | ზარქუა |
| კობაური | კანდელაკი |
| ლ. ჭელიძე | რ. ონიანი |
| ორბელაძე | ლ. აკობია |
| თარბაგაძე | თ. აკობია |
| ქურასბედიანი | რიგვავა |
| წოხაძე | შ. ლომია |
| დიდავა | მალიჩავა |
| ვაშაკიძე | წურწუმია |
| გ. მელქაძე | ეხვაია |
| გოცირიძე | კუკავა |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| გ. ყიფიანი | ე. ქობეთიანი |

**სიონი**

64. ვაშაკიძე - **ნემსაძე**
73. გოცირიძე - **ბობოხიძე**
80. ქურასბედიანი - **ისიანი**

სათადარიგოები: *მერლანი, სანიკიძე, ჩივაძე, გ. თოდუა*

**ბაია**

57. კუკავა - **ჩანგელია**

სათადარიგოები: *ჯომიდავა, ბ. გვილია, მაქაცარია, კალანდაძე, კ. ახალაია. ლ. ქანთარია*

გაფრთხილება: კობაური (14), ქურასბედიანი (47), რიგვავა (62)
არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

# ზუგდიდელი ტალანტების პრეზენტაცია

ზუგდიდის „ბაიამ" ბოლნისში „სიონთან" დაადასტურა, რომ ფეხბურთი საქართველოშიც ამოუცნობი და არაპროგნოზირებადია. **ელგუჯა ქომეთიანისა** და **ოთარ გაბელიას** გაწვრთნილი გუნდი ბოლნისში სეკვესტრირებული შემადგენლობით გამოცხადდა. ფინანსური გაჭირვების გამო სტუმრებს გამოცდილი ფეხბურთელები არ ახლდნენ.

სტუმართა მწვრთნელი და კონსულტანტი იძულებული იყვნენ, მათ ნაცვლად დუბლები და სათადარიგოთა სკამზე მჯდომი ფეხბურთელები დაეყენებინათ - ზოგი ჭირი მარგებელიაო და, თავისდაუნებურად, ზუგდიდელებმა ბოლნისში „ბაიას" ნიჭიერი თაობის პრეზენტაცია მოაწყვეს და დამაჯერებლად გაიმარჯვეს.

არადა, მატჩის დასაწყისში „ბაიას" გამარჯვება წარმოუდგენელი ჩანდა. სტუმართა მცველებს მასპინძლების აქტიური და მწვავე შეტევების შეჩერება უჭირდათ: მე-7 წუთზე **გიორგი მელქაძის** საჯარიმო დარტყმის შემდეგ მეკარე **თორნიკე ზარქუამ** ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა და „ბაია" გოლისგან იხსნა.

ეფექტური „მაკრატელათი" ცდილობდა „სიონის" მორიგი იერიშის დაგვირგვინებას **ლაშა ვაშაკიძე**. თუმცა შეტევებით გართულ მასპინძლებს რამდენიმე მწვავე კონტრშეტევა გამოეპარათ: 25-ე წუთზე დიაგონალური გადაცემით მეკარესთან პირისპირ **ლევან წურწუმია** დარჩა, რომელსაც **მინდია ბობლიაშვილმა** აჯობა, დამატებაზე კი **დათა რიგვავამ** კარს ოდნავ ააცილა.

გოლი 36-ე წუთზე გავიდა: მელქაძის საჯარიმო დარტყმის შემდეგ ბურთმა უცნაური ტრაექტორია მოხაზა, მიმართულება შეიცვალა და ზარქუასგან ახლო კუთხეში გავიდა - 1:0. „ჯაბულანი" რომ ყოფილიყო, ბურთის მომგონს შეუკურთხებდნენ, მაგრამ ამ შემთხვევაში მელქაძემ ძალიან კარგად დაარტყა და ბურთის უცნაურობანი არაფერ შუაში იყო.

მეორე ტაიმში მასპინძლები მოედანზე დამშვიდებულები გავიდნენ და აშკარად იგრძნობოდა, მოგებაში ეჭვი არ ეპარებოდათ. თუმცა გამოცდილი ფეხბურთელების არყოფნაში, ზუგდიდელი ახალგაზრდები მწვრთნელებს იმას უმტკიცებდნენ, რომ ძირითადში მოხვედრას იმსახურებდნენ. „სიონს" ბურთის გაგორების საშუალებას არ ძლევდნენ, მოედნის ცენტრში კარგად მუშაობდა **ირაკლი მალიჩავა**, მასპინძლები ფლანგებზეც (მარჯვნივ რიგვავა და მარცხნივ წურწუმია) აიკლეს და 56-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრეს: შორეული დიაგონალური გადაცემით, მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში დათა რიგვავა შეიჭრა, სისწრაფი ხარჯზე ორი მცველი ჩამოიტოვა და შორეულ კუთხეში ზუსტად დაარტყა - 1:1. გოლმა მეკარე ბობლიაშვილი გაამწარა და ლაინსმენს თამაშგარეს დაფიქსირებას სთხოვდა, თუმცა უშედეგოდ.

ბოლნისელებმა ჩავარდნა არ შეიმჩნიეს და თამაში ისე გააგრძელეს, თითქოს არაფერი მომხდარა. არადა, ხდებოდა და ვერ ამჩნევდნენ. ზუგდიდელები კონტრშეტევებს სწრაფად და მწვავედ ახორციელებდნენ. მასპინძლები მხოლოდ მეორე გაშვებულმა გოლმა გამოაფხიზლა: ირაკლი მალიჩავას საჯარიმო დარტყმის მოგერიებისას **გივი დიდავამ** ბურთი თავით ცუდად მოიგერია და საკუთარ კარში ჩაჭრა - 1:2.

შეტევებით გართულ ბოლნისელებს მორიგი კონტრშეტევა 86-ე წუთზე გამოეპარათ: **როინ ონიანის** მშვენიერი გადაცემით კარის წინ მარტო დარჩენილმა რიგვავამ ისარგებლა და უმაღლეს ლიგაში დებიუტი დუბლით აღნიშნა და სტუმრებს სენსაციური გამარჯვება მოუტანა - 1:3.

„სიონის" მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი ყიფშიძემ** სამართლიანად ბრძანა - პირველ გოლზე პრეტენზია კი გვქონდა, მაგრამ საბოლოო ჯამში სტუმრებმა დამსახურებულად მოიგესო: „ბიჭებს ვაფრთხილებდით, ზუგდიდელების ფინანსური პრობლემები არ ნიშნავდა, რომ იოლად მოვიგებდით. მაგალითად „კოლხეთის" „ოლიმპთან" და „სამტრედიის" „ტორპედოსთან" გამარჯვებებიც იკმარებდა. გაფრთხილების მიუხედავად, ეტყობა, მეტოქე ვერ შეაფასეს და დავისაჯეთ".

**მერაბ მამულაშვილი**
ბოლნისი-თბილისი

ვეტერანთა ტურნირი

# მოსკოვში ჯანაშიას თბილისომ გაიღვიძა

მოსკოვში მიმდინარე მოყვარულთა ტურნირში ქართველებმა გვიან გაიღვიძეს. ფეხბურთის მოყვარულთა ლიგის პირველ ეტაპზე **ზაზა ჯანაშიას** გუნდმა „თბილისომ" (**ახრიკ ცვეიბა, დავით ჩალაძე** და **მიხეილ აშვეთია**) ყველა შეხვედრა წააგო და B დივიზიონში დაქვეითდა.



ზაზა ჯანაშია

გაცილებით წარმატებულად გამოვიდა გუნდი ერთდღიანი ტურნირების მეორე ეტაპზე, რომელიც 16 ოქტომბერს გაიმართა. მოსკოვის „სპარტაკის" დახურულ მანეჟში ქართველებმა კლასი გაიხსენეს, ფინალში „ტრი კიტა" 2:0 დაამარცხეს, 8 ქულა დაგროვეს და ჯგუფში გამარჯვებით კვლავ უმაღლეს დივიზიონს დაუბრუნდნენ.

**მერაბ მამულაშვილი**



არჩილ გეგენავას ფოტო

17.10. ქუთაისი. ცენტრალური
5000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ტორპედო | 1 |
| ზესტაფონი | 0 |

1:0 გიგაური (28)

| ტორპედო 4-4-1-1 | ზესტაფონი 4-4-2 |
|---|---|
| მიგინეიშვილი | რ. კვასხვაძე |
| ფოფხაძე | ბენაშვილი |
| ფარულავა | ხიდეშელი |
| ს. თოდუა | გ. ონიანი |
| ჩიკვილაძე | ელიავა |
| დათუნაიშვილი | დაუშვილი |
| მ. გიგაური | ძარია |
| დილმელაშვილი | აფციაური |
| თარხნიშვილი | გრიგალაშვილი |
| საბანაძე | გელაშვილი |
| ვ. კვარაცხელია | დვალი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| გ. გიგატაძე | გ. გეგუჩაძე |

**ტორპედო**

41. ვ. კვარაცხელია - **კემუხტაშვილი**
65. თარხნიშვილი - **გ. ჩხეტიანი**
78. მ. გიგაური - **ლომაშვილი**

*სათადარიგოები: ქვილითაია, ნ. კვასხვაძე, მაჭავარიანი, გურული*

**ზესტაფონი**

58. ძარია - **ალადაშვილი**
77. ბენაშვილი - **წინამძღვრიშვილი**
77. დაუშვილი - **ბაბუნაშვილი**

*სათადარიგოები: მამალაძე, მაკარიანი, გორგიაშვილი, ფიფია*

გაფრთხილება: კვარაცხელია (31), ძარია (48), ხიდეშელი (86)

არბიტრი: ლ. სილაგავა

# ტორპედომ აიწყვიტა

„ლელოს“ წინასამატჩო მიმოხილვაში ვწერდით, რომ მეორე წრის სასტარტო ტური იმერულ დერბის უნდა დაემშვენებინა და არც შევმცდარვართ - ქუთაისურმა შეხვედრამ მოლოდინი სრულებით გაამართლა და გუნდებმა ისეთი ჯიგრიანი და სანახაობრივი ფეხბურთი გააჩაღეს, ქართულ პირველობას რომ ესოდენ აკლია. სტადიონზე მისულმა თუ ტელეეკრანებთან მოკალათებულმა მაყურებელმა საკმაოდ საინტერესო და დაძაბული შეხვედრა იხილა.

**გია გიგატაძის** მიერ დამოძღვრილი „ტორპედო“ აშკარა პროგრესის გზას ადგას. აქამდე, საკუთარ მოედანზე გამართულ ოთხ მატჩში რიონისპირელებს მოგება არ ჰქონდათ და „ზესტაფონის“ დამარცხებით ნავსიც გატეხეს. არადა, ფეროელები ქუთაისს ლიდერისა და ფავორიტის სტატუსით ეწვივნენ. **გია გეგუჩაძემ** შემტევი ტაქტიკა აირჩია. ქუთაისელთა დამრიგებელმა კი ძირითად ძალებს მოედნის ცენტრში მოუყარა თავი, ხოლო წინ ეულად გაამწესა **ვახტანგ კვარაცხელია**, რომელსაც ოდნავ უკნიდან ახალგაზრდა **ნიკა საბანაძე** ეხმარებოდა. ეს უკანასკნელი ერთ-ერთი საუკეთესო იყო ტორპედოელთა რიგებში და კვარაცხელიასთან ერთად, მისი შეცვლის შემდეგ კი **კემუხტაშვილთან,** ზესტაფონელებს ბევრ პრობლემას უქმნიდა.

სასარგებლოდ ირჯებოდა ქუთაისელთა მარცხენაფლანგელი **თორნიკე თარხნიშვილიც,** რომლის მწვავე გარღვევებს ზესტაფონელები ხშირად წესების დარღვევით აჩერებდნენ. 28-ე წუთზე სწორედ მისი ნაქცევისთვის დანიშნულ ჯარიმას მოჰყვა **გიგაურის** საგოლე დარტყმა, რომელმაც, როგორც ალმოჩნდა, მატჩის ბედიც გადაწყვიტა, თუმცა ამაზე ქვემოთ...

ზესტაფონელები მცირე ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ მასპინძლები მოედნის თითოეულ გოჯზე თავგამოდებით იბრძოდნენ და მეტოქეს სივრცეებს უზღუდავდნენ. თავდაპირველად ორივე გუნდმა „სტანდარტულებიდან“ გაამწვავა ვითარება. **თოდუასთან** ორთაბრძოლაში **გელაშვილი** წაიქცა და პენალტს ითხოვდა, მაგრამ არბიტრმა **ლაშა სილაგავამ** სხვაგვარად განსაჯა.

მე-11 წუთზე ზესტაფონელებს ანგარიშის გახსნა შეეძლოთ. ფეროელთაგან ყველაზე აქტიურმა გელაშვილმა სპრინტერული თვისებები გამოავლინა, სამ მცველს დაუსხლტა და მეკარეს ახლო კუთხეში დაურტყა, თუმცა მასპინძლები ძელმა იხსნა.

ტორპედოელები არ დაბნეულან და ზესტაფონელებს რამდენჯერმე მწვავე კონტრშეტევით უპასუხეს, თუმცა საგოლე მდგომარეობამდე საქმე არ მისულა. ანგარიში 28-ე წუთზე გაიხსნა - მარცხენა ფლანგზე თარხნიშვილის მორიგ აქტიურობას ზესტაფონელთა კარის მიმართულებით საჯარიმო დარტყმა მოჰყვა, **დილმელაშვილმა** მეკარის ბაქანთან მაღალი ბურთი ჩააგდო, მცველებმა შეძლეს მისი მოგერიება, მაგრამ პირდაპირ **გიგაურს** „დააჯდა“ ფეხზე და შორიდან დაუშვებლად დარტყმული ბურთი ზესტაფონელთა კარის ბადეში ალმოჩნდა -1:0.

შესვენების შემდეგ მასპინძლებმა შეგნებულად დათმეს უპირატესობა და თავად კონტრშეტევებზე გააკეთეს აქცენტი. ამ ტაქტიკამ გაამართლა. ფეროელები ბურთს აკონტროლებდნენ და გაცილებით მეტს უტევდნენ ვიდრე მასპინძლები, თუმცა საგოლე მომენტები ორივე გუნდმა თითქმის თანაბრად შექმნა. 48-ე წუთზე კემუხტაშვილი გაექცა მეურვეებს და კარშიც დაარტყა, მაგრამ **კვასხვაძე** ფხიზლად დაუხვდა ბურთს. 56-ე წუთზე კი სტუმრები აშკარა გოლს გადაურჩნენ - მცველების გარემოცვაში მყოფმა საბანაძემ საჯარიმოს გარედან შემობრუნებით დაარტყა, კვასხვაძე უძლური იყო, მაგრამ სტუმრები ხარიხამ გადაარჩინა.

გეგუჩაძემ შეცვლებით სცადა მდგომარეობის გამოსწორება და მოედანზე ჯერ **ალადაშვილი,** მოგვიანებით კი **წინამძღვრიშვილი** და **ბაბუნაშვილი** გამოიყვანა. ალადაშვილი კარგად ჩაერთო თამაშში. 68-ე წუთზე მის მიერ მარჯვნიდან ჩაწოდებულ ბურთს მცველებისგან უყურადღებოდ მიტოვებულმა გელაშვილმა თავური დარტყმა მიაყოლა და ოდნავ ააცილა. ამას **ელიავას** სახიფათო დარტყმა მოჰყვა. ორიოდე წუთი და იმავე ალადაშვილის ფლანგური ჩაწოდების შემდეგ დვალმა „მაკრატელა“ დაარტყა და ბურთი მცველებმა მოიგერიეს. მალე ისევ ალადაშვილის სახიფათო საჯარიმო დარტყმა კი მეკარე **მიგინეიშვილმა** მოიგერია.

უქმად ქუთათურებიც არ ყოფილან. საბანაძე და კემუხტაშვილი ხშირად აწუხებდნენ მეტოქეს. კარგად ერთვებოდნენ შეტევებში **ჩიკვილაძე** და **დილმელაშვილი,** თუმცა მათ მცდელობას რაიმე განსაკუთრებული ხიფათი არ მოჰყოლია.

თამაშის მიწურულს სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა. 78-ე წუთზე დვალი თავისუფალი პოზიციიდან ურტყამდა, მაგრამ უზუსტოდ მოუვიდა. ამას ზესტაფონელთა მხრიდან უხეში თამაში მოჰყვა, რამაც ქუთაისელი ფანები გააბრაზა და ერთ-ერთმა ვაიგულშემატკივარმა მოედანზე ბოთლი ისროლა, თუმცა წესრიგის დამრღვევი სტადიონის დაცვამ მალევე „დააშოშმინა“ და ინციდენტს გართულება აღარ მოჰყოლია.

87-ე წუთზე გელაშვილმა, რომელიც მეორე ტაიმში ძირითადად მარცხენა ფრთაზე მოქმედებდა, ფლანგზე გაილალა და დვალს თავზე დაასვა ბურთი, თუმცა ჯაბას თავური სამიზნეს ოდნავ ასცდა და ზესტაფონელებმა ქულის გადარჩენის ბოლო შანსიც ხელიდან გაუშვეს.

**მატჩის შემდეგ**

**გია გეგუჩაძე (ზესტაფონი):** „ქუთაისში ნამდვილი საფეხბურთო ზეიმი იყო. სავსე ტრიბუნები და მხურვალე გულშემატკივრობა. თამაშიც საკმაოდ საინტერესო და დაძაბული გამოვიდა. სახიფათო მომენტებითა და გააზრებული კომბინაციებით. უპირატესობას ვფლობდით, ანგარიშის გათანაბრებაც შეგვეძლო, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. სამწუხაროა, რომ დავმარცხდით, მაგრამ წინ მთელი ჩემპიონატია და დღევანდელ შეცდომებს მომავალი მატჩებისთვის გავითვალისწინებთ“.

**გია გიგატაძე (ტორპედო):** „მადლობა მინდა ვუთხრა ბიჭებს თავდადებული თამაშისთვის. „ზესტაფონი“ საქართველოში საუკეთესო გუნდია და ჩვენ მისი დამარცხება მოვახერხეთ“.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

U 17. ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კობა ჟორჟიკაშვილი: ელიტრაუნდისთვის ვიბრძოლებთ!

## ლუკას ჰუფნაგელმა ქართული პასპორტი წარადგინა

### დღეიდან თბილისში დიდი ფეხბურთი პატარების შესრულებით

**18 ოქტომბრიდან 23-ის ჩათვლით საქართველო 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპს უმასპინძლებს. ჩვენი გუნდის გარდა, თბილისში ურთიერთობას გაარკვევენ ინგლისის, შვედეთისა და პოლონეთის ჭაბუკთა გუნდები. სწორედ ამას მიეძღვნა გუშინდელი პრესკონფერენცია, რომელსაც უეფას მედიაოფიცერი მამუკა კვარაცხელია უძღვებოდა. მან მეტოქე გუნდების მწვრთნელები წარმოგვიდგინა. თავდაპირველად კითხვებს კობა ჟორჟიკაშვილმა და პოლონეთის 17-წლამდელთა ნაკრების თავკაცმა მარცინ დორნამ უპასუხეს.**

**- გუნდის მომზადების დონით რამდენად კმაყოფილი ხართ. რამდენი ამხანაგური მატჩი ჩაატარეთ და გყავთ თუ არა სრული საბრძოლო შემადგენლობა?**

კობა ჟორჟიკაშვილი: - სულ 14 ამხანაგური მატჩი გავმართეთ. სანაკრებო დონეზე პალანგის ტურნირზე ვიასპარეზეთ, სადაც მეორე ადგილი დავიკავეთ. ასევე 2-2 საკონტროლო მატჩი გავმართეთ ირანთან და სომხეთთან. ვიასპარეზეთ იბიცას საერთაშორისო ტურნირზე. ვფიქრობ, შესარჩევი ციკლისთვის მოსამზადებლად ეს საკონტროლო შეხვედრები მაქსიმალურად გამოვიყენეთ. შესარჩევი ციკლი კარს მოგვადგა და ელიტრაუნდში გასვლისთვის ვიბრძოლებთ.

მარცინ დორნა: - თბილისში ჩამოსვლამდე 24 ამხანაგური მატჩი ჩავატარეთ. ტრავმებმა ჩვენ შეგვიშალა ხელი, მაგრამ ვთვლი, რომ ამ ასაკში საუკეთესო შემადგენლობა შევკრიბეთ.

**- ელიტრაუნდში გასვლის შანსებს როგორ აფასებთ? ვინ მიგაჩნიათ ფავორიტად?**

კ. ჟ.: - ჩემი აზრით, ამ ასაკში ჯგუფიდან გასვლისთვის ბრძოლაში, ყველა გუნდს თანაბარი შანსი აქვს. მეტოქეებიდან ინგლისს გამოვარჩევდი. ვფიქრობ, ინგლისელებს სხვებზე კარგი გუნდი ჰყავთ.

მ. დ.: - ფავორიტი ალბათ ინგლისია. დანარჩენ სამ გუნდს კი თანაბარი შანსი გვაქვს.

**- საქართველოს ნაკრების რომელი მატჩი ნახეთ და რა წარმოდგენა გაქვთ მასპინძელთა გუნდზე?**

მ. დ.: - საქართველოს ნაკრების არც ერთი მატჩი სრულად არ მინახავს. მასპინძელთა გუნდის მიერ პალანგის ტურნირზე ჩატარებული თამაშების ფრაგმენტები ვნახე. ჩემს წარმოდგენაში საქართველო ტექნიკური გუნდია, ჩამოყალიბებული, მტკიცე ხასიათით...

### ჯერ ინგლისი, მერე საქართველო...

**ჟორჟიკაშვილისა და დორნარის შემდეგ კითხვებით შვედეთისა და ინგლისის ჭაბუკთა ნაკრებების მთავარ მწვრთნელებს, შესაბამისად, როლანდ ლარსონსა და ჯონ პიკოკს მივმართეთ.**

**- შესარჩევს ჩრდილოური დერბით იწყებთ. რამდენად იცნობთ მეტოქეს და როგორ აფასებთ შანსებს?**

როლანდ ლარსონი: - ჩვენ უკვე ვეთამაშეთ ინგლისს „ნორდ ქაფზე“ და ფინალში წავაგეთ. თუმცა მას მერე ინგლისის ნაკრებს 4-5 ახალი ფეხბურთელი დაემატა და ვფიქრობ, ეს გუნდი ჯგუფის ფავორიტია.

ჯონ პიკოკი: - შვედეთს 2:1 მოვუგეთ, მაგრამ მას მერე ეს გუნდი კიდევ გაძლიერდა. ვფიქრობ, თბილისში ოთხივე გუნდს მძიმე კვირა გველის. ფეხბურთში გამართლებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

**- თუ გყავთ გუნდში ფეხბურთელები, რომლებიც კლუბში მთავარ გუნდთან მიახლოებული არიან?**

ჯ. პ.: - ჯერჯერობით ასეთი არავინ არის. თუმცა გამორჩეული ფეხბურთელები მრავლად გვყავს. მათ მალე შეუძლიათ მთავარ გუნდში მოხვედრა და ყველაფერი მათზეა დამოკიდებული.

**- თქვენს ქვეყანაში ყველა ასაკობრივი ნაკრები ეროვნულის ტაქტიკით თამაშობს?**

ჯ. პ.: - 17-წლამდელთა ასაკში ეს აუცილებელი პირობა არ არის. ჩვენთან ახალგაზრდული გუნდები 4-3-3 სქემით თამაშობენ.

რ. ლ.: - ჩემს ინგლისელ კოლეგას ვეთანხმები. ჭაბუკთა ასაკში სხვადასხვა ტაქტიკით ვთამაშობთ. მთავარია, ფეხბურთელებს ტაქტიკური განათლება ჰქონდეთ.

**- ფავორიტი ინგლისიაო, ბრძანეთ. რანგირებით მომდევნოდ რომელ გუნდს დაასახელებდით?**

რ. ლ.: - ვფიქრობ საქართველო.

**- რა იცით საქართველოს ნაკრებზე?**

რ. ლ.: - მასპინძელთა გუნდზე ძალიან მწირ ინფორმაციას ვფლობთ. ის გვაიმედებს, რომ სასტარტ ტურში ინგლისს ვეთამაშებით, რომელსაც კარგად ვიცნობთ. მეორე მატჩამდე დანარჩენ მეტოქეებს შევისწავლით.

### ლუკას ჰუფნაგელი: მეამაყება, რომ ქართველი გავხდი



ლუკას ჰუფნაგელი

მწვრთნელების შემდეგ ჩვენი 17-წლამდელთა ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ ახალგაზრდული გუნდის ნახევარმცველ **ლუკას ჰუფნაგელს** საჯაროდ გადასცეს პირადობის მოწმობა და საქართველოს მოქალაქის პასპორტი. ლუკასი, რომელიც მხოლოდ დედით (**ფიქრია აფციაური** - ავტ.) არის ქართველი, ემოციებს ვერ მალავდა:

*„მეამაყება, რომ ქართველი გავხდი. დედაჩემი ქართველია და გადავწყვიტე, ამ ქვეყნის ნაკრებში ვითამაშო. საქართველოს ნაკრებთან ერთად იბისასა და პალანგის ტურნირებზე ვითამაშე. კარგი გუნდი გვყავს. შესარჩევს ვმასპინძლობთ და ელიტრაუნდში გასვლისთვის უნდა ვიბრძოლოთ“.*

**კალენდარი**

**18 ოქტომბერი**

პოლონეთი-საქართველო
15:00, ბ. პაიჭაძე

ინგლისი-შვედეთი
15:00, მ. მესხი

**20 ოქტომბერი**

პოლონეთი-შვედეთი
15:00, მ. მესხი

საქართველო-ინგლისი
15:00, ბ. პაიჭაძე

**23 ოქტომბერი**

ინგლისი-პოლონეთი
15:00, მ. მესხი

შვედეთი-საქართველო
15:00, ბ. პაიჭაძე

**დავით ცაბაძე**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონის უქმეები

# ნაკრებში სხვა, კლუბში სულ სხვა

## ვიცოდეთ ჩვენი დონე...



ლევან კობიაშვილი (№3)



ჯანო ანანიძე



უტევს ლადო დვალიშვილი (№9)

**გასულ უქმეებზე 9 ქართული გოლი გავიდა, მაგრამ ერთიც არა საუკეთესო საფეხბურთო ლიგებში. ყველაზე მაღალი რეიტინგი, სადაც ჩვენებურებმა თავი გამოიჩინეს, კვიპროსის ჩემპიონატს აქვს. თვალში საცემი კიდევ ერთი მომენტია - თითქმის არც ერთ ჩვენებურს, ვინც ნაკრებში ითამაშა, კლუბში იმავე პოზიციაზე არ უთამაშია, ზოგმა მოედნის ცენტრიდან დაცვის ცენტრში გადაინაცვლა, ზოგმა ფლანგზე ან გამთამაშებლად, ზოგმაც კი... სკამზე...**

**ზურაბ ხიზანიშვილმა** შეუცვლელად ითამაშა „რედინგში", რომელმაც შინ „სუონსისთან" 0:1 დათმო. ქართველი სანაკრებო ბატალიების შემდეგ ისევ დაცვის ცენტრს დაუბრუნდა. თამაშის ბოლოს ერთი კარგი შანსი ზურას მონადინებით შეიქმნა, როცა მან **იან ჰარტის** კუთხური შორეული ძელიდან საჯარიმოში შემოაბრუნა, საჭირო იყო ფეხის ერთი მოქნევა და ანგარიში გათანაბრდებოდა, მაგრამ მასპინძელთაგან ეს ვერავინ შეძლო. „რედინგი" 16 ქულით მე-10 ადგილზეა ჩემპიონშიპში.

საქართველოს ნაკრების კაპიტანი **კახა კალაძე** ეროვნულ გუნდში ბოლო ორ მატჩში კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ კლუბში მას კვლავ არ ათამაშებენ. „ჯენოა" „რომას" ესტუმრა და 1:2 დამარცხდა. გუნდის სამკაციანი დაცვის ტაქტიკაში ქართველის ადგილი არ გამოიძებნა, ის სათადარიგო იყო. „ჯენოა" 8 ქულით მეათეა სერია A-ში. ახალ სეზონში კალაძემ 4 სანაკრებო და 1 საკლუბო მატჩში მიიღო მონაწილეობა. **ლევან მჭედლიძის** „ემპოლი" „სიენას" დღეს უმასპინძლებს.

გერმანიაში **ლევან ყენიას** „შალკეს" ცუდად მისდის საქმეები, გუნდი 5 ქულით გასავარდნ ზონაშია. კიდევ უფრო ცუდად საქმეები თავად ქართველ ლეგიონერს აქვს, რომელიც კვლავ ვერ ვარჯიშობს. ბოლო ტურში „შალკე" „შტუტგარტს" დაუზავდა - 2:2.

**ლევან კობიაშვილის** „ჰერტა" 20 ქულით II ბუნდესლიგის ერთპიროვნული ლიდერია, ბერლინელებმა სტუმრად „ფრანკფურტი" დაამარცხეს - 1:0. კობიაშვილმა 90 წუთი ითამაშა, ხიზანიშვილის არ იყოს, მანაც სანაკრებო მატჩისგან განსხვავებულ პოზიციაზე - მარცხენა მცველად. ჩვენებური 98-ჯერ შეეხო ბურთს, 62 პასი გააკეთა, აქედან 53 ზუსტი (85%). „შპორტალმა" 4 ბალი დაუწერა ჩვენებურს.

**ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუე" შინ 0:2 დამარცხდა „ბოხუმთან". ქართველი კაპიტანი 82-ე წუთზე შეცვალეს. იაშვილი 55-ჯერ შეეხო ბურთს, 41 პასიდან 31 ზუსტი გააკეთა (76%), კარში კი სამჯერ დაარტყა. არც მას უთამაშია იმ პოზიციაზე, სადაც ნაკრებში - II ბუნდესლიგაში ის გამთამაშებლის პოზიციაზე იყო. „შპორტალმა" ჩვენებურს 4,5 ბალი დაუწერა. **მათე ღვინიანიძე** ტრავმირებულია, ამიტომ „მიუნხენის" დაპირისპირება „ობერჰაუზენთან" (0:0) უმისოდ წარიმართა.

**მერაბ ჟორდანიას** „ვიტესი" „როდას" ესტუმრა და 1:4 შერცხვა. რაც **გურამ კაშია** ჰოლანდიურ კლუბში თამაშობს, „ვიტესს" გოლი არ ჰქონდა გაშვებული და ერთბაშად 4 გაუშვა. ქართველმა კვლავ დაცვის მარჯვენა ფრთაზე ითამაშა. „ვიტესი" 8 ქულით მე-15 ადგილზეა.

**შოთა არველაძის** „ქაისერისპორი" აგრძელებს ტრიუმფალურ სვლას, გუნდი 14 ქულით მეორეა ჩემპიონატში. არადა „სივასსპორთან" მატჩი მასპინძელთათვის ცუდად დაიწყო, მე-20 წუთზე გოლი გაუშვეს, მაგრამ შემდეგ ოთხჯერ გაუტანეს - 4:1. **ალექსანდრე ამისულაშვილმა** 90 წუთი ითამაშა. თურქულმა გაზეთმა „ჰაბერალემიმ" ქართველი მცველის გარჯა 7 ბალით შეაფასა. 2:1 ანგარიში ამისულაშვილის თავური პასის შემდეგ გახდა.

რუსეთში მორიგი ტური მოსკოვის „სპარტაკისა" და „ალანიის" მატჩით დაიწყო. როცა ანგარიში 3:0 გახდა მოსკოველთა სასარგებლოდ **კარპინმა** მოედანზე **ჯანო ანანიძეს** უხმო (64-ე წთ). „ჩემპიონატმა" 5,5 ბალი დაუწერა ქართველს, რომელსაც რუსულ პრემიერლიგაში სექტემბრის შემდეგ თამაში არ ღირსებია.

შაბათს „რუბინმა" ქართველთა გარეშე სძლია „როსტოვს" - 2:1. თუკი **ლაშა სალუქვაძე** სათადარიგოთა სკამზე მაინც იჯდა, **დავით კვირკველია** განაცხადშიც ვერ მოხვდა.

საქართველოს ნაკრების გოლკიპერმა **ნუკრი რევიშვილმა** ერთბაშად 4 გოლი გაუშვა, „ანჟი" მოსკოვის „დინამოსთან" საგარეო მატჩში განადგურდა - 0:4. რევიშვილმა ძალიან დაბალი შეფასება მიიღო „ჩემპიონატისგან" - 4,5. **ოთარ ხიზანეიშვილი** და **გიორგი ილურიძე** „ანჟის" განაცხადში არ ყოფილან.

**ლევან გვაზავას** „ტერეკი" შინ სეზონში პირველად დამარცხდა, გროზნოში ცსკა-მ 3:0 იმარჯვა. გვაზავა სასტარტო შემადგენლობაში იყო და ის 73-ე წუთზე შეცვალეს. „ლოკომოტივისა" და ნალჩიკის „სპარტაკის" მატჩში მასპინძელთა სასტარტოში ვერ ვიხილეთ **მალხაზ ასათიანი**. სტუმრებში **გოგიტა გოგუა** განაცხადში არ ყოფილა, ხოლო **დავით სირაძემ** სასტარტოში დაიწყო, ის 71-ე წუთზე შეცვალეს. „ლოკომოტივმა" 1:0 მოიგო.

უკრაინაში **ვასილ გიგიაძის** „ტავრია" შინ 2:2 დაუზავდა **გიორგი გაბედავას** „ილიჩივეცს". აქეთ-იქით ქართველი ფორვარდები სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ. განსაკუთრებით დასანანი 21 წლის გაბედავას უთამაშებლობაა, მას ამ სეზონში სულ 12 წუთი აქვს ნათამაშები. **სანდრო გურულის** „კარპატი" კიევში „დინამოს" ეომა და მინიმალური სხვაობით წააგო - 0:1. ქართველი ნახევარმცველი 50-ე წუთზე შეცვალეს. „კრივბასისა" და ზაპოროჟიეს „მეტალურგის" მატჩში გოლი არ გასულა - 0:0. მასპინძელთა რიგებში 87-ე წუთზე გამოჩნდა **ბექა გოცირიძე**, ხოლო სტუმრებში 67-ე წუთზე შეცვალეს **დიმიტრი ტატანაშვილი**. მან ერთხელ დაარტყა მასპინძელთა კარში სახიფათოდ, მაგრამ მცველებმა ბურთი კუთხურზე მოიგერიეს.

**ხუანდე რამოსის** „დნიპრო" შინ „ზარიას" დაუზავდა - 1:1. დამაფიქრებელია, რომ ესპანელმა თავკაცმა **უჩა ლობჟანიძე** პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალა. მე-18 წუთზე მან უხეშობისთვის ყვითელი ბარათი მიიღო.

საბერძნეთში **გიორგი შაშიაშვილის** „ერგოტელისმა" სტუმრად 1:0 დაამარცხა „პანიონიოსი". ქართველმა 90 წუთი ითამაშა (მარჯვენა მცველის პოზიციაზე). ისრაელში **ლადო დვალიშვილს** თავი არ გამოუჩენია, „მაქაბიმ" კი სტუმრად 2:1 დაამარცხა „ბნეი სახნინი". „მაქაბი" 6 თამაშიდან 14 ქულით მე-2 ადგილზეა.

რუმინეთში **აკაკი ხუბუტიას** „გაზ მეთანმა" 1:0 მოუგო სტუმრად „უნირეას". ჩვენებურმა შეუცვლელად ითამაშა. უნგრეთში „დიორი ეტო" შინ 0:1 დამარცხდა „ლომბარდ პაპასთან". **რატი ალექსიძემ** შეუცვლელად ითამაშა, ხოლო **გიორგი განუგრავა** 62-ე წუთზე გამოვიდა. **ვახტანგ ფანცხავას** „ვაშაშმა" 3:0 დაამარცხა „სოლნოკი". ქართველი ფორვარდი 64-ე წუთზე გამოჩნდა, 77-ე წუთზე მან ყვითელი ბარათი მიიღო.

თუკი შედარებით უკეთეს ლიგებში ქართული გოლი არ გასულა, აზერბაიჯანში ერთბაშად 4 გოლი გაიტანეს ჩვენმა თანამემამულეებმა - თავი **ბაჩანა ცხადაძემ, გიორგი ადამიამ, ნუგზარ კვირტიამ** და **გიორგი ჭედიამ** გამოიჩინეს. სომხეთში გოლი **გიორგი კრასოვსკიმ** გაიტანა. კვიპროსზე გამარჯვებისა შეაგდო **ლევან ქებაძემ**, ფინურ იკონენლიგაში თავი **გიორგი ტულუშმა** გამოიჩინა. მოლდოვაში **დავით გამეზარდაშვილმა** სულაც დუბლი შეასრულა. უკეთეს ლიგებში ქართველების დიდ ნაწილს სათამაშო პრაქტიკის პრობლემა აქვთ, „აქ" კი ყოჩაღობენ, ნუთუ ჩვენი დონეც ეს არის?

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

U 19. ევროპის ჩემპიონატი

# შევრცხვით!!!

**აზერბაიჯანი-საქართველო 3:0**

1:0 გროსი (54), 2:0 ისკანდეროვი (75), 3:0 ისკანდეროვი (79)

საქართველო: ნადირაძე, კვეკვესკირი, კვირკველია, კობახიძე (42. ელიზბარაშვილი), ბრაჭული, მირცხულავა, ძალამიძე, ოქრიაშვილი, ჩელებაძე (55. ჩაფიძე), ხუჭუა, ჭანტურია.

გაფრთხილება: ოქრიაშვილი (27), გულიევი (33), ძალამიძე (50), მირცხულავა (51)

არბიტრი: მარიო ვლკი (სლოვაკეთი)

19-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი ჩვენმა ნაკრებმა კრახით დაასრულა. მართალია, ბერძნების ძლევით (1:0) შეჯიბრება წარმატებით დავიწყეთ, მაგრამ ძალზე ცუდად გავაგრძელეთ - ჯერ მასპინძელ პორტუგალიასთან წავაგეთ 0:3, შაბათს კი ამავე ანგარიშით აზერბაიჯანთანაც შევრცხვით...

**ვლადიმერ გუცაევის** გუნდს მეზობლებთან გადამწყვეტი მატჩისთვის ჰოლანდიური „ვიტესის" ფორვარდი **გიორგი ჭანტურია** დაემატა, თუმცა საშველი მაინც არ იყო. უეფას ოფიციალურ ვებგვერდზე მოყვანილი სტატისტიკის მიხედვით, კარში დარტყმების მხრივ მეტოქეზე მცირედი უპირატესობა 6/5 კი გვქონდა, მაგრამ ჩვენმა შანსები მაინც ვერ გამოიყენეს. კარგად ითამაშა ჭანტურიამ, მაგრამ გუცაევის ბიჭები დამაგვირგვინებელ ფაზაში მოიკოჭლებდნენ. უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ ჩვენს გუნდს მეორე ტაიმის სტარტზეც შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ ფეხბურთის დაუწერელი კანონი ამოქმედდა და აზერბაიჯანელებმა სამი უპასუხო გოლი გაგვიტანეს.

ჩვენი ჯგუფის მეორე მატჩში პორტუგალიამ და საბერძნეთმა 1:1 ითამაშეს. შედეგად, პირენეელებმა ელიტრაუნდი გაინაღდეს. აზერბაიჯანმა და საბერძნეთმა თანაბარი ქულები კი დააგროვეს, მაგრამ ურთიერთშეხვედრებში ელადის შვილებს უკეთესი მაჩვენებელი აქვთ და ჯგუფიდან სწორედ ისინი გავიდნენ...

თუმცა ჩვენ ჩვენი ვიკითხოთ - კიდევ ერთხელ შევრცხვით და ბოლო ადგილით გათამაშებას გამოვეთიშეთ. პირენეებიდან დაბრუნების შემდეგ ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალბათ თავის არგუმენტებს გვეტყვის და მერე უკეთ შეგვეძლება მსჯელობა, თუმცა ამ გადასახედიდანაც ძნელია, ასეთ შედეგს გამართლება მოუძებნო...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუგალია | 3 | 1 | 2 | 0 | 6-3 | 5 |
| 2. საბერძნეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 3. აზერბაიჯანი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-3 | 4 |
| 4. საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | 1-6 | 3 |

**დავით ცაბაძე**

ფეხბურთი ყველასათვის

# პირველი არხი პირველზეა



ვაჟა დანელიას ფოტო

შაბათს სპორტკომპლექს „ირაოზე" „ლელოს" ყოფილი რედაქტორის **მიხეილ კაკაბაძის** ხსოვნის ტურნირი - „კუნას თასი" გაიმართა სპორტულ ჟურნალისტ გოგონათა 7 გუნდის მონაწილეობით. ტელევიზიები - „I არხი", „რუსთავი 2", „იმედი", გაზეთი „ლელო", რადიოარხები - „ჯაკო," star FM და ვებგვერდი goli.ge. „ლელო" goli.ge-სთან 0:1 დამარცხდა, მერე კი „რუსთავი 2"-ს ამავე ანგარიშით სძლია და ნახევარფინალში გავიდა.

**მაია ჯიჯავა, სალომე ხარატიშვილი, ანა ხითარიშვილი, ხატია ცარციძე, შორენა ცხადაძე** - ეს „ლელოს" გუნდია, რომელსაც მწვრთნელთა კურსების გავლის შემდეგ ჩვენი კოლეგა **ლევან ჯანეზაშვილი** ხელმძღვანელობდა.

ბოლოსწინა რაუნდში „ლელომ" პენალტების სერიაში „I არხთან" 2:3 წააგო, მეორე ნახევარფინალში კი ამ უკანასკნელმა goli.ge დაამარცხა. მესამე ადგილისთვის მატჩში goli.ge -მ კვლავ აჯობა „ლელოს" ამჯერად პენალტების სერიაში - 3:2. რაც შეეხება ფინალს, „I არხმა" star FM 3:0(პენალტებით, ძირითადი დრო 0:0) დაამარცხა და მთავარ პრიზს დაეუფლა - **ნინო გაბელია, მარი ჭელიძე, თათია ახობაძე, მარი ბერძენიშვილი, ელენე იაშვილი.**

საუკეთესოდ დასახელდნენ: **ნინო გაბელია** - მეკარე (ლეგენდარული მეკარის **ოთარ გაბელიას** ძმისშვილი, „I არხი"); **მარი ჭელიძე** - მცველი („I არხი"); **თათია ახობაძე** - ბომბარდირი (5 გოლი, „I არხი"); **გვანცა ვაჩაძე** - საუკეთესო ფეხბურთელი (star FM); **დიანა სურმანიძე** - საიმედო მეკარე (star FM).

გამარჯვებული, პრიზიორი გუნდები და გამორჩეული მოთამაშეები ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ**, ქალთა ფეხბურთის ასოციაციის ხელმძღვანელმა **ნინო სორდიამ** და მიხეილ კაკაბაძის შვილიშვილმა **თეონა კაკაბაძემ** დააჯილდოვეს.

**დავით ცაბაძე**

# ჟოზე: გინდოდათ გოლები? ახლა ითვალეთ

## ორი განსხვავებული ტაიმი და ჩხუბი კამპ ნოუზე



ნამის წინ ანდრეს ინიესტამ გაათანაბრა

**ჟოზე მოურინიოს** აკრიტიკებდნენ, რომ მის გუნდს გოლები ვერ გაჰქონდა და „რეალმა" ბოლო ორ შეხვედრაში 10 გოლი გაიტანა... **კრიშტიანო რონალდოს** აკრიტიკებდნენ, რომ შარშანდელივით პროდუქტიული ვერ იყო და პორტუგალიელმა ზედიზედ მეორე დუბლი შეასრულა. „სამეფო კლუბმა" ანდალუსიაში „მალაგა" 4:1 გაანადგურა და მინიმუმ დღის ბოლომდე ლა ლიგას სათავეში მოექცა.

„ლა როსალედაზე" („ვარდების ბაღი" ქართულად) რონალდოს შოუ ვიხილეთ, კრიშტიანომ ორი გოლი გაიტანა და ორჯერაც **გონსალო იგუაინს** გაატანინა. „ვარდების ბაღი" წლეულს მტრად ექცა „მალაგას", ანდალუსიურ კლუბს შინ ჯერ ქულა არ აუღია. „როსალედაზე" „რეალთან" დაპირისპირების ისტორიაშიც საამაყო არაფერი აქვს ანდალუსიურ კლუბს. 1994 წლის მერე „სამეფო კლუბთან" აქ 19-დან 14 თამაში წააგო, დანარჩენი კი ფრედ დაასრულა.

„რეალს" სამშაბათს ლიგის ჯგუფურ ეტაპზე „მილანთან" უმნიშვნელოვანესი მატჩი ელის, მაგრამ მოურინიოს გუნდს არაფერი ეტყობოდა, რომ „მალაგას" გარდა სხვა მეტოქეზე ფიქრობდა. სტუმრებმა უპირატესობა თავიდანვე მოიპოვეს, **სამი ხედირამ** და იგუაინმა თითოჯერ გაარტყეს ბურთი ხარიხას, ნახევარი საათის გასვლის შემდეგ „მალაგას" სათადარიგო გოლკიპერის, **როდრიგო გალატოს** კარში პირველი გოლიც გავიდა - რონალდომ მარცხნიდან ჩამოაწოდა და შორეულ ძელთან დადარაჯებულმა არგენტინელმა ბურთი დაუშვებლად გადაგზავნა კარში. „მალაგამ" კინაღამ მაშინვე გაათანაბრა - **ხოსე რონდონის** ჩამოწოდებულს „რეალის" მცველის რიკოშეტი დაერთო და რომ არა **იკერ კასილიასი**, გოლი გავიდოდა.

ტაიმის მიწურულს საჯარიმოში შეჭრილმა **მესუთ იოზილმა** თავბრუ დაახვია მალაგელებს, რონალდოს გადააწოდა და მანაც ერთი შეხებით გადაგზავნა ბურთი მასპინძელთა კარში, ტაიმი 0:2 მორჩა.

ისევ ამ ორი ფეხბურთელის წყალობით გავიდა მესამე გოლიც, მე-2 ტაიმის მეხუთე წუთზე იოზილი საჯარიმოში წესების დარღვევით **ედუ რამოსმა** გააჩერა და რონალდომ გალატოს მარჯვენა კუთხეში გაუტანა პენალტი, მეკარემ კუთხე კი გამოიცნო, მაგრამ ბურთს ველარ მისწვდა.

55-ე წუთზე „რეალის" კართან კუთხური დაინიშნა, **ალბერტ ლუკემ** ახლო ძელთან მოაწოდა, სადაც ბურთი უხეიროდ მოიგერია იგუაინმა, შორეულ ძელთან დადარაჯებულ დანიელ მცველ **კრის სტადსგაარდს** კი გოლის გატანა არ გასჭირვებია.

„მალაგა" დიდი ანგარიშით მარცხს მაინც ვერ გადაურჩა - გოლი რონალდო-იგუაინის კომბინაციას მოჰყვა - 1:4. თამაშის დასრულებამდე დრო კიდევ რჩებოდა და „მალაგაც" ნახდა - **ქარიმ ბენზემას** (ორჯერ), რონალდოსა და **პედრო ლეონს** აშკარად მართებდათ გატანა. ეს წუთები უკვე „მილანთან" მატჩის წინა გახურებას გვაგონებდა.

**ჟოზე მოურინიო** (რეალი): *„მე მომეწონა „მალაგას" გოლი. ცოტა მოვეშვით და ეგრევე გაგვიტანეს. პირველ ტაიმში უფრო კომპაქტურად ვითამაშეთ, კრიშტიანო და დი მარია მეტოქეს ბევრ პრობლემას უქმნიდნენ. 2:0-ის შემდეგ გუნდი უფრო დაბალანსებულ ტაქტიკაზე გადავიყვანე. სეზონის წინ სხვადასხვა ტაქტიკურ ვარიანტს ვამუშავებდით, ასე რომ, გადაწყობა „რეალისთვის" პრობლემას არ წარმოადგენს. რონალდომ კარგად ითამაშა, თუმცა არ გამოვყოფდი სხვებისგან. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის სამი ქულაა, რომელიც მადრიდში მიგვაქვს".*

**ჟეზუალდო ფერეირა** (მალაგა): *„თავიდან, თითქოს, კარგად დავიწყეთ, მაგრამ პირველმა გოლმა შეაშინა ბიჭები, მეორემ კი თამაში „მოკლა". გოლებს ძალიან იოლად ვუშვებთ, თანაც საოცარ სიტუაციებში, თუმცა მჯერა, რომ „მალაგას" მეტი პოტენციალი აქვს".*

**კრიშტიანო რონალდო** (რეალი): *„ვიცოდი, რომ გოლები თავისით მოვიდოდა და სეზონის დასაწყისში სულაც არ ვნერვიულობდი. მაშინაც ამას ვამბობდი, გოლების დროც მოვა. მესუთ იოზილი ნელ-ნელა გუნდის ლიდერი ხდება, მას თავდაჯერება ემატება და სულ უფრო საინტერესოდ თამაშობს".*

ტურის ცენტრალური მატჩი „კამპ ნოუზე" გაიმართა. ლიდერ „ვალენსიას" 85 ათასი „ბლაუგრანას" თვალწინ უნდა დაემტკიცებინა, რომ „ღამურების" ბრწყინვალე სტარტი დამსახურებულია და სანახევროდ გაცხრილულმა გუნდმა ეს შეძლო... ოღონდ მხოლოდ ერთი ტაიმი.

„ბარსელონა" ძლიერია, როცა მას ბურთი აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში **ხოსეპ გვარდიოლას** გუნდს პრობლემები ექმნება, სწორედ ბურთის კონტროლი წაართვა **უნაი ემერის** გუნდმა მეტოქეს და პირველი ტაიმი მოუგო კიდეც.

სასტარტო შემადგენლობაში **ჩავიც** მოხვდა და **დავიდ ვილიაც**, ორივემ შეძლო ტრავმის დროულად მორჩენა. ვილია პირველად თამაშობდა ყოფილი გუნდის წინააღმდეგ. „ელ გუახემ" პირველ ტაიმში ძალიან კარგად ითამაშა და ერთხელ მისი ჩამოწოდების შემდეგ გოლიც უნდა გასულიყო, მაგრამ ვერავინ დაუხვედრა ფეხი ბურთს და ის „ვალენსიას" მცველებმა კარის ხაზიდან გამოიტანეს.

სასტარტო შეტევების შემდეგ ნელნელა „ვალენსიამ" ჩაიგდო ბურთი და 37-ე წუთზე ანგარიშიც გახსნა - მარცხნიდან **ჟერემი მატიო** შეიჭრა საჯარიმოში და, თითქოს, მახვილი კუთხიდან არტყამდა, ბოლო მომენტში ფრანგმა გადაიფიქრა და ცენტრში **პაბლო ერნანდესს** დაუგორა, ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველის დარტყმულს **ვიქტორ ვალდესი** თითის წვერებით მიწვდა, მაგრამ...

ოთხ წუთში ერნანდესს რომ კიდევ ერთხელ ეყოჩაღა, ლიდერი, ალბათ ისევ „ვალენსია" იქნებოდა, **რობერტო სოლდადომ** „ბარსას" მცველებისგან მიტოვებული პაბლო მოძებნა, მაგრამ ამჯერად ვალდესმა იხსნა გუნდი.

მეორე ტაიმი დაიწყო და... ჩავიმ და **ინიესტამ** ჩვეული კომბინაცია გაათამაშეს და ანდრესმა ანგარიში მეკარესთან პირისპირ გასვლის შემდეგ გაათანაბრა. ამის შემდეგ „ბარსელონას" უპირატესობა აშკარა იყო. **სესარმა** ვილიას თავური კი მოიგერია, მაგრამ **კარლეს პუიოლის** ტყვიასავით გასროლილ თავურს ვერაფერი მოუხერხა. ამ შემთხვევაშიც საგოლე პასი ჩავისია.

**ხოსეპ გვარდიოლა** (ბარსელონა): *„პირველ ტაიმში გვაჯობეს, მაგრამ მეორეში უკვე ჩვენ ვაჯობეთ მეტოქეს. მინდა შევაქო ბიჭები, მათ შეძლეს წაგებული თამაშის შემობრუნება. ბედნიერი ვარ, რადგან ძალიან კარგი გუნდი დავამარცხეთ. მინდა პერსონალურად შევაქო ანდრეს ინიესტა, რომელიც გაბედულად თამაშობს, რაც შარშან მისი ფიზიკური მდგომარეობის გამო გამორიცხული იყო. ეს კი ჩვენი დიდი პლუსია, ანდრესს ხომ ძალიან ბევრ პოზიციაზე შეუძლია თამაში. ამ მატჩით კი კარგი გაკვეთილი მივიღეთ".*

**უნაი ემერი** (ვალენსია): *„პირველ ტაიმში დიდებულად ვითამაშეთ. ჩვენ აქ მოსაგებად ჩამოვედით და სულ ცოტა დაგვაკლდა საამისოდ. მეორე ტაიმსაც ოპტიმისტურად ველოდით, მაგრამ ძალიან მალე გავუშვით გოლი. არ შეიძლება არ აღვნიშნო „ბარსელონას" სიძლიერე, ამ გუნდმა ყველაფერი გაიღო მეორე ტაიმში და, ჩვენი უდიდესი წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც მიაღწია მიზანს".*

ამ თამაშის შესახებ თხრობას ერთი ინციდენტით დავასრულებთ - თამაშის დასრულების შემდეგ გასახდელებისკენ მიმავალ გვირაბში „ბარსელონას" ბრაზილიელმა მარჯვენაფლანგელმა **დანი ალვეშმა** და „ვალენსიას" ვინგერმა **ვისენტე როდრიგესმა** იჩხუბეს. მეორე ტაიმში ერთ-ერთ ეპიზოდში შეცვლაზე შემოსული ვისენტე დანი ალვეშმა წააქცია, ფეხბურთელები მაშინვე იჩხუბებდნენ, რომ არა რეფერი. გვირაბში კი ისინი თანაგუნდელებმა გააშველეს.

მცირე მადრიდულ დერბიში **კიკე ფლორესის** „ატლეტიკომ" **მიჩელის** „ხეტაფეს" 2:0 სძლია. მასპინძელთა მწვრთნელმა სასტარტოში **ფრან მერიდა** ათამაშა **დიეგო ფორლანი** კი სათადარიგოთა სკამზე დასვა. „ატლეტიკომ" ტაიმებში თითო გოლით იმარჯვა - პირველი 37-ე წუთზე გავიდა, **სიმაომ** კარგად შეასრულა საჯარიმო, ბურთი ძელს მოხვდა, არაფერიც აღარ მოხდებოდა, რომ არა მეკარე **ხორდი კოდინა**, მას ბურთი ზურგში მოხვდა და კარში გავიდა.

72-ე წუთზე **დიეგო კოშტამ** თავისი მორიგი გოლი გაიტანა პრიმერაში, თუმცა ყველაფერი **ხოსე რეიესმა** გააკეთა, რომელიც მარჯვნიდან შეიჭრა საჯარიმოში, მცველებს გაცდა და ბურთი იქვე დადარაჯებულ ბრაზილიელ ფორვარდს გადააწოდა.

„ატლეტიკოს" ფეხბურთელებმა გამარჯვება ყოფილი მცველის, **ხუან კარლოს არტეჩეს** ხსოვნას უძღვნეს. არტეჩე 1978-დან 1989 წლამდე „ატლეტიკოს" ღირსებას იცავდა. ის გასულ კვირაში 53 წლის ასაკში უკურნებელი სენით გარდაიცვალა.

**კიკე ფლორესი** (ატლეტიკო): *„ძალიან რთული შეხვედრა იყო და, ვფიქრობ, გამარჯვება დავიმსახურეთ. ახლა ძალიან რთული გრაფიკი გვაქვს, ამიტომაც ფეხბურთელების ნაწილს დასვენების შანსი მივეცი".*

**მიჩელი** (ხეტაფე): *„პირველ ტაიმში ისე საზიზღრად ვითამაშეთ, პრიმერა დივიზიონის გუნდს რომ არ ეკადრება. მეორეში კი უკეთ გამოვიყურებოდით, მაგრამ მაინც დავთმეთ შეხვედრა. გავრისკეთ, შევუტიეთ და „ატლეტიკომ" კონტრშეტევაზე იხეირა".*

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

### მომდევნო ტური

**23 ოქტომბერი.** სარაგოსა-ბარსელონა, რეალი-რასინგი, ვალენსია-მალიორკა. **24 ოქტომბერი.** ალმერია-ერკულესი, ესპანიოლი-ლევანტე, ხეტაფე-სპორტინგი, ოსასუნა-მალაგა, სევილია-ბილბაო, ვილიარეალი-ატლეტიკო. **25 ოქტომბერი.** სოსიედადი-დეპორტივო.

### ატლეტიკო-ხეტაფე 2:0

**ატლეტიკო (4-2-3-1):** დე ხეა - ვალერა, პერეა, უიფალუში, ფილიპე - ასუნსაო (88. მ. სუარესი), ტიაგო - მერიდა (65. ფორლანი), რეიესი (84. რ. გარსია), სიმაო - დ. კოშტა.

**ხეტაფე (4-2-3-1):** კოდინა - მ. ტორესი (46. კასკერო), დიასი, მარკანო, მანე (46. რაფა) - ვ. სანჩესი, ბოატენგი (61. გავილანი) - რიოსი, პარეხო, მანუ - კოლუნგა.

**გოლები** 1:0 კოდინა (37 ს.კ.), 2:0 დ. კოშტა (72)

**გაფრთხილება:**პერეა, ვალერა - რიოსი, ბოატენგი, ტორესი, დიასი

**კუთხური:** 2-8; **ჯარიმა:** 21-16; **თამაშგარე** 1-2; **კარში დარტყმა:** 11-15 (3-8); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 53 000

### ბარსელონა-ვალენსია 2:1

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დ. ალვეში, პუიოლი, პიკე, მაქსველი - ჩავი (77. მასკერანო), ბუსკეტსი, კეიტა (86. აბიდალი) - მესი, ვილია (82. პედრო), ინიესტა.

**ვალენსია (4-2-3-1):** სესარი - ბრუნო, რ. კოშტა, ნავარო, ალბა - ალბელდა, ფერნანდეში - პ. ერნანდესი, ბანეგა (66. მატა), მატიო (82. ვისენტე) - სოლდადო (61. ადურისი).

**გოლები** 0:1 პ. ერნანდესი (37), 1:1 ინიესტა (47), 2:1 პუიოლი (62)

**გაფრთხილება:**კეიტა, ვალდესი - სოლდადო, ალბელდა, სესარი, ადურისი

**კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 9-9; **თამაშგარე** 9-4; **კარში დარტყმა:** 12-8 (8-2); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 85 000

### მალაგა-რეალი 1:4

**მალაგა (4-3-3):** გალატო - გამესი, სტადსგაარდი, ველიგტონი, მტილიგა - ფერნანდო (67. ს. სილვა), ხუანიტო, აპონიო (77. პორტილიო) - ე. რამოსი (51. ლუკე), რონდონი, ქუინსი.

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - არბელოა, პეპე, რ. კარვალიო, მარსელო - ხედირა, ჩაბი ალონსო - დი მარია (68. პედრო ლეონი), იოზილი (80. კანალესი), რონალდო - იგუაინი (72. ბენზემა).

**გოლები** 0:1 იგუაინი (30), 0:2 რონალდო (45), 0:3 რონალდო (50-პენ), 1:3 სტადსგაარდი (55), 1:4 იგუაინი (65)

**გაფრთხილება:**ე. რამოსი, გამესი, ფერნანდო, არნაუ - ხედირა, არბელოა, კანალესი

**კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 8-17; **თამაშგარე** 4-2; **კარში დარტყმა:** 9-21 (1-7); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 30 000

### დეპორტივო-ოსასუნა 0:0

**დეპორტივო (4-2-3-1):** არანსუბია - ლაურე, ლოპო, კოლოტო, სეოანე - ტომასი (78. პ. ალვარესი), პერესი - როდრიგესი, ლასადი (74. დიონი), დეზმარე (83. საული) - ადრიანი.

**ოსასუნა (4-1-4-1):** რიკარდო - დამია, ლოლო, ფლანიო, მონრეალი - ნეკუნამი - ხუანფრანი (91. ნელსონი), ვადოცი (68. მასუდი), სორიანო, კამუნიასი - ლეკიჩი (68. კიკე სოლა).

**გაფრთხილება:** ლოპო, დიონი, არანსუბია - კიკე სოლა

**გაძევება:** კამუნიასი (34)

**კუთხური:** 9-5; **ჯარიმა:** 18-19; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 23-8 (10-2); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 13 000

### ლევანტე-რეალ სოსიედადი 2:1

**ლევანტე (4-2-3-1):** რეინა - ვენტა, ბალესტეროსი, ნანო, დელ ორნო (66. სერა) - ხ. ტორესი, სერხიო - მუნიოსი (50. ნადალი), რ. სუარესი, ხუანლუ - კაისედო (67. ხორდა).

**რეალ სოსიედადი (4-4-2):** ბრავო - მარტინესი, ანსოტეგი, მ. გონსალესი, დე ლა ბელა - პრიეტო, რივასი, არანბურუ (84. ვიგერა), გრიზმანი (64. სარპონგი) - ტამუდო (63. ზურუტუზა), ხ. ლორენტე.

**გოლები:** 1:0 დელ ორნო (59), 2:0 კაისედო (65), 2:1 სარპონგი (80)

**გაფრთხილება:** დელ ორნო, ნანო, ხუანლუ - ანსოტეგი, გრიზმანი, არანბურუ

**კუთხური:** 8-4; **ჯარიმა:** 14-19; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 13-10 (3-5); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 10 000

### მალიორკა-ესპანიოლი 0:1

**მალიორკა (4-4-2):** ავატე - რატინიო, რამისი, კრესპი, კევინი - ნსუე (57. პერეირა), მარტი, დე გუზმანი, კასტრო - ვიქტორი (57. ვებო), კავენაგი (73. სერხი).

**ესპანიოლი (4-2-3-1):** ალვარესი - ჩიკა, ფორლინი, რუისი, დ. გარსია - დუშერი, მარკესი (74. ბაენა) - ლ. გარსია, ვერდუ (87. ხ. ლოპესი), კალეხონი (67. ალვარო) - ოსვალდო.

**გოლი:** 0:1 ლ. გარსია (31-პენ)

**გაფრთხილება:** კევინი, მარტი, კრესპი - ლ. გარსია, კალეხონი, დუშერი

**გაძევება:** ოსვალდო (35)

**კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 13-18; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 12-14 (1-7); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 12 000

### რასინგი-ალმერია 1:0

**რასინგი (4-4-1-1):** ტონიო - ფრანსისი, ენრიკე, ტორეხონი, სისმა - კენედი, დიოპი, კოლსა, მუნიტისი (90. ბედია) - ნაუელპანი (63. ლასენი) - როზენბერგი (80. ბოლადო).

**ალმერია (4-2-3-1):** დ. ალვეში - მაშედო, პ. გარსია (85. ულოა), აკასიეტე, ხ. ორტისი (66. ვალერი) - მ'ბამი, ბერნარდელო - პიატი, კორონა (85. გოიტომი), კრუსატი - უჩე.

**გოლი:** 1:0 მუნიტისი (32)

**გაფრთხილება:** მუნიტისი, ენრიკე, კენედი - აკასიეტე

**კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 22-7; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 25-10 (14-10); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 14 000

### ბილბაო-სარაგოსა 2:1

**ბილბაო (4-4-2):** ირაისოსი - ირაოლა, სან ხოსე, უსტარიცი, კოიკილი - სუსაეტა, ხ. მარტინესი, გურპეგი, მუნიაინი (80. გაბილონდო) - ლორენტე, ტოკერო (66. ი. გომესი)

**სარაგოსა (4-2-3-1):** დობლასი - დიოგო, ლანსარო, [illegible], პონსიო - გაბი, პინტერი - ბერტოლო [illegible], ანდერი (61. ბუტაპარი) - სინამა-პონგოლე (81. ნ. ლოპესი).

**გოლები:** 1:0 ირაოლა (11), 2:0 ლორენტე (23), 2:1 ბრაულიო (93)

**გაფრთხილება:** სუსაეტა, უსტარიცი, სან ხოსე - პონსიო, დიოგო, სინამა-პონგოლე, პინტერი, ბრაულიო

**გაძევება:** პინტერი (52)

**კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 19-17; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 16-16 (7-3); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 30 000

### სპორტინგი-სევილია 2:0

**სპორტინგი (4-2-3-1):** ხ. პაბლო - ლორა, ერნანდესი, გრეგორი, ანხელი - რივერა, ეგურენი - კარმელო (89. ს. ალვარესი), დე ლას კუევასი (75. ნოვო), დ. კასტრო - სანგოი (80. ბილიჩი).

**სევილია (4-4-2):** პალოპი - კონკო, ალექსისი, ესკუდე, ფ. ნავარო - ალფარო (72. აკოსტა), რენატო, რომარიკი (54. გუარენტე), პეროტი - ლ. ფაბიანო, ნეგრედო (55. კანუტე).

**გოლები:** 1:0 სანგოი (6), 2:0 დ. კასტრო (51)

**გაფრთხილება:** ერნანდესი, სანგოი, რივერა, ანხელი, კასტრო, ნოვო - ალექსისი, გუარენტე

**კუთხური:** 8-5; **ჯარიმა:** 20-7; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 14-18 (7-4); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 20 000

**ერკულესი-ვილიარეალი** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 7 | 5 | 2 | 0 | 16-3 | 17 |
| 2. ბარსელონა | 7 | 5 | 1 | 1 | 12-6 | 16 |
| 3. ვალენსია | 7 | 5 | 1 | 1 | 12-6 | 16 |
| 4. ვილიარეალი | 6 | 5 | 0 | 1 | 12-4 | 15 |
| 5. ატლეტიკო | 7 | 4 | 1 | 2 | 12-7 | 13 |
| 6. ესპანიოლი | 7 | 4 | 0 | 3 | 6-9 | 12 |
| 7. სევილია | 7 | 3 | 2 | 2 | 10-8 | 11 |
| 8. ხეტაფე | 7 | 3 | 1 | 3 | 11-10 | 10 |
| 9. ბილბაო | 7 | 3 | 1 | 3 | 11-10 | 10 |
| 10. მალიორკა | 7 | 2 | 2 | 3 | 5-7 | 8 |
| 11. სპორტინგი | 7 | 2 | 2 | 3 | 8-11 | 8 |
| 12. ლევანტე | 7 | 2 | 2 | 3 | 7-12 | 8 |
| 13. ერკულესი | 6 | 2 | 1 | 3 | 5-6 | 7 |
| 14. მალაგა | 7 | 2 | 1 | 4 | 13-16 | 7 |
| 15. სოსიედადი | 7 | 2 | 1 | 4 | 7-11 | 7 |
| 16. რასინგი | 7 | 2 | 1 | 4 | 4-8 | 7 |
| 17. ალმერია | 7 | 1 | 3 | 3 | 5-6 | 6 |
| 18. ოსასუნა | 7 | 1 | 3 | 3 | 4-6 | 6 |
| 19. დეპორტივო | 7 | 0 | 4 | 3 | 3-11 | 4 |
| 20. სარაგოსა | 7 | 0 | 3 | 4 | 6-12 | 3 |

**ბომბარდირები:** 5 - რონალდო (რეალი), ნილმარი (ვილიარეალი); 4 - როსი (ვილიარეალი), იგუაინი (რეალი).

### სეგუნდა დივიზიონი

### VIII ტური

**უელვა-სალამანკა** 0:2

გოლები: 0:1 მარკესი (63), 0:2 მარტინი (90-პენ)

გაძევება: ლამა[illegible] (90. უელვა)

**ბეტისი-ხირონა** 2:1

გოლები: 0:1 მოა (40), 1:1 როკე (54), 2:1 დორადო (69)

**ალბასეტე-პონფერადინა** 0:1

გოლი: 0:1 ვეგა (80-პენ)

**ალკორკონი-ხერესი** 3:1

გოლები: 1:0 სანსი (23), 2:0 ქუინი (27), 3:0 ქუინი (35-პენ), 3:1 კაპდევილა (70)

**ხიმნასტიკი-ბარსელონა** 1:1

გოლები: 0:1 ნოლიტო (15), 1:1 ხილა (40)

**უესკა-კარტახენა** 0:0

**ვილიარეალი-სელტა** 2:2

გოლები: 1:0 ფალკე (42), 1:1 ასპასი (70), 1:2 მალო (80), 2:2 კორია (89-პენ)

**გრანადა-რაიო ვალეკანო** 1:1

გოლები: 1:0 გომესი (3), 1:1 აგანსო (27)

გაძევება: კასადო (90. რაიო ვალეკანო)

**კორდობა-ელჩე** 0:0

**ვალიადოლიდი-ლას პალმასი** 3:0

გოლები: 1:0 ალონსო (22-პენ), 2:0 არსო (43), 3:0 გარსია (66 ს.კ.)

**ტენერიფე-ნუმანსია** 1:1

გოლები: 0:1 ფლანიო (34), 1:1 ალონსო (83)

გაძევება: ბერანჟერი (75. ტენერიფე)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბეტისი | 8 | 6 | 1 | 1 | 19-8 | 19 |
| 2. სელტა | 8 | 6 | 1 | 1 | 17-8 | 19 |
| 3. ვალეკანო | 8 | 6 | 1 | 1 | 16-7 | 19 |
| 4. სალამანკა | 8 | 5 | 2 | 1 | 10-5 | 17 |
| 5. ბარსელონა B | 8 | 5 | 1 | 2 | 12-11 | 16 |
| 6. ვალიადოლიდი | 8 | 4 | 3 | 1 | 16-6 | 15 |
| 7. ალკორკონი | 8 | 4 | 2 | 2 | 13-11 | 14 |
| 8. ლას პალმასი | 8 | 3 | 4 | 1 | 14-10 | 13 |
| 9. ხერესი | 8 | 4 | 0 | 4 | 11-12 | 12 |
| 10. გრანადა | 8 | 3 | 2 | 3 | 10-11 | 11 |
| 11. ელჩე | 8 | 3 | 2 | 3 | 5-8 | 11 |
| 12. ვილიარეალი B | 8 | 3 | 1 | 4 | 11-15 | 10 |
| 13. კორდობა | 8 | 2 | 3 | 3 | 10-11 | 9 |
| 14. ალბასეტე | 8 | 2 | 3 | 3 | 6-7 | 9 |
| 15. კარტახენა | 8 | 2 | 3 | 3 | 13-10 | 9 |
| 16. ნუმანსია | 8 | 2 | 2 | 4 | 9-10 | 8 |
| 17. ხირონა | 8 | 2 | 1 | 5 | 12-15 | 7 |
| 18. უესკა | 8 | 1 | 3 | 4 | 5-11 | 6 |
| 19. პონფერადინა | 8 | 1 | 3 | 4 | 4-14 | 6 |
| 20. ხიმნასტიკი | 8 | 1 | 2 | 5 | 7-11 | 5 |
| 21. უელვა | 8 | 0 | 4 | 4 | 3-12 | 4 |
| 22. ტენერიფე | 8 | 0 | 2 | 6 | 6-16 | 2 |

**ბომბარდირები:** 7 - ქუინი (ალკორკონი); 6 - დ. როდრიგესი (სელტა); 5 - გუერა (ვალიადოლიდი), ტოჩე (კარტახენა).

# მორჩა კინო, უყურეთ ბორუსიას!

## მხატვრული მაინცის შემდეგ, დოკუმენტური დორტმუნდი იწყება

ცხადი იყო, რომ „მაინცის“ ზღაპარი აუცილებლად დამთავრდებოდა, მაგრამ სანამ გუნდი თამაშებს იგებდა, ამაზე საუბრის მორალური უფლება არ გვქონდა. ახლა კი, როცა **თომას ტუხელის** მაინც ძალიან დასაფასებელმა გუნდმა მიმდინარე სეზონში ქულები პირველად დაკარგა (0:1 „ჰამბურგთან“), უნდა ვთქვათ, რომ ამას ველოდით და რომ ეს გარდაუვალი, მხოლოდ დროის ამბავი იყო. ცხადია, ეს ყველაფერი სულაც არ გამორიცხავს იმას, რომ მაინცელებმა ეს სეზონი მაღალ დონეზე ჩაატარონ და ვთქვათ, ევროპის ლიგის საგზური მოიპოვონ, მაგრამ მარჩიელობა არაფერს მოგვიტანს, ფაქტი კი ის არის, რომ გერმანიის ჩემპიონატს მერვე ტურის შემდეგ, ახალი ლიდერი და თამამად ვიტყვით, ახალი ფავორიტიც ჰყავს: დორტმუნდის „ბორუსია“ - გუნდი, რომელსაც ისტორიაც და დღევანდელი მდგომარეობაც ხელს უწყობს იმაში, რომ გერმანიის ჩემპიონობისთვის იბრძოლოს.



ბუნდესლიგის ცხრილს სათავეში დორტმუნდის ბორუსია ჩაუდგა

„ბორუსია“ ფავორიტია არა მარტო იმის გამო, რომ „მაინცის“ ზღაპარი დასრულდა, ან იმიტომ, რომ „ბაიერნი“ BVB-ს ათი ქულით ჩამორჩება, ან იმიტომ, რომ **ფრანც ბეკენბაუერმა** ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე თქვა, ჩვენი მთავარი კონკურენტი „დორტმუნდი“ იქნებაო, არამედ პირველ რიგში იმის გამო, რომ ნებისმიერი გულშემატკივარი შეამჩნევდა: „ბორუსია“ მართლაც ძალიან მაგარ გუნდად ყალიბდება, დორტმუნდში განსაკუთრებით სიმპათიური გუნდი შენდება. ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ჩამოყალიბებული, გამოცდილი ფეხბურთელები **შაჰინი, ჰუმელსი, სუბოტიჩი,** დამწყებები **გიოტცე, გროსკროიტცი, ბარიოსი** და გენიალური იაპონელი ტალანტი **შინჯი კაგავა - იურგენ კლოპს** ისეთი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი ჰყავს, რომლებსაც სწორი მიმართულების მიცემის შემთხვევაში, ნამდვილად შეუძლიათ „ვერცხლის სინისთვის“ ბრძოლა.

„ბორუსიამ“ თავისი თამაში პარასკევს მოიგო (2:1 კიოლნში) და არსებობის ისტორიაში რიგით 96-ედ გახდა ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილის ლიდერი. გარდა იმისა, რომ მატჩი დრამატული და დაძაბული გამოვიდა, მთავარი თემა **ლუკას პოდოლსკისა** და ნური შაჰინის დაპირისპირება გახლდათ, რომელიც მხოლოდ იმიტომ არ გადაიზარდა ხელჩართულ ჩხუბში, რომ შაჰინი წესიერი ადამიანია. **იაკუბ ბლაშჩიკოვსკის** მიერ გახსნილი ანგარიში (მე-20 წუთზე), მატჩის მიწურულს, კერძოდ 82-ეზე პოდოლსკიმ მისთვის დამახასიათებელი უძლიერესი დარტყმით გაათანაბრა, რის შემდეგაც მთელი 8-9 წუთის განმავლობაში ცდილობდა შაჰინის პროვოცირებას. ლუკასმა მას რამდენჯერმე უჩვენა 3:0-ზე მიმანიშნებელი ჟესტი (გერმანიამ თურქეთს ხომ 3:0 მოუგო) და „ბორუსიას“ საყრდენი ნახევარმცველის წყობიდან გამოყვანას ცდილობდა. 91-ე წუთზე კი, შაჰინმა გამარჯვების გოლი გაიტანა და შემდგარი შურისძიებით ბედნიერი, ლუკასს თვალწინ ჩაუსრიალდა! პოდოლსკი კი თავდახრილი, ძალიან გაბრაზებული იდგა. ამასობაში, „ბორუსიას“ მეკარე **რომან ვაიდენფელერიც** ადგილზე გაჩნდა, ჯერ შაჰინს გადაეხვია, მერე კი პოდოლსკის უყვიროდა.

აყალმაყალი საფინალო სასტვენის შემდეგაც გაგრძელდა, ლუკასი შაჰინს ეტევებოდა, მაგრამ სხვა ფეხბურთელებმა არ მიუშვეს, შაჰინმა კი დაიჩივლა, პანღური ამომარტყა, ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ეს უკვე ყველანაირ ჩარჩოებს სცდებაო. წესით ამ ყველაფრისთვის ლუკასი უნდა დასაჯონ. მერე კი „კიოლნის“ ფანებმა „ბორუსიას“ ავტობუსს ქვები დაუშინეს. იურგენ კლოპის ნათქვამი პირდაპირ ეთერში: *„თუ დღეს ბარში ვინმე გიამბობთ, დორტმუნდელების ავტობუსს ქვა ვესროლეო, ჩემს მაგივრად მაგრად გაარტყით!“*

„მაინცის“ ზღაპარი კი „ჰამბურგმა“ დაასრულა: HSV-მ ტუხელის სენსაციურ გუნდს ყველა დროის რეკორდის დამყარების საშუალება არ მისცა, მოუგო რა სტუმრად მინიმალური ანგარიშით - „მაინცი“ „მეცხრე ციდან“ პაულო გერერომ მატჩის 89-ე წუთზე გატანილი გოლით ჩამოხსნა. თუმცა „მაინცის“ მიღწევა (7 მოგება სეზონის სტარტზე) მაინც გენიალურია, რადგან ასეთი რამ აქამდე მხოლოდ ორ გუნდს აქვს გაკეთებული: 1995 და 2001 წლებში, „კაიზერსლაუტერნსა“ და „ბაიერნს“. მართალია, რვა ტურის შემდეგ არც შვიდი მოგებაა ცუდი შედეგი (პირიქით!), მაგრამ „მაინცმა“ ლიდერობაც დაკარგა. მაინცელთა დამრიგებელი ტუხელი კი მსაჯებზე იყო განრისხებული და საფინალო სასტვენის შემდეგ იმდენი იყვირა, რაც მანამდე მთელი ცხოვრების მანძილზე არ უყვირია. ტუხელი მეოთხე მსაჯთან მიიჭრა და ყველას გასაგონად უყვიროდა: *„რატომ ჩასტვინა? რატომ დაამთავრა თამაში 40 წამში, როცა ორი წუთი იყო დამატებული? ეს რა უბედურებაა? ახალ ველოსიპედს იგონებთ, თუ არ გინდოდათ, რომ გოლი გაგვეტანა?“*

ექსპერტები კი რისი ექსპერტები არიან, ყველაფერი ზუსტად რომ არ დაეთვალათ: სინამდვილეში, არბიტრმა ბრიხმა თამაში 90 წუთის შემდეგ, ერთ წუთსა და 55 წამში დაასრულა, ანუ, რეალურად დამატებულ დროს 5 წამი დააკლო და არავინ ფიქრობს, რომ ხუთ წამში „მაინცი“ გოლის გამტანი იყო (შეტევაც კი არ ჰქონდათ დაწყებული). უბრალოდ, ტუხელს საათმა და ნერვებმა ერთად უმტყუნეს. ეპატიება, მაგრამ ტუხელსაც აქვს თავისი არგუმენტი, დამატებით დროში „ჰამბურგის“ ფეხბურთელს ექიმები ნახევარი წუთის განმავლობაში მკურნალობდნენ და იმედი მქონდა, რომ მსაჯი კიდევ ერთი შეტევის უფლებას მოგვცემდაო. თუმცა ტუხელმა იქვე აღიარა, რომ „მაინცის“ წაგება მსაჯის ბრალი ნამდვილად არ იყო: *„ჩემი ფეხბურთელები ზედმეტად ნერვიულობდნენ და ისე კარგად ველარ ითამაშეს, როგორც წინა მატჩებში. არა უშავს, ამ წაგებით არაფერი დამთავრებულა!“* ძალიან საინტერესოა, როგორ განაგრძობს „მაინცი“ პირველი იმედგაცრუების შემდეგ.

„ბაიერნისა“ და „ჰანოვერის“ მატჩის შემდეგ, რომელიც ბავარიულმა გრანდმა 3:0 მოიგო, თავდამსხმელმა **მარიო გომესმა** მაშინვე გასახდელს მიაშურა - ჟურნალისტებისთვის არაფერი უთქვამს. გასახდელში მას მობილური ტელეფონი „ელოდებოდა“ - 33 ახალი ტექსტური შეტყობინებით! ჰო, გომესმა 33 მილოცვა მიიღო იმისათვის, რომ 13 თებერვლის (!) შემდეგ, ბუნდესლიგაში პირველად შეძლო გოლის გატანა და თანაც, ჰეთ-თრიკი შეასრულა. რვა თვე უგოლოდ მყოფმა ფორვარდმა, რომელსაც ამ ხნის მანძილზე ყველა აკრიტიკებდა, ერთბაშად სამი გოლი გაიტანა - მისთვის უმნიშვნელოვანესი გოლები.

*„ჩილეში მეშახტეები რომ იხსნეს, პირველს მარიო გომესი ჰქვია. ეს რომ გავიგე, ჟრუანტელმა დამიარა!* - ასე დაიწყო დამშვიდებულმა მარიომ თავისი კომენტარი, - *თანაც, სულ 33 მეშახტე გადაარჩინეს და მე ხომ 33-ე ნომერი ვარ. ამასაც რომ თავი დავანებოთ, დღეს სამი გოლი გავიტანე. ეს ბედისწერაა!“* „ბაიერნის“ მთავარი მწვრთნელის, **ლუის ვან გაალის** თქმით, გომესი ჩემპიონთა ლიგაში, „კლუჟთანაც“ ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს...

„შალკესა“ და „შტუტგარტს“ შორის დაფიქსირებული 2:2 არც ერთს აწყობდა და არც მეორეს - შვაბები ბოლო ადგილზე დარჩნენ, „შალკემ“ კი წინ მხოლოდ ერთი ადგილით წაიწია და ახლა მე-16 პოზიციაზეა. სწორედ ამიტომ აყვირდა მატჩის შემდეგ გელზენკირხენელთა მცველი **კრისტოფ მეტცელდერი**, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ წელს გადარჩენისთვის მოგვიწევს ბრძოლაო - არადა, „შალკე“ მოქმედი ვიცე-ჩემპიონია. ფაქტებით რომ ვილაპარაკოთ: 1. „შალკემ“ ბოლო 4 საშინაო მატჩში („ჰანოვერთან“, „დორტმუნდთან“, „გლადბახთან“ და „შტუტგარტთან“) მხოლოდ 2 ქულა მოიპოვა და „ხუმარების“ უკანასკნელი საშინაო გამარჯვება 17 აპრილით (3:1 გლადბახთან) თარიღდება; 2. „შალკემ“ 8 თამაშში 16 გოლი გაუშვა; 3. „შალკე“ მეთექვსმეტეა, მისი მოსისხლე მტერი „დორტმუნდი“ კი სატურნირო ცხრილს სათავეში უდგას! „შტუტგარტს“ მწვრთნელი უკვე (ჯერ კიდევ ამ თამაშამდე) მოუხსნეს, ხომ არ ელის იგივე „შალკეს“ უფრო ძლევამოსილ დამრიგებელ **ფელიქს მაგათსაც**? გამორიცხული უკვე აღარაფერია, რადგან წინა სეზონში მეორე ადგილზე გასული გუნდი, რომელმაც ზაფხულში ტრანსფერებში 40 მილიონი დახარჯა, 8 ტურის შემდეგ გასავარდნ ზონაშია და ჩემპიონობას ვინლა ჩივის, თუ ასე გააგრძელეს, „ხუმარებს“ ჩემპიონთა ლიგა კი არა, ევროპის ლიგაც სანატრელი გაუხდებათ.

**გვერდი მოამზადა გოტფრიდ ლენცმა**

### მომდევნო ტური

22 ოქტომბერი. ჰამბურგი-ბაიერნი. 23 ოქტომბერი. აინტრახტი-შალკე, ბორუსია (მ)-ვერდერი, ფრაიბურგი-კაიზერსლაუტერნი, ჰანოვერი-კიოლნი, ნიურნბერგი-ვოლფსბურგი. 24 ოქტომბერი. ბორუსია (დ)-ჰოფენჰაიმი, ლევერკუზენი-მაინცი, შტუტგარტი-ზტ. პაული.

### კიოლნი-ბორუსია (დ) 1:2

**კიოლნი (4-1-4-1):** ვარვოდიჩი 4 - ბრეჩკო 4, ჟერომელი 4, მოჰამადი 4, ერეთი 4.5 - პეტიტი 4 (78. ნოვაკოვიჩი) - კლემენსი 4.5, ლანიგი 3.5, მატუშიკი 3.5, ტაგალო 4 (76. ჩიჰი) - პოდოლსკი 2.5.

**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ვაიდენფელერი 3 - პიშჩეკი 3.5, სუბოტიჩი 3.5, ჰუმელსი 3, შმელცერი 3 - ს. ბენდერი 3.5, ნ. შაჰინი 1.5 - ბლაშჩიკოვსკი 2.5, კაგავა 4 (72. გიოტცე), გროსკროიტცი 2.5 - ბარიოსი 3.5 (76. ლევანდოვსკი).

**გოლები:** 0:1 ბლაშჩიკოვსკი (20), 1:1 პოდოლსკი (82), 1:2 ნ. შაჰინი (91)

**გაფრთხილება:** 2-4; **დარტყმა:** 16(5)-20(5); **ჯარიმა:** 24-17; **კუთხური:** 4-2; **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 50 000

### ზტ. პაული-ნიურნბერგი 3:2

**ზტ. პაული (4-2-3-1):** კესლერი 3 - ლეხნერი 3.5, სამბრანო 4, თორანდტი 4, ოჩიჰკა 3 - ბოლი 4, მ. ლემანი 3 - კრუსე 3.5 (84. ნაკი), ასამოა 2.5 (74. ბრუნსი), ბარტელსი 4 (64. ჰენინგსი 3.5) - ებერსი 3.

**ნიურნბერგი (4-2-3-1):** რ. შეფერი 3.5 - იუდტი 3.5, ნილსონი 4, ვოლფი 4, პინოლა 4 - სიმონსი 4, ჰეგელერი 3.5 (86. მენდლერი) - აიგლერი 5 (76. ბოაკი), გიუნდოგანი 4 (88. მინტალი), ექიჩი 2.5 - შიბერი 4.

**გოლები:** 1:0 ასამოა (45+1), 1:1 ექიჩი (48), 2:1 ებერსი (59), 2:2 ვოლფი (62), 3:2 ბრუნსი (82)

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 14(7)-14(6); **ჯარიმა:** 14-18; **კუთხური:** 6-6; **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 24 343

### შალკე-შტუტგარტი 2:2

**შალკე (4-1-2-1-2):** ნოიერი 4 - უჩიდა 4.5, პიოვედესი 3, მეტცელდერი 3, შმიტცი 4.5 - მატიპი 3.5 (71. კლუგე) - ედუ 3 (85. ჰაო), მორიტცი 4 - ხურადო 3 (76. ბაუმიოჰანი) - ჰუნტელაარი 3, რაული 4.

**შტუტგარტი (4-2-3-1):** ულრაიხი 2.5 - ჩელოცი 3.5, ნიდერმაიერი 3, ტასკი 4, ბოკა 3.5 - ტრეში 2.5, კუზმანოვიჩი 3.5 - გებჰარდტი 3 (71. ჰარნიკი), კაკაუ 4 (78. პოგრებნიაკი), გენტნერი 4 - მარიკა 4.

**გოლები:** 0:1 გებჰარდტი (15), 1:1 ედუ (29), 1:2 ჰარნიკი (74), 2:2 ჰუნტელაარი (80-პენ)

**გაფრთხილება:** 0-3; **დარტყმა:** 16(5)-10(6); **ჯარიმა:** 16-13; **კუთხური:** 7-3; **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 61 673

### ვერდერი-ფრაიბურგი 2:1

**ვერდერი (4-2-3-1):** ვიზე 3.5 - ფრიტცი 4, მერტეზაკერი 4, პრიოდლი 3.5, სილვესტრი 5 (69. პისარო 2.5) - ვესლი 2.5, ფრინგსი 3 - არნაუტოვიჩი 4.5, ჰანტი 3 (90. ბარგფრედე), მარინი 5 - უგო ალმეიდა 2.5.

**ფრაიბურგი (4-1-3-1-1):** ბაუმანი 3.5 - მუიჯა 4, ბართი 5, ტოპრაკი 5.5, ბასტიანსი 4 - შუსტერი 3 - აბდესადკი 4.5 (89. რაიზინგერი), მაკიადი 3, ნიკუ 5 (77. პუცილა) - კალიგიური 3.5 (75. იანო) - სისე 3.5.

**გოლები:** 1:0 ჰანტი (33), 1:1 შუსტერი (62), 2:1 უგო ალმეიდა (73)

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 21(6)-13(3); **ჯარიმა:** 13-19; **კუთხური:** 11-0; **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 34 500

### ბაიერნი-ჰანოვერი 3:0

**ბაიერნი (4-2-3-1):** ბუტი 4 - ლამი 4, ტიმოშჩუკი 3, ბადშტუბერი 2.5, ბრაატჰაიდი 3.5 (65. შვაინშტაიგერი 2.5) - ოტლი 4, პრანიჩი 3.5 - ჰამით ალთინთოფი 3.5, თ. მიულერი 4, კროოსი 3.5 - გომესი 1.

**ჰანოვერი (4-2-2-2):** ფრომლოვიტცი 3.5 - ჩერუნდოლო 4, ავევორი 4.5, კ. შულცი 5, რაუში 4 - შმიდებახი 4, პინტუ 3.5 (26. ჯაჰკა 4.5) - შტოპელკამპი 4.5 (78. შლაუდრაფი), შტინდლი 4.5 - ია კონანი 4.5, ფორსელი 5.5 (60. ჰანკე 4).

**გოლები:** 1:0 გომესი (21), 2:0 გომესი (77), 3:0 გომესი (90)

**გაფრთხილება:** 3-1; **დარტყმა:** 15(8)-7(1); **ჯარიმა:** 9-18; **კუთხური:** 5-3; **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 69 000

### მაინცი-ჰამბურგი 0:1

**მაინცი (4-1-2-1-2):** ვეტკლო 3 - ფ. ჰელერი 3.5 (30. ზაბავნიკი 3.5), სვენსონი 5, ნოვესკი 3.5, ფუხსი 2.5 - პოლანსკი 3 - კალიგიური 3 (81. კარჰანი), სოტო 3.5 - ჰოლტბი 2.5 - შალაი 4 (84. რაზმუსენი), შიურლე 3.

**ჰამბურგი (4-1-2-1-2):** ფ. როსტი 2.5 - დემელი 4.5 (46. ბენჯამინი 4), ვესტერმანი 3, მატიასენი 3, იანსენი 4 - რინკონი 3 - კაჩარი 3.5, ზე რობერტო 2.5 - ტროხოვსკი 3 - ვან ნისტელროი 3.5 (92. ჩუპო-მოტინგი), გერერო 2.5.

**გოლი:** 0:1 გერერო (89)

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 13(5)-12(4); **ჯარიმა:** 14-14; **კუთხური:** 7-4; **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 20 300

### ვოლფსბურგი-ლევერკუზენი 2:3

**ვოლფსბურგი (4-1-2-1-2):** ჰიტცი 5 - რიტერი 3, კიაერი 4.5, ბარძალი 2.5, მ. შეფერი 3 - ჟოსუე 3 (86. დეჟაგა) - ჰასებე 4.5 (79. სისერო), კალენბერგი 3.5 (85. მანჯუკიჩი) - დიეგო 3.5 - გრაფიტე 2.5, ჯეკო 2.5.

**ლევერკუზენი (4-2-2-2):** ადლერი 3.5 - შვააბი 4.5, მ. ფრიდრიხი 4, ჰიიპია 4.5, კადლეცი 3 - ვიდალი 2, რაინარტცი 4.5 (69. როლფესი 1) - სემი 5, ბარნეტა 4 (62. ლ. ბენდერი 3) - ჰელმესი 5 (62. იორგენსენი 3), დერდიოკი 4.

**გოლები:** 1:0 დიეგო (9), 2:0 გრაფიტე (68), 2:1 როლფესი (72), 2:2 ვიდალი (75-პენ), 2:3 როლფესი (82)

**გაფრთხილება:** 1-5; **დარტყმა:** 9(5)-16(5); **ჯარიმა:** 14-15; **კუთხური:** 5-7; **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

**მაყურებელი:** 30 000

### კაიზერსლაუტერნი-აინტრახტი 0:3

**კაიზერსლაუტერნი (4-4-2):** სიპელი - დიკი, ამედიკი, როდნი, იესენი - ვალხი (46. კირხი), ბილეკი (57. მორავეკი), ტიფერტი, ილიჩევიჩი - ჰოფერი (79. ნემეცი), ლაკიჩი.

**აინტრახტი (4-2-2-2):** ნიკოლოვი - ს. იუნგი, ფრანცი, რუსი, ცაველასი (89. ამანატიდისი) - შვეგლერი, კრისი - ოხსი (91. შტაინჰიოფერი), კიოლერი - ჰალილ ალთინთოფი, გეკასი (79. ა. მაიერი).

**გოლები:** 0:1 გეკასი (45), 0:2 გეკასი (67), 0:3 ა. მაიერი (83)

*26-ე წუთზე ლაკიჩმა ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 10(3)-9(6); **ჯარიმა:** 18-16; **კუთხური:** 4-2; **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 49 780

### ჰოფენჰაიმი-ბორუსია (მ) 3:2

**ჰოფენჰაიმი (4-3-3):** შტარკე - ბეკი, ვორსა (85. იაისლე), კომპერი, იბერტსბერგერი - რუდი, ლუის გუსტავო, სალიჰოვიჩი - მლაპა (87. ობასი), იბიშევიჩი (46. ვუკჩევიჩი), ბა.

**ბორუსია მ. (4-2-2-1-1):** ბეილი - ლეველსი, ანდერსონი, დემსი, შახტენი - მარქსი (78. დე კამარგო), ბრედლი - არანგო, იდრისუ - როისი (85. ვისინგი) - ბობადილია (78. კარუნგა).

**გოლები:** 0:1 ბობადილია (12), 1:1 ბა (46), 2:1 ანდერსონი (67-საკ. კარში), 3:1 სალიჰოვიჩი (82-პენ), 3:2 იდრისუ (91)

**გაძევება:** არანგო (62. ბორუსია მ.), შახტენი (81. ბორუსია მ.)

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 27(6)-12(6); **ჯარიმა:** 23-19; **კუთხური:** 9-6; **ბურთის ფლობა:** 67%-33%.

**მაყურებელი:** 30 150

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 8 | 7 | 0 | 1 | 20-6 | 21 |
| 2. მაინცი | 8 | 7 | 0 | 1 | 18-8 | 21 |
| 3. ლევერკუზენი | 8 | 4 | 3 | 1 | 18-14 | 15 |
| 4. ჰოფენჰაიმი | 8 | 4 | 2 | 2 | 16-12 | 14 |
| 5. ჰამბურგი | 8 | 4 | 2 | 2 | 13-11 | 14 |
| 6. ზტ. პაული | 8 | 4 | 1 | 3 | 11-10 | 13 |
| 7. ჰანოვერი | 8 | 4 | 1 | 3 | 11-11 | 13 |
| 8. აინტრახტი | 8 | 4 | 0 | 4 | 14-9 | 12 |
| 9. ფრაიბურგი | 8 | 4 | 0 | 4 | 12-13 | 12 |
| 10. ბაიერნი | 8 | 3 | 2 | 3 | 8-8 | 11 |
| 11. ვერდერი | 8 | 3 | 2 | 3 | 13-17 | 11 |
| 12. ვოლფსბურგი | 8 | 3 | 1 | 4 | 14-14 | 10 |
| 13. ნიურნბერგი | 8 | 2 | 3 | 3 | 9-11 | 9 |
| 14. კაიზერსლაუტ. | 8 | 2 | 1 | 5 | 9-16 | 7 |
| 15. ბორუსია (მ) | 8 | 1 | 3 | 4 | 13-23 | 6 |
| 16. შალკე | 8 | 1 | 2 | 5 | 10-16 | 5 |
| 17. კიოლნი | 8 | 1 | 2 | 5 | 8-15 | 5 |
| 18. შტუტგარტი | 8 | 1 | 1 | 6 | 14-17 | 4 |

**ბომბარდირები:** 7 - სისე (ფრაიბურგი), გეკასი (აინტრახტი); 5 - ჯეკო (ვოლფსბურგი), გრაფიტე (ვოლფსბურგი), უგო ალმეიდა (ვერდერი), ჰუნტელაარი (შალკე), ლაკიჩი (კაიზერსლაუტერნი), პოგრებნიაკი (შტუტგარტი)

### II ბუნდესლიგა

#### VIII ტური

**კარლსრუე-ბოხუმი** 0:2

**გოლები:** 0:1 ჩონგი (24), 0:2 იაია (26)

**უნიონი-აუე** 1:1

**გოლები:** 0:1 ჰენზელი (2), 1:1 მოსკერა (9)

**ფორტუნა-აუგსბურგი** 1:0

**გოლი:** 1:0 ბრიოკერი (43)

**ფიურტი-ოსნაბრიუკი** 3:0

**გოლები:** 1:0 ონუეგბუ (6), 2:0 ალეკშიჩი (45+2), 3:0 შტანგი (60-საკ. კარში)

**ფრანკფურტი-ჰერტა** 0:1

**გოლი:** 0:1 რამოსი (88)

**კოტბუსი-პადერბორნი** 3:1

**გოლები:** 1:0 ადლუნგი (1), 2:0 ჰიუნემაიერი (56), 2:1 მოსკერა (68), 3:1 იულა (71)

**ობერჰაუზენი-მიუნხენ 1860** 0:0

**ალემანია-ინგოლშტადტი** 2:1

**გოლები:** 1:0 აუერი (5), 1:1 მო. ჰარტმანი (68), 2:1 შტიბერი (80)

**არმინია-დუისბურგი** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰერტა | 8 | 6 | 2 | 0 | 15-5 | 20 |
| 2. ფიურტი | 8 | 6 | 1 | 1 | 14-5 | 19 |
| 3. აუე | 8 | 5 | 2 | 1 | 10-6 | 17 |
| 4. კოტბუსი | 8 | 5 | 1 | 2 | 19-13 | 16 |
| 5. დუისბურგი | 7 | 5 | 0 | 2 | 13-6 | 15 |
| 6. მიუნხენ 1860 | 8 | 4 | 2 | 2 | 11-8 | 14 |
| 7. ობერჰაუზენი | 8 | 4 | 2 | 2 | 9-8 | 14 |
| 8. ალემანია | 8 | 3 | 3 | 2 | 12-11 | 12 |
| 9. ფრანკფურტი | 8 | 4 | 0 | 4 | 9-9 | 12 |
| 10. ბოხუმი | 8 | 4 | 0 | 4 | 10-11 | 12 |
| 11. აუგსბურგი | 8 | 3 | 1 | 4 | 12-10 | 10 |
| 12. კარლსრუე | 8 | 2 | 2 | 4 | 12-19 | 8 |
| 13. პადერბორნი | 8 | 2 | 1 | 5 | 7-10 | 7 |
| 14. ოსნაბრიუკი | 8 | 2 | 1 | 5 | 13-18 | 7 |
| 15. უნიონი | 8 | 1 | 3 | 4 | 8-13 | 6 |
| 16. ფორტუნა | 8 | 2 | 0 | 6 | 6-13 | 6 |
| 17. ინგოლშტადტი | 8 | 1 | 1 | 6 | 8-15 | 4 |
| 18. არმინია | 8 | 1 | 0 | 6 | 6-14 | 3 |

**ბომბარდირები:** 7 - პეტერსენი (კოტბუსი); 5 - ჩონგი (ბოხუმი); 4 - ფრენდი (ჰერტა), ჰაიდრიხი (ოსნაბრიუკი), ლამიდი (ობერჰაუზენი), მაიერჰოფერი (დუისბურგი), რაკიჩი (მიუნხენ 1860), თურკი (აუგსბურგი), შტიბერი (ალემანია).

### III ბუნდესლიგა

#### XIII ტური

**ვერდერი II-ბრაუნშვაიგი 0:5, კობლენცი-კარლ ცაისი 1:0, აალენი-ზაარბრიუკენი 1:1, ალენი-ზანდჰაუზენი 1:1, რეგენსბურგი-ბაიერნი II 0:0, ვეენი-შტუტგარტი II 2:1, ბაბელსბერგი-ბურგჰაუზენი 0:2, უნტერჰახინგი-ოფენბახი 1:1, ჰანზა-ჰაიდენჰაიმი 2:1, ერფურტი-დრეზდენი 3:0.**

## თურქეთი. სუპერლიგა. VIII ტური

### ბურსა-ქარაბიუქი 2:2

**გოლები:** 1:0 ბაჰადირი (10), 1:1 ჩერნატი (13-პენ), 2:1 ბაჰადირი (23), 2:2 ჩერნატი (34)

### ესქიშეჰირი- ბუიუქშეჰირი 1:0

**გოლი:** 1:0 კარადენიზი (33)

### გაზიანთეფი-ბუკა 2:0

**გოლები:** 1:0 სოსა (9-პენ), 2:0 ჰოჰოფი (44)

### ბეშიქთაში-მანისა 2:3

**გოლები:** 0:1 პრომისი (7), 1:1 ბობო (14), 1:2 დიქსონი (52), 1:3 გიოქჩეკლანი (69), 2:3 ერნსტი (90)

### გენჩლერბირლიგი-ანთალია 2:3

**გოლები:** 1:0 მეჰმეთი (7-პენ), 1:1 შერაში (30), 2:1 ფეცი (62), 2:2 ტიტა (78), 2:3 ტიტა (82)

### ქასიმფაშა-ტრაბზონი 0:7

**გოლები:** 0:1 ალანზინიო (2), 0:2 ილმაზი (33), 0:3 ბულუთი (44), 0:4 ილმაზი (46), 0:5 ჯაჯა (66), 0:6 ბულუთი (81), 0:7 ჯაჯა (83)

### ქაისერი-სივასი 4:1

**გოლები:** 0:1 ზიტა (20), 1:1 კუშიმალი (28), 2:1 სანტანა (52), 3:1 დიალო (55-საკ. კარში), 4:1 სალიიეტა (83)

### გალათასარაი-ანკარაგუჯუ 2:4

**გოლები:** 0:1 აქანი (3), 0:2 ჩეჩი (51), 1:2 ბაროში (57), 1:3 შესტაკი (60), 2:3 ბაროში (65), 2:4 დ. შაჰინი (90)

**კონია-ფენერბაჰჩე** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბურსა | 8 | 6 | 2 | 0 | 13-3 | 20 |
| 2. ტრაბზონი | 8 | 5 | 2 | 1 | 20-6 | 17 |
| 3. ქაისერი | 8 | 5 | 2 | 1 | 13-14 | 17 |
| 4. ქარაბიუქი | 8 | 4 | 2 | 2 | 14-12 | 14 |
| 5. ანთალია | 8 | 4 | 2 | 2 | 12-12 | 14 |
| 6. ფენერბაჰჩე | 7 | 4 | 1 | 2 | 20-10 | 13 |
| 7. ბეშიქთაში | 8 | 4 | 1 | 3 | 14-9 | 13 |
| 8. ანკარაგუჯუ | 8 | 4 | 1 | 3 | 15-11 | 13 |
| 9. გალათასარაი | 8 | 4 | 0 | 4 | 12-12 | 12 |
| 10. ბუიუქშეჰირი | 8 | 3 | 1 | 4 | 8-9 | 10 |
| 11. გაზიანთეფი | 8 | 2 | 4 | 2 | 6-7 | 10 |
| 12. მანისა | 8 | 3 | 0 | 5 | 13-16 | 9 |
| 13. გენჩლერი | 8 | 2 | 2 | 4 | 6-13 | 8 |
| 14. ბუკა | 8 | 1 | 3 | 4 | 4-7 | 6 |
| 15. კონია | 7 | 1 | 3 | 3 | 8-12 | 6 |
| 16. ესქიშეჰირი | 8 | 1 | 3 | 4 | 5-9 | 6 |
| 17. სივასი | 8 | 1 | 3 | 4 | 7-19 | 6 |
| 18. კასიმფაშა | 8 | 0 | 2 | 6 | 5-24 | 2 |

**ბომბარდირები:** 7 - ნიანგი (ფენერბაჰჩე); 6 - ბაროში (გალათასარაი), ბობო (ბეშიქთაში), ტიტა (ანთალია); 5 - ჩერნატი (ქარაბიუქი), სიმპსონი (მანისა); 4 - ალექსი (ფენერბაჰჩე), ემენიკე (ქარაბიუქი), გუტიერესი (ტრაბზონი).




როი ჰოჯსონი და ლივერპულის ახალი მეპატრონე ჯონ ჰენრი

# გაჭირვებული არც მეზობელმა დაინდო

ღრმა გასაჭირში მყოფ „ლივერპულს" გუშინ კიდევ ერთი ლახვარი თანაქალაქელმა „ევერტონმა" ჩასცა, რითაც თავად აუტსაიდერთა რიგებს დასცილდა, უპრინციპულესი და ყველაზე საძულველი მეტოქე კი უფსკრულში ჩატოვა.

*„ლივერპულურ დერბიში თამაში ყოველთვის ძალიან ძნელია. პირველი ტაიმის ბოლოსკენ თამაშის ხარისხი საგრძნობლად გამოვასწორეთ და ამის შემდეგ მეტოქეს ბევრი თავსატეხი გავუჩინეთ. კარგად მესმის, რომ კიდევ ერთი მარცხით ჩვენს გულშემატკივრებს ძლიერ დავწყვიტეთ გული, მაგრამ დარწმუნებული ვარ, სიტუაციის გამოსწორებას უმოკლეს დროში შევძლებთ. დღეს კი საშინლად არ გაგვიმართლა"*, - თქვა „ევერტონთან" განცდილი მწარე მარცხის შემდეგ „ლივერპულის" თავკაცმა **როი ჰოჯსონმა**. ძნელი დასაჯერებელია, ნაგების უილბლობით ახსნა „წითლების" ქომაგებმა გაიზიარონ და ამასთან, არც ისაა გამორიცხული, გუნდის სატურნირო მდგომარეობის გამოსწორება სულ სხვა სპეციალისტს დაავალონ. ჰოჯსონის ბედი სულ მალე გაირკვევა, მანამდე კი პრემიერლიგის სატურნირო ცხრილში „ლივერპულის" ფანობისთვის გულისმომკვლელი მდგომარეობაა. გუნდი, რომელსაც ამ სეზონში თითქოს ჩემპიონობისთვის უნდა ებრძოლა, ბოლოსწინა პოზიციაზეა!

რალა თქმა უნდა, ყველანი დარწმუნებულები ვართ, რომ გუნდი სეზონს ამაზე გაცილებით უკეთეს ადგილზე დაასრულებს, მაგრამ მისი თამაშის შემხედვარე, ტურიდან ტურამდე ვრწმუნდებით, რომ ამ ფორმაციის „ლივერპულს" წარმატებული მომავალი არა აქვს.

ამასობაში, პოპულარულმა საფეხბურთო ვებგვერდმა goal.com-მა სახელდახელოდ შეადგინა მსოფლიოს ყველა დროის სენსაციურად გავარდნილი კლუბების რეიტინგი და იქვე პირობა დადო, რომ თუ „ლივერპული" პრემიერლიგას დაემშვიდობა, მას რეიტინგის სათავეში მიუჩენს ადგილს...

„ევერტონის" დამრიგებელი **დევიდ მოიესი** კი საკუთარი გუნდის თამაშის დონით მაინცდამაინც კმაყოფილი არ დარჩენილა, მაგრამ შეგირდების თავგანწირვით აღფრთოვანებულია. მოიესი დერბის საუკეთესო ფეხბურთელად ფილ ჟაგიელკას მიიჩნევს.

გასული ტურის უმთავრესი ამბავი მართლაც ლივერპულური დერბი იყო, მაგრამ აუტსაიდერებს თავი დავანებოთ, გამორჩეული კლუბების მატჩებს გადავხედოთ და „ოლდ ტრაფორდზე" მომხდარი სენსაციით დავიწყოთ. „იუნაიტედი" ამ სეზონში ჯერაც დაუმარცხებელია, მაგრამ რად გინდა, რვა ჩატარებული შეხვედრიდან მხოლოდ სამში გაიმარჯვა და ამ „ხუმრობა-ხუმრობაში" ერთპიროვნულ ლიდერ „ჩელსის" უკვე ხუთი ქულით ჩამორჩა, რაც ინგლისში არცთუ პატარა სხვაობად მიიჩნევა. თუკი „მანჩესტერი" აქამდე მხოლოდ სტუმრად კარგავდა ქულებს, ახლა უკვე შინ დასჯერდა ფრეს. არადა, სერ **ალექს ფერგიუსონის** ბიჭებს პირველივე ტაიმში თავი თითქოს უკვე ქუდში ჰქონდათ, მაგრამ შესვენების შემდეგ „ვესტ ბრომვიჩმა" დიდი გმირობა ჩაიდინა - „ოლდ ტრაფორდზე" ორბურთიანი ჩამორჩენის გაქვითვა მისთვის კი არა, ნებისმიერი სახელოვანი კლუბისთვის მნიშვნელოვანი მიღწევაა.

**უეინ რუნი** კი ამჯერადაც სათადარიგოთა სკამზე იჯდა და მოედანზე ოციოდე წუთი დაყო. მასსა და ფერგიუსონს შორის რომ შავმა კატამ გაირბინა, ეს უკვე ყველამ გაიგო და როგორც ამბობენ, შორს არაა ის დღე, როცა რუნი „მანიუდან" აიბარგება.

**დიდიე დროგბას** გარეშე მოთამაშე „ჩელსიმ" სტუმრად „ასტონ ვილას" ვერაფერი დააკლო და მხოლოდ ნულოვან ფრეს გამორჩა. თუმცა ამ შედეგს **კარლო ანჩელოტი** არ აუღელვებია. მან მეტოქე შეაქო და განაცხადა, ყველა თამაშს ვერ მოვიგებთ, მთავარია, რომ ჩემმა გუნდმა საჩემპიონო თამაში დღესაც აჩვენაო.

„არისტოკრატთა" დანაკარგით შესანიშნავად ისარგებლა „მანჩესტერ სიტიმ" და პირველადგილოსანს ორი ქულის დისტანციაზე მიუახლოვდა. „ბლექპულისა" და „სიტის" დაპირისპირებაში ორი თვისობრივად განსხვავებული ტაიმი ვიხილეთ. თუკი საწყისი 45 წუთი მეტისმეტად დუნე გამოდგა და ლოგიკური ნულოვანი შედეგით დასრულდა, შესვენების შემდეგ თამაში გაიხსნა და იმის გარდა, რომ ხუთი გოლი გავიდა, კიდევ ორი ამდენი საგოლე მომენტი გამოუყენებელი დარჩა. შეუდარებელი იყო **კარლოს ტევესი**. გარდა იმისა, რომ საკუთარი გუნდის გამარჯვება დუბლით უზრუნველყო, „ქალაქელთა" არგენტინელმა კაპიტანმა მთელი მატჩის განმავლობაში დაუღალავად იშრომა, ბევრი ირბინა და გონივრული პასებიც არიგა. „ბლექპულმა" ქულის გადასარჩენად ბოლომდე ვაჟკაცურად იბრძოლა და იმის მიუხედავად, რომ მსაჯის მიერ დამატებულ დროში მესამე გოლი გაუშვა, საფინალო სასტვენამდე ერთი ბურთის გაქვითვა მაინც მოასწრო.

| 15. დინამო (ს-პ) | 35 | 9 | 9 | 17 | 31-47 | 36 |
| 16. დინამო (ბრ) | 34 | 8 | 10 | 16 | 40-48 | 34 |
| 17. სალუტი | 35 | 7 | 13 | 15 | 28-40 | 34 |
| 18. როტორი | 34 | 9 | 6 | 19 | 26-57 | 33 |
| 19. ირტიში | 34 | 6 | 9 | 19 | 23-43 | 27 |
| 20. ავანგარდი | 35 | 6 | 6 | 23 | 27-60 | 24 |

## სერბეთი

VIII ტური

| | |
|---|---|
| პარტიზანი-სარტიდი | 5:3 |
| ჩუკარიჩკი-ბორჩა | 0:0 |
| მეტალაკი-იაგოდინა | 1:2 |
| ინდიია-იავორი | 1:1 |
| ოფკ-სპარტაკი | 2:0 |
| ჰაიდუკი-ვოევოდინა | 0:1 |
| რადი-ბორაცი | 3:1 |
| სლობოდა-ცრვენა ზვეზდა | 0:3 |

## სლოვაკეთი

XII ტური

| | |
|---|---|
| მორავცე-ჟილინა | 0:4 |
| კოშიცე-სლოვანი | 1:2 |
| ტატრანი-რუჟომბეროკი | 1:1 |
| დ. სტრედა-ბისტრიცა | 0:0 |
| დუბნიცა-ნიტრა | 1:1 |
| სენიცა-ტრნავა | 1:2 |

## სლოვენია

XIII ტური

| | |
|---|---|
| პუბლიკუმი-გორიცა | 1:0 |
| დომჟალე-ნაფტა | 1:1 |
| კოპერი-რუდარი | 2:1 |
| მარიბორი-ოლიმპია | 0:0 |

## მექსიკა

XII ტური

| | |
|---|---|
| ტეკოსი-ატლასი | 2:1 |
| კრუზ აზული-ს. ლაგუნა | 3:0 |
| სან ლუისი-კერეტარო | 3:2 |
| გვადალახარა-ნეკაქსა | 1:0 |
| პაჩუკა-მორელია | 1:1 |
| ატლანტე-ტიგრესი | 1:1 |
| მონტერეი-ტოლუკა | 2:0 |
| პუებლა-ამერიკა | 2:2 |
| პუმასი-ხაგუარესი | 1:0 |

## აშშ

XXVII ტური

| | |
|---|---|
| სიეტლი-ჩივასი | 2:1 |
| ჩიკაგო-დი სი იუნაიტედი | 0:0 |
| ტორონტო-კოლამბუსი | 2:2 |
| ფილადელფია-ნიუ იორკი | 2:1 |
| ნიუ ინგლენდი-კანზასი | 1:0 |
| სოლტ ლეიკი-დალასი | 2:0 |
| სან ხოსე-ჰიუსტონი | 0:1 |
| ლოს ანჯელესი-კოლორადო | 1:3 |

## სომხეთი

XXIV ტური

| | |
|---|---|
| ბანანცი-ულისესი | 0:2 |
| კილიკია-მიკა | 1:4 |
| განძასარი-შირაკი | 3:3 |
| პიუნიკი-იმპულსი | 3:3 |

## უკრაინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIII ტური

| | |
|---|---|
| ტავრია-ილიჩოვეცი | 2:2 |
| მეტალურგი (დ)-შახტარი | 0:2 |
| დინამო-კარპატი | 1:0 |
| ობოლონი-სევასტოპოლი | 2:2 |
| მეტალისტი-ვოლინი | 3:1 |
| ვორსკლა-არსენალი | 0:1 |
| კრივბასი-მეტალურგი (ზ) | 0:0 |
| დნიპრო-ზორია | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შახტარი | 13 | 11 | 1 | 1 | 25-5 | 34 |
| 2. დინამო | 13 | 9 | 2 | 2 | 20-12 | 29 |
| 3. მეტალისტი | 13 | 8 | 1 | 4 | 22-12 | 25 |
| 4. დნიპრო | 13 | 7 | 3 | 3 | 21-8 | 24 |
| 5. კარპატი | 13 | 6 | 2 | 5 | 15-13 | 20 |
| 6. არსენალი | 13 | 6 | 2 | 5 | 16-14 | 20 |
| 7. ვორსკლა | 13 | 5 | 3 | 5 | 15-14 | 18 |
| 8. მეტალურ (დ) | 13 | 5 | 3 | 5 | 16-17 | 18 |
| 9. კრივბასი | 13 | 3 | 7 | 3 | 13-16 | 16 |
| 10. ტავრია | 13 | 4 | 3 | 6 | 20-21 | 15 |
| 11. ვოლინი | 13 | 4 | 3 | 6 | 10-16 | 15 |
| 12. ილიჩოვეცი | 13 | 3 | 5 | 5 | 19-23 | 14 |
| 13. ობოლონი | 13 | 3 | 3 | 7 | 9-19 | 12 |
| 14. ზორია | 13 | 2 | 6 | 5 | 14-19 | 12 |
| 15. სევასტოპოლი | 13 | 2 | 5 | 6 | 10-21 | 11 |
| 16. მეტალურ (ზ) | 13 | 0 | 3 | 10 | 4-19 | 3 |

## აზერბაიჯანი

IX ტური

| | |
|---|---|
| ქაბალა-მუღანი | 2:0 |
| აზალ-ინტერი | 5:0 |
| ბაქუ-მოიკ | 2:1 |
| განჯა-ხაზარი | 4:1 |
| თურანი-ნეფთჩი | 2:2 |
| ყარაბახი-სიმურგი | 3:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნეფთჩი | 9 | 6 | 2 | 1 | 17-4 | 20 |
| 2. ხაზარი | 9 | 5 | 3 | 1 | 10-5 | 18 |
| 3. აზალ | 9 | 5 | 2 | 2 | 14-6 | 17 |
| 4. ინტერი | 9 | 5 | 1 | 3 | 7-8 | 16 |
| 5. განჯა | 9 | 3 | 5 | 1 | 15-9 | 14 |
| 6. ყარაბახი | 8 | 4 | 2 | 2 | 10-6 | 14 |
| 7. ქაბალა | 9 | 4 | 1 | 4 | 8-7 | 13 |
| 8. ბაქუ | 8 | 3 | 3 | 2 | 12-10 | 12 |
| 9. მუღანი | 9 | 2 | 3 | 4 | 6-9 | 9 |
| 10. თურანი | 9 | 0 | 4 | 5 | 7-15 | 4 |
| 11. მოიკ | 9 | 1 | 1 | 7 | 4-20 | 4 |
| 12. სიმურგი | 9 | 0 | 3 | 6 | 7-18 | 3 |

## არგენტინა

XI ტური

| | |
|---|---|
| სან ლორენსო-ტიგრე | 2:0 |
| კილმესი-ველეს სარსფილდი | 0:2 |
| ხიმნასია-არსენალი | 2:3 |
| ოლ ბოისი-ინდეპენდიენტე | 3:1 |
| ბანფილდი-ნიუელსი | 0:0 |
| კოლონი-ესტუდიანტესი | 1:1 |
| ოლიმპო-ლანუსი | 1:0 |
| ბოკა ხუნიორსი-ურაკანი | 2:0 |
| რასინგი-არგ. ხუნიორსი | გვ. დასრულდა |
| გოდოი-რივერ პლეიტი | გვ. დასრულდა |

## ბრაზილია

XXX ტური

| | |
|---|---|
| ატ. პარანაენსე-გოიასი | 2:1 |
| ფლამენგო-ინტერნასიონალი | 3:0 |
| ატ. გოიანიენსე-ვასკო და გამა | 2:0 |
| ატ. მინეირო-ავაი | 2:0 |
| გრემიო-კრუზეირო | 2:1 |
| გუარანი-კორინთიანსი | 0:0 |
| ვიტორია-გრემიო პრუდ | გვ. დასრულდა |
| ფლუმინენსე-ბოტაფოგო | გვ. დასრულდა |
| პალმეირასი-სეარა | გვ. დასრულდა |
| სან პაულუ-სანტოსი | გვ. დასრულდა |

## ჩილე

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| უაჩიპატო-ლა სერენა | 0:0 |
| უონდერერსი-სან ფელიპე | 2:1 |
| უნ. ესპანიოლა-უნ. დე ჩილე | 2:1 |
| სან ლუისი-იტალიანო | 1:2 |
| კობრელოა-ევერტონი | 4:0 |
| კობრესალი-უნ. კონსეპსიონი | 3:1 |
| ო'იგინსი-პალესტინო | 4:1 |
| ს. მორნინგი-ატ. ნუბლენსე | 4:1 |
| კოლო კოლო-უნ. კატოლ | გვ. დასრულდა |

## ეკვადორი

XV ტური

| | |
|---|---|
| უნ. კატოლიკა-ინდეპენდიენტე | 1:2 |
| დეპ. კიტო-ელ ნასიონალი | 1:0 |
| ესპოლი-დეპ. კუენკა | 2:5 |
| ოლმედო-ლდუ კიტო | 0:3 |
| მანტა-ბარსელონა | 1:0 |

## ურუგვაი

VIII ტური

| | |
|---|---|
| სერო-რივერ პლეიტი | 0:0 |
| ფენიქსი-მირამარი | 2:1 |
| დანუბიო-დეფენსორი | 1:1 |
| ელ ტანკე-მონტევიდეო | 1:1 |
| ლივერპული-ბელა ვისტა | 1:1 |
| რამპლა-სენტრალი | 2:2 |
| რასინგი-ნასიონალი | 2:2 |

## იაპონია

XXVI ტური

| | |
|---|---|
| შონანი-კაშიმა | 1:1 |
| ვეგალტა-ტოკიო | 3:2 |
| ჰიროშიმა-ჯუბილო ივატა | 1:1 |
| ურავა-სერეზო | 2:0 |
| კავასაკი-იამაგატა | 2:0 |
| გამბა-ომია | 5:1 |
| შიმიზუ-კიოტო | 1:1 |
| იოკოჰამა-კობე | 1:0 |
| ნიიგატა-ნაგოია | 4:1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. როტერდამის დიდი პრიზი

# ლიპარტელიანებმა ვერცხლით დაასრულეს

**სოსო ლიპარტელიანმა** თითო ოქრო-ვერცხლით დაამთავრა გამოსვლა ეროვნული ნაკრების თავკაცის რანგში თავის სადებიუტო ტურნირში, როტერდამის „დიდ პრიზზე" - პარასკევს **ამირან პაპინაშვილის** (60) მიერ მოპოვებულ ოქროს გუშინ ვერცხლი **ვალერი ლიპარტელიანმა** (90) შემატა. არადა, თავისუფლად შეიძლებოდა, შეჯიბრება ორი ოქროთი დამთავრებულიყო, მაგრამ ლიპარტელიანის წაგებულ ფინალში იქნებ ცოტ-ცოტა მსაჯთა ხელიც ურევია. არა, მათ მეტოქისთვის დაუმსახურებელი ქულა არ მიუციათ, მაგრამ ფრედ დასრულებული შეხვედრის ბოლოს იაპონელ **იუია იოშიდას** რატომ მისცეს მოგება, ცოტა ძნელი სათქმელია. მართალია, ლიპარტელიანმა ქულა ვერ გააკეთა, მაგრამ განა იოშიდამ რა ქნა ასეთი, მოგება რომ დაიმსახურა?! თუმცა უკვე ვერაფერს შევცვლით, ლიპარტელიანს კი ისღა დარჩენია, სამომავლოდ ფინალებში უფრო იაქტიუროს და მოგება არა მარტო მეტოქეს, მსაჯებსაც გამოსტაცოს.

მთლიანობაში ტურნირი სოსო ლიპარტელიანს დადებითად კი ჩაეთვლება, მაგრამ სამუშაოც რომ თავსაყრელი ელოდება, ესეც ფაქტია. როტერდამში წასული შემადგენლობიდან უმეტესობამ უსუსურად იჭიდავა, მათგან კი რამდენიმე ნაკრების ლიდერია. საერთოდ, მწვრთნელს ჰოლანდიაში უძლიერესი გუნდი არ წაუყვანია, მაგრამ მაინც ლამის ოპტიმალურ შემადგენლობას უხმო და ნაკრების სამომავლო კონტურებზეც გარკვეულ წარმოდგენას შეიქმნიდა. ჯერ დასკვნების გამოტანა ადრეა - წინ ახალი სეზონისთვის მზადების ეტაპია, რაც, როგორც გვპირდებიან, სრულიად ახალ ვითარებაში, ბევრად გაზრდილი დატვირთვებით და ასევე გაზრდილი პასუხისმგებლობით ჩაივლის. ვნახოთ, ვინ როგორ დაძლევს მას, მაგრამ, „თავისუფალი" და ბერძნულ-რომაული ნაკრებებისა არ იყოს, „ახალი სისხლის" საჭიროება ზოგიერთ წონაში აქაც აუცილებელი გვგონია - რამდენიმე ლიდერი ერთ ადგილზე გაჩერდა და ზედიზედ რამდენიმე სეზონია, შედეგს ვერ აჩვენებს. მწვრთნელთა საქმეში არ ვერევით, მაგრამ იქნებ სჯობდეს, მათ ნაცვლად უფრო თამამად ენდონ ახალგაზრდებს. თუმცა საქართველოს ჩემპიონატსაც დაველოდოთ, რომელიც, ალბათ, გარკვეულ საკადრო გადაადგილებებს ისედაც გამოიწვევს, მწვრთნელთა ჩარევის გარეშე. ქვეყნის პირველობა ნოემბრის ბოლოს ჩატარდება. სავარაუდოდ, თბილისში, მანამდე კი ჩვენს ძიუდოისტებს მსოფლიოს გუნდური პირველობა ელით - 30-31 ოქტომბერს ტარდება ანთალიაში.

**73 კგ**

ახალგაზრდებში ევროპის ბრინჯაოს პრიზიორ **ნუგზარ ტატალაშვილის** გამოსვლამ ახლაც გაორებული გრძნობა დაგვიტოვა - უმედლოდ დარჩა, მაგრამ ვერც სუსტად გამოსვლას დავაბრალებთ. პირველ წრეში ძლიერი მეტოქე არ ჰყავდა - იტალიელი **ლუკა პოეტა**, მაგრამ სასიხარულოა, რომ პირწმინდად დაჩაგრა და თუმცა ვაზარი დაკარგა, თვითონ ორი სოლიდური გდება გაუკეთა, რომელთაგანაც ერთი ვაზარი იყო, მეორე - იპონი. ჩვენებური მეორე წრეში დამარცხდა მომავალ ფინალისტთან, მასპინძელ **დექს ელმონტთან**. ჰოლანდიელმა შარშან თბილისში გამართულ ევროპის პირველობაზე ვერცხლი მოიპოვა, წლეულს კი ამავე სინჯის მედალს მსოფლიოს პირველობაზე დაეუფლა, ანუ კარიერის პიკზეა, მაგრამ ტატალაშვილმა არაფერი დაუთმო. ამას ისიც მოწმობს, რომ მეტოქე ორჯერ გააფრთხილებინა (თვითონაც ამდენივე გაფრთხილება მიიღო), ბოლოს კი უფრო გამოუცდელობით დამარცხდა, თორემ ელმონტს კლასის ხარჯზე ნამდვილად არ მოუგია. აქვე გეტყვით, რომ შაბათს ამ ტურნირის ფინალში ელმონტთა ოჯახის მეორე წევრი, მსოფლიოს 2005 წლის ჩემპიონი **ხიიომ ელმონტიც** (81) გავიდა და, უმცროსი ძმისგან განსხვავებით, ფინალი მოიგო.

ამ წონაში წარუმატებლად გამოვიდა **ზაზა კედელაშვილი** - პირველივე შეხვედრა წააგო ქართული წარმოშობის ებრაელ **იოსებ ფალელაშვილთან**.

**81 კგ**

სამწუხაროდ, ამ წონაში **იოსებ წელაური** და **ლევან ნიკლაურიც** ძალზე ცუდად გამოვიდნენ. წელაური საქართველოს ჩემპიონია, თუმცა აქამდე უცხოეთში თავის გამოჩენის შანსი თითქმის არ ეძლეოდა. სოსო ლიპარტელიანმა გარკვეულწილად ის ამ ხარვეზის შესავსებად წაიყვანა, თუმცა ეს მხოლოდ საკომპენსაციო სვლა არ ყოფილა - მწვრთნელი შეგირდს ვარჯიშებზეც აკვირდებოდა და მიიჩნია, რომ იმსახურებდა შანსს. სამწუხაროდ, შეგირდმა იმედები ვერ გაუმართლა - პირველივე წრეში უტიტულო ფინელ **ანტი ვირტასთან** წმინდად დამარცხდა. არადა, იმ საბედისწერო იპონამდე ანგარიში თანაბარი იყო - თითო ვაზარი და თითო გაფრთხილება. ევროპის პრიზიორმა ნიკლაურმა პირველი შეხვედრა ვაზარ-იპონით მოიგო თურქ **ჰალილ ოზერლერთან**, მაგრამ ფრანგ **ალენ შმიდტს** უკვე ველარ გასცდა - იპონით დამარცხდა.

**90 კგ**

ამ წონაში დიუსელდორფის „დიდი პრიზის" წლევანდელი გამარჯვებული იაპონელი **იუია იოშიდა** ბედისწერად გვექცა - **ზვიად გოგოჭურს** მეოთხედფინალში მოუგო, ვალერი ლიპარტელიანს - ფინალში. გოგოჭურს მასთან აქამდე დადებითი ბალანსი ჰქონდა - შარშან ბუდაპეშტის დიდ პრიზზე მოუგო, ლიპარტელიანი კი მას არასოდეს შეხვედროდა.

ვალერი სუსტად არ გამოსულა და რიგ შეხვედრებში საკმაოდ მაღალი დონე წარმოაჩინა. მეტოქეებიც არ იყვნენ სუსტები, თუმცა თავიდან სწორედ ასეთს შეხვდა - ვენესუელელ **ხოსე კამაჩოს** და ძალიან მალე იპონითაც გაისტუმრა ტატამიდან. ასეთივე დღე აყარა 23-წლიანებში ევროპის პოლონელ ჩემპიონ **კშიშტოფ ვეგლარცსაც**. აქ ცოტა მსაჯებიც სცოდავდნენ მასთან მიმართებაში - ერთთავად გაქცევაზე გამეცადინებულ პოლონელს არა და არ აფრთხილებდნენ, თუმცა ჩვენებურმა, როგორც კი ხელსაყრელი მომენტი ჩაუვარდა, მაშინვე დააიპონა. მესამე წრეში სახელიანი ესპანელი **დავიდ ალარზა** ელოდა, რომელთანაც დადებითი ბალანსი აქვს - შარშან თბილისში ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში მოუგო. გუშინ ამ სასიამოვნო ისტორიას კიდევ ერთი ფურცელი შეემატა - ლიპარტელიანმა მორიგი იპონი და იოლი გამარჯვება მიითვალა. ჩვენებურმა ნახევარფინალში რუსი **კირილ ვოპროსოვი** იუკოთი დაამარცხა, თუმცა, ანგარიშის მიუხედავად, საკმაოდ დიდ უპირატესობას ფლობდა. რაც შეეხება ფინალს, ის აბსოლუტურად თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და მსაჯთა გადაწყვეტილება გულდასაწყვეტია. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ სამივემ იაპონელს მისცა მოგება. არადა, მას არაფერი გაუკეთებია ისეთი, უპირატესობა რომ მიეცათ.

გოგოჭური უმედლოდ დარჩა, მაგრამ მისი გამოსვლა მაინც დადებითად უნდა შევაფასოთ. სხვა თუ არაფერი, მარტო ის რად ღირს, რომ პირველ წრეში სულ რაღაც 25 წამში მშვენივრად დააიპონა შვედი **არტურ ნიმანი**, რომელმაც ევროპის წლევანდელი პირველობის ფინალში ლიპარტელიანი დაგვიმარცხა. ის ნამდვილად არაა ურიგო მოჭიდავე და იქნებ ბევრს არც სჯეროდა მასთან წარმატებისა. გოგოჭურმა შვედს საკმაოდ გამოცდილი შვეიცარიელი **დომინიკ ჰიშირიც** მიაყოლა ასევე წმინდა მოგებით, იოშიდასთან კი ძალზე თანაბარ ბრძოლაში წააგო. ამანაც - უფრო გამოუცდელობით. გოგოჭურის გამოსვლა იმიტომაც იმსახურებს პატივისცემას, რომ მას მხედველობის სერიოზული პრობლემები აქვს, მაგრამ მაინც მუდამ ჟინიანად და შემართებით ჭიდაობს. ის როტერდამში საკუთარი ხარჯით წავიდა, თუმცა მასთან დაკავშირებით ლამის მუდამ ასე ხდება.



ვალერი ლიპარტელიანი

**100 კგ**

**დავით ლორიაშვილმა** გაგვაკვირვა - შედარებით ძლიერ უკრაინელთან, 23-წლიანებში ევროპის ჩემპიონ **არტემ ბლოშენკოსთან** მოიგო და რუს **სერგეი სამოილოვიჩთან** წააგო! მართალია, მეხუთეზე მაინც დარჩა ავტომატურად, რადგან ამ წონაში ბევრი ხალხი არ გამოდიოდა და თან, ამ რანგის ტურნირებში სანუგეშო წრე არ ტარდება, მაგრამ არა მგონია, ეს შედეგი, უპირველესად, მას აკმაყოფილებდეს.

**+100 კგ.**

სუსტად გამოვიდა **ადამ ოქრუაშვილიც**. პირველ შეხვედრაში მასპინძელ **ბენჯამინ ვან ლეეუვაარდეს** ვაზარი ამოუქაჩა და იპონით მოუგო, მაგრამ ლატვიელ **ვლადიმირს ოსნაჩსთან** წმინდად დამარცხდა.

**ირაკლი თავაძე**

**კვარცხლბეკი. ვაჟები.**

**73 კგ.** 1. ჟოაო პინა (პორტუგალია), 2. დექს ელმონტი (ჰოლანდია), 3. ტომაშ ადამიეცი (პოლონეთი), მურატ კოძოკოვი (რუსეთი).

**81 კგ.** 1. ხიიომ ელმონტი (ჰოლანდია), 2. ტაკაჰირო ნაკაი (იაპონია), 3. ანტონიო ჩიანო (იტალია), სერგეი ტომა (მოლდოვა).

**90 კგ.** 1. იუია იოშიდა (იაპონია), 2. **ვალერი ლიპარტელიანი (საქართველო)**, 3. მილან რანდლი (სლოვაკეთი), კირილ ვოპროსოვი (რუსეთი).

**100 კგ.** 1. ჰენკ ხროლი (ჰოლანდია), 2. ევგენიუს ბოროდავკო (ლატვია), 3. მარტინ პაცეკი (შვედეთი), სერგეი სამოილოვიჩი (რუსეთი).

**+100 კგ.** 1. ჰიროკი ტაჩიამა (იაპონია), 2. ვლადიმირს ოსნაჩსი (ლატვია), 3. პაოლო ბიანჩესი (იტალია), სტანისლავ ბონდარენკო (უკრაინა).

**ქალები.**

**63 კგ.** 1. ელიზაბეტ ვილბოორდსე (ჰოლანდია), 2. ურსკა ზოლნირი (სლოვენია), 3. კლაუდია მალზანი (გერმანია), ანიცკა ვან ემდენი (ჰოლანდია).

**70 კგ.** 1. ჰარუკა ტაჩიმოტო (იაპონია), 2. ერიკა ბარბიერი (იტალია), 3. ლინდა ბოლდერი (ჰოლანდია), მარიე პასკო (საფრანგეთი).

**78 კგ.** 1. აკარი ოგატა (იაპონია), 2. ოდრი შუმო (საფრანგეთი), 3. კაილა ჰარისონი (აშშ), კატრინ ჯასკო (ბელგია).

**+78 კგ.** 1. გულსაჰ კოცათურქი (თურქეთი), 2. ანე-სოფიე მონდიერე (საფრანგეთი), 3. ბელკის ზერა კაია (თურქეთი), ლუსია ტანგორე (იტალია).

ავტოსპორტი



# რომპეტროლის სეზონი 2010 მცხეთაში გაიმართა

17 ოქტომბერს მცხეთაში „რომპეტროლის სეზონი 2010"-ის ფარგლებში, პროფესიონალ და მოყვარულ წყვილთა შორის საავტომობილო რბოლა გაიმართა.

რბოლამ სტარტი ამფითეატრის ტერიტორიაზე აიღო. პირველ ეტაპზე პროფესიონალებმა იასპარეზეს, მოგვიანებით კი რბოლაში მოყვარულებიც ჩაებნენ. „რომპეტროლ საქართველოს" ხელშეწყობით საავტომობილო ფედერაციამ იმ მოყვარულებს, რომლებსაც უკვე გააჩნიათ საავტომობილო ფედერაციის მიერ გაცემული ლიცენზიები, წყვილთა რბოლაში მონაწილეობის საშუალება მისცა. პროფესიონალებს შორის პირველობისთვის 14 მრბოლი იბრძოდა, მოყვარულებში — 35.

საგანგებოდ ამ დღისთვის „რომპეტროლ საქართველომ" საპრიზო ფონდი 1000 ლიტრით გაზარდა. ასპარეზობის შემდეგ პროფესიონალებსა და მოყვარულებს შორის საწვავი თანაბრად, დაკავებული ადგილების მიხედვით განაწილდა.

„რომპეტროლ საქართველოს" გენერალური დირექტორის **ალექსანდრ ალბინის** განცხადებით, კომპანია მიესალმება ავტოსპორტის როგორც პროფესიულ, ასევე სამოყვარულო დონეზე პოპულარიზაციას და ყოველთვის მზადაა წაახალისოს ის ადამიანები, რომლებსაც საავტომობილო რბოლებში მონაწილეობა სურთ.

„რომპეტროლ საქართველო" ავტოსპორტის აქტიური მხარდამჭერია და საავტომობილო ფედერაციას ამ სპორტის აღორძინებაში უკვე სამი წელიწადია, ეხმარება. გვიხარია, რომ ავტოსპორტის განვითარებაში „რომპეტროლს" დიდი წვლილი შეაქვს, ხოლო მრბოლთა წარმატებები სტიმულს გვაძლევს, მოყვარულებსაც მივცეთ საშუალება, მონაწილეობა მიიღონ ისეთ შეჯიბრებაში, როგორიც მცხეთაში იმართება. ამიტომაც საგანგებოდ ამ ღონისძიების საპრიზო ფონდისთვის „რომპეტროლმა" 1 ტონა საწვავი გამოყო, — აცხადებს ალექსანდრ ალბინი.

რალის შემდეგი ეტაპი 24 ოქტომბერს ჩატარდება. სტარტს თბილისიდან აიღებს და ალგეთში გაგრძელდება, სადაც პროფესიონალი მრბოლები სპეციალურ მონაკვეთებს გაივლიან და შემდეგ თბილისში დაბრუნდებიან.

2008 წლიდან ავტოსპორტის გენერალური სპონსორი „რომპეტროლ საქართველოა". კომპანია ყველა ეტაპზე უზრუნველყოფს საწვავით მრბოლებს, ასაჩუქრებს გამარჯვებულებს და ტრადიციად აქცია მათი წარმატებების შეჯამება გალა-დაჯილდოების ცერემონიალზე, რომელიც ყოველი ახალი ეტაპის დაწყებამდე ტარდება.

ავტოსპორტის ეროვნული ფედერაცია R

ჩოგბურთი

# ქართული კალაშნიკოვის მე-13 გასროლა

## ჩვენ შემდეგ ხანგრძლივი ჩავარდნა იქნება

კარიერაში მე-13 ტიტული **ოქსანა კალაშნიკოვამ** (213) 9-თვიანი ლოდინის შემდეგ მოიგო - ხარკოვის საერთაშორისო ტურნირში (25 ათასი დოლარი) ჩვენებური პირველ ნომრად იყო განთესილი და მან ფინალში მე-8 ნომრად განთესილი რუსი **დარია კუჩმინა** (343) სამ სეტში დაამარცხა - 7:5, 4:6, 6:4. ეს 20 წლის ოქსანას მე-5 ტიტულია ერთეულთა თანრიგში.

უკრაინულ ტურნირში რუსი და ქართველი ჩოგბურთელების ფინალური დაპირისპირება უკვე ტრადიციად იქცა. წლეულს, ხარკოვის „საპრონოვის სერიის" მე-3 ტურნირის ფინალში რუსმა **ნატალია რიჟენკოვამ** და **თათია მიქაძემ** ითამაშეს. კალაშნიკოვას მეტოქე 18 წლის დარია კუჩმინა უნივერსალური მოთამაშეა, სტაბილურად კარგად თამაშობს შეტევასა და დაცვაში, ის კარგად უმკლავდება მეტოქის მიერ ტემპის ცვლას და რთულ დარტყმებს.

>> გაგრძელება მე-13 გვერდზე



 შაბათის ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**ჰორიზონტალურად:** 1. უიმბლდონი; 7. ვიალი; 9. გრეცკი; 10. "ანჟი"; 12. რივერ; 13. ეუსებიო; 14. რევანში; 15. ფილიდორი; 17. ელია; 18. "ცხუმი"; 20. შტუტგარტი; 22. არსენიანი; 24. ნოა; 28. სიჭინავა; 29. ჯილდაობა; 30. ბენიტესი; 31. კანავარო.

**ვერტიკალურად:** 1. „უიგანი"; 2. მრეტები; 3. ლაკოსტი; 4. იუნიორი; 5. კვირკველია; 6. იაკვინტა; 8. იორკი; 11. აბსოლუტური; 15. "ფახთაკორი"; 16. ლომიძე; 19. ეტიენი; 21. ტონგა; 23. ილიჩი; 25. "ლაციო"; 26. ოდია; 27. კოკა; 28. საბო.

შაბათის ნომერში გამოქვეყნებული ვიქტორინის პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ა, 4-ბ, 5-გ.

ქ. თბილისის მერიის გ. ეგნატაშვილის სახელობის სპორტის სახეობათა ფილიალის თანამშრომლები, პირადად მისი დირექტორი როზა ბერიკაშვილი ღრმა სამძიმარს უცხადებენ მსოფლიოს ჩემპიონს სპორტულ ტანვარჯიშში, ტანვარჯიშულ სახეობათა ეროვნული ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტს რუსუდან სიხარულიძეს შვილის ირაკლის გარდაცვალების გამო.

დაკრძალვა 19.X. ბათუმში, 15 საათზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. ლეგიონი

# ფაჩულიამ მბენგა მოისტუმრა და გორტატს ელის

**ზაზა ფაჩულიამ** აგვისტოში, ბელგიასთან მატჩის წინ დანანებით აღნიშნა - ცუდია, **დიდიე მბენგა** რომ არ იქნება, NBA-ს კალათბურთელების წინააღმდეგ თამაში ყოველთვის მსიამოვნებსო. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მბენგას არყოფნაში ბელგიის ნაკრებში ნატურალიზებული კალათბურთელის ადგილი **მარკუს ფეისონმა** შეავსო. რაოდენ დიდი წვლილი შეიტანა მარკუსმა ბელგიელთა წარმატებაში, ეს ქართველ გულშემატკივარსაც ახსოვს. თუმცა შეიძლება გაუკვირდეს - რა შუაშია ბელგია და NBA-ს საგამოფენო მატჩი. საქმე ისაა, რომ ზაზა ფაჩულიამ დიდიე მბენგას წინააღმდეგ ითამაშა და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ გაცილებით უკეთესი იქნებოდა, საქართველოში მბენგა ჩამოსულიყო, ვიდრე ფეისონი.

დიდიე დაცვითი სტილის ცენტრია (ერთხელ ზაზასაც დაუფარა), რომელსაც მწვრთნელები ძლიერი მოწინააღმდეგეების განეიტრალებას სთხოვენ, შეტევაში კი ბევრით ვერაფრით გამოირჩევა (2 ქულა, 1 მოხსნა). აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ „ნიუ ორლეანთან" დამაგვირგვინებელ ფაზაში ვერც ფაჩულიამ იყოჩაღა - ოთხივე ორქულიანი ააცილა. თუმცა, მბენგასგან განსხვავებით, ზაზამ წინა შეხვედრებშიც და განვლილ სეზონებშიც დაამტკიცა, რომ იმ ტიპის ცენტრებს მიეკუთვნება, რომლებსაც შეტევის ზუსტი სროლით დასრულება ძალუძთ. ეს პოლონელ **მარცინ გორტატთან** ურთიერთშეხვედრისას 2 აგვისტოსაც ვნახეთ. სხვათა შორის, ქართველ ცენტრს დღესვე კიდევ ერთხელ მოუწევს გორტატთან თამაში - „ატლანტა" „ორლანდო მეჯიქს" მიიღებს.

ვიდრე სტატისტიკას დახედავდეთ, გეტყვით, რომ „ნიუ ორლეანთან" გამარჯვება „ატლანტა ჰოქსის" სეზონის პირველი მოგება იყო, გუნდის თავკაც **ლარი დრიუსთვის** კი მთავარი მწვრთნელის პოსტზე პირველი წარმატება...

**ნიუ ორლეანი-ატლანტა 74:84**

ზაზა ფაჩულია: 16 წუთი, 1 ქულა, 4 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 ფოლი, 3 შეცდომა

**I პერიოდი**

| | |
|---|---|
| 01:44 | ზაზამ პორფორდი შეცვალა |
| 01:43 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 00:43 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |
| 00:31 | შეცდომა: 1 (ბურთი დაკარგა) |

**II პერიოდი**

| | |
|---|---|
| 10:43 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 10:12 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 10:07 | ფოლი: 1 |
| 09:46 | მოხსნა: შეტ-0, დაც-3 |
| 09:01 | ჩაჭრა: 1 (სტოიაკოვიჩს ჩაუჭრა) |
| 08:13 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 06:13 | სმიტმა ზაზა შეცვალა |
| 00:27 | ზაზამ სმიტი შეცვალა |

**III პერიოდი**

| | |
|---|---|
| 03:58 | ზაზამ უილიამსი შეცვალა |
| 03:24 | საჯარიმოები: 2/0 |
| 00:29 | მოხსნა: შეტ-0, დაც-4 |

**IV პერიოდი**

| | |
|---|---|
| 10:41 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 10:29 | შეცდომა: 2 (ბურთი დაკარგა) |
| 10:03 | ფოლი: 1 |
| 09:46 | საჯარიმოები: 2/1 (1ძ, 66:62) |
| 08:33 | შეცდომა: 3 (ბურთი დაკარგა) |
| 07:45 | პორფორდმა ზაზა შეცვალა |

ვაჟა სიმონიშვილი



# ცქიტიშვილის გადამწყვეტი სამქულიანები

სათაურში მოხმობილი ფრაზა გუშინ თითქმის ყველა ესპანურმა სპორტულმა გამოცემამ დაბეჭდა. ეს შემთხვევითი არ იყო - **ნიკა ცქიტიშვილმა** შორეული ტყორცნებით „ლაგუნ აროს" „მენორკასთან" გასვლითი მატჩი მოაგებინა.

შეხვედრის დასრულებამდე 2 წუთით ადრე სტუმარი ლაგუნელები 2 ქულის სხვაობით იგებდნენ (76:74), მატჩი ბოლო წამებამდე ქულა-ქულაში გაგრძელდებოდა, რომ არა ცქიტიშვილის აფეთქება: მან გადამწყვეტ მომენტში ერთმანეთის მიყოლებით ორი სამქულიანი ჩააგდო და ბასკები 82:76 დაანინაურა. სირენამდე 2 წუთით ადრე 6-ქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა კუნძულელებმა ველარ მოახერხეს და „ლაგუნ არომ" სეზონში მეორე გამარჯვება გაიფორმა - 96:87.

სკიტამ 15 ქულა ჩააგდო, საიდანაც 11 მეოთხე პერიოდში მოინაგრა. მან 23 წუთი ითამაშა, 4-დან 2 ორქულიანი, 4-დან 3 სამიანი, 3-დან 2 საჯარიმო გამოიყენა, 15 ქულის გარდა 2 მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემა მიითვალა.

ბოლო წუთებზე ჩაგდებული ჯარიმების წყალობით 20-ქულიანი ბარიერი გადალახეს „ლაგუნ აროს" უკანახაზელებმა **სალგადომ** (22) და **ბარონმა** (25).

სამი ტურის შემდეგ ცქიტიშვილის თანაგუნდელებს 2 მოგება მოუგროვდათ და ცხრილის შუიდან ზედა ნაწილში აინაცვლეს. „ლაგუნ არო" მომდევნო ტურში **ტაირონ ელისის** „ესტუდიანტესს" უმასპინძლებს. მატჩი 24 ოქტომბერს ჩატარდება.

ვაჟა სიმონიშვილი

# ორი-ორზე

## ცინცაძის 11, როკის 77

ბალტიის ლიგაზე ლიტვურ „ნევეჟისთან" საშინაო ნაგების შემდეგ **გიორგი ცინცაძის** „ტარტუ როკმა" ძალა მოიკრიბა და მეორე დღეს ასევე ლიტვური „შიაულიაი" დაამარცხა - 77:65.

„როკერებმა" მატჩის პირველი მეოთხედი 19:13 მოიგეს, მეორე - 24:12 და მეორე ტაიმში უპირატესობის შენარჩუნება აღარ გასჭირვებიათ.

გიორგი ცინცაძე სათადარიგო იყო, 25 წუთი ითამაშა, 11 ქულა, 3 მოხსნა და 1 პასი მიითვალა. მის მიერ ნატყორცნი 3 სამქულიანიდან მიზანს ორმა მიაღწია.

„როკის" ბომბარდირი ამჯერადაც **კალისტას ეზიუკვუ** გახდა - 17 ქულა და 9 მოხსნა.

4 ტურის შემდეგ ტარტუელებს 2 მოგება და ამდენივე ნაგება უწერიათ და სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილზე არიან. ისინი მომდევნო შეხვედრას 19 ოქტომბერს ჩაატარებენ, ტალინის ტტუ-ს უმასპინძლებენ. ეს მატჩი ესტონეთის ჩემპიონატის ეგიდით გაიმართება.



ვაჟა სიმონიშვილი

# ჩამყრელიძე!

**ლაშა გამყრელიძე** და „გისენი" აღარ ხუმრობენ. ისინი ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილის სამეულში არიან - 4 მოგება, 1 ნაგება.

გუშინ ლაშამ „გისენს" მეოთხე მატჩი მოაგებინა - „ულმი" 88:81 დაამარცხა. წარმატების ქართველისთვის მიწერა გადაჭარბებული სულაც არ არის - მაშინ, როცა შეხვედრის ბედი წყდებოდა, გამყრელიძის შეჩერება ვერც ერთმა ულმელმა მოახერხა: სირენამდე 7:35 წუთით ადრე ლაშამ დრიბლინგი ორქულიანით დაასრულა, რის შემდეგაც „გისენმა" 8-ქულიანი ფორა მოიპოვა (71:63). გავიდა ოთხი წუთი და სხვაობა ისევ 8 ქულა იყო. სწორედ ამ დროს გამყრელიძემ ერთმანეთის მიყოლებით ორი ორქულიანი ჩააგდო და მატჩის დასრულებამდე 2:11 წუთით ადრე ტაბლოზე 81:69 დააფიქსირა. ეს უკვე გამარჯვებას ნიშნავდა...

„გისენის" ქართველი გამთამაშებლის მონაგარი ეფექტურად გამოიყურება: 32 წუთი, 12 ქულა, 6 მოხსნა, 6 პასი, 1 ჩაჭრა.

გერმანიის ჩემპიონატში მეოთხე და მეხუთე ტურები ერთმანეთს გადაება. „ულმთან" მატჩზე უკვე მოგითხრეთ, ახლა ორიოდე სიტყვას „ოლდენბურგი" „გისენის" შეხვედრაზე ვიტყვით. ამ მატჩამდე ორივე გუნდი უძლეველი იყო.

მესამე პერიოდის შემდეგ ოლდენბურგელები 60:48-ს იგებდნენ. მეოთხის დასაწყისში ლაშა გამყრელიძემ ჯერ ორქულიანი ჩააგდო, შემდეგ სამიანი, ამას მოჰყვა შედეგიანი პასი **ფრისის** მისამართით და სხვაობა ხუთ ქულამდე შემცირდა (55:60). გამოფხიზლებულმა გისენელებმა ბოლომდე იბრძოლეს, თუმცა მარცხს თავი მაინც ვერ აარიდეს - 67:74.

ლაშამ 28 წუთში 7 ქულა, 3 პასი, 3 მოხსნა და 1 ჩაჭრა მოინადირა.

ვაჟა სიმონიშვილი

# შენგელიამ კასტელსი დაამარცხა

საქართველოს ნაკრების ახალგაზრდა ფორვარდმა **თორნიკე შენგელიამ** ბელგიის ჩემპიონატში სადებიუტო მატჩი ჩაატარა. მისმა „პეპინსტერმა" „ანტვერპენს" უმასპინძლა და 98:84 დაამარცხა.

კალათბურთს მოწყურებულმა პეპინსტერელებმა მრისხანე მეტოქესთან პირველივე ტაიმში მოითავეს საქმე - დიდ შესვენებაზე 17-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ (57:40). მასპინძლებმა სტუმრებს არც მეორე ტაიმში დაუთმეს რამე და სეზონი გამარჯვებით გახსნეს.

„პეპინსტერისგან" განსხვავებით, „ანტვერპენი" ბელგიური კალათბურთის ფლაგმანია. მას ამ ქვეყნის ნაკრების თავკაცი **ედი კასტელსი** წვრთნის. 16 ოქტომბრის მატჩში შენგელიას სამ მეტოქეს 20 აგვისტოს თბილისშიც უთამაშია: **როელ მოორსს, რენდი ოვენეკეს** და **ვან დერ იონკჰეიდს**.

თორნიკემ მათთან ბრძოლაში საკუთარი შესაძლებლობები კარგად წარმოაჩინა: 18 წუთში 7 ქულა, 5 მოხსნა და თითო ჩაჭრა-პასი-დაფარება მიითვალა. მან 4-დან 3 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო. ახალგაზრდა შენგელია მოედანზე სათადარიგოთა სკამიდან შევიდა. სასტარტო ხუთეული ძირითადად ამერიკელებმა შეავსეს. მატჩის ბედიც სწორედ ოკეანისგაღმელებმა გადაწყვიტეს: **დომინიკ ვოტერსმა** 26 ქულა ჩააგდო, **სტეფონ ჯექსონმა** - 21, **რაშუან ფრიმანმა** - 20.

ზემოთ პეპინსტერელებს „კალათბურთს მოწყურებულები" იმიტომ ვუწოდეთ, რომ ისინი ორი კვირაა, იცდიან... ბელგიის ჩემპიონატი 2 ოქტომბერს დაიწყო. შეჯიბრებაში 9 კლუბი მონაწილეობს და ყოველ ტურს ერთი გუნდი ტოვებს. პირველ დღეს სწორედ შენგელიას თანაგუნდელებს მოუწიათ დასვენებამ. მეორე ტურის მატჩი 10 ოქტომბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ „პეპინსტერის" მეტოქე „შარლერუა" საერთაშორისო სარბიელზე თამაშისთვის ემზადებოდა და ბელგიის ჩემპიონატის მატჩი გადაიდო. „პეპინსტერის" უახლოესი მატჩი 23 ოქტომბერს იგეგმება - „მონსს" ეწვევა.

ვაჟა სიმონიშვილი

ჭადრაკი

# მძიმედ შეუდგნენ აღმართს

EUROPEAN CHESS CLUB CUP PLOVDIV 2010

პლოვდივში გუშინ დაიწყო მოჭადრაკეთა ევროპის საკლუბო ჩემპიონატი, რომელშიც ქალთა 14 და ვაჟთა 49 გუნდი მონაწილეობს. მანდილოსნები 4, მამაკაცები კი 6 დაფაზე ცდიან ძალებს. საქართველოდან მონაწილეობს თბილისის „სამაია", რომელსაც შეჯიბრებაზე მეორე წელიწადია, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი აფინანსებს. ქართველ ქალთა გუნდმა შარშან მაკედონიაში მე-3 ადგილი დაიკავა. ბრინჯაოს მოპოვებაში თავისი წვლილი შეიტანეს **მაია ჩიბურდანიძემ, ლელა ჯავახიშვილმა, მაია ლომინეიშვილმა, სოფიო ხუხაშვილმა** და **სალომე მელიამ**. წლეულს გუნდი ნაწილობრივ გადახალისდა. ლომინეიშვილისა და ხუხაშვილის ნაცვლად **ნინო ხურციძე** და **ბელა ხოტენაშვილი** თამაშობენ. საგულისხმოა, რომ ჩიბურდანიძემ და ხურციძემ 2006 წელს ერევნის „მიკას" შემადგენლობაში მოიგეს ევროპის საკლუბო ჩემპიონატი, 2007 წელს კი ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს. ნინოს ჯერ კიდევ 2001 წელს ბელგრადის „აგროუნივერსალთან" ერთად აქვს მოპოვებული ოქროს მედალი. „სამაიას" ამჟამინდელი შემადგენლობიდან ევროპის საკლუბო პირველობებზე ყველაზე მეტი ჯილდო ლელა ჯავახიშვილმა შემატა საკუთარ კოლექციას - 2-2 ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო.

ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება, ქომაგებს ევროპის საკლუბო ჩემპიონატებზე 2002 წლიდან ქართველ ქალთა მონაგარი შევახსენოთ: 2002-ნტნ (III ადგილი, ანა მათნაძე, ლელა ჯავახიშვილი, სოფიო გვეტაძე, ნანა ძაგნიძე), 2003-ნტნ (II, ძაგნიძე, მაია ლომინეიშვილი, ჯავახიშვილი, მათნაძე, გვეტაძე), 2004-ნტნ (I, ძაგნიძე, ლომინეიშვილი, ჯავახიშვილი, მათნაძე, გვეტაძე), 2005-ნტნ (I, ლომინეიშვილი, ძაგნიძე, ჯავახიშვილი, მათნაძე, თამარ წერეთელი), 2006-„ენერჯი ინვესტი" (II, ძაგნიძე, ჯავახიშვილი, გვეტაძე, ლომინეიშვილი, მათნაძე), 2007-თბილისის „ინტერპლასტი" (VIII), 2009-„სამაია" (III ადგილი).

რაც შეეხება გუშინდელ შედეგებს, პირველ ტურში „სამაია" ბულგარეთის „ლოკომოტივს" დაუპირისპირდა: **ადრიანა ნიკოლოვა** (2295)-**ლელა ჯავახიშვილი** (2451) 1:0, **სალომე მელია** (2439)-**ივა ვიდენოვა** (2283) 1:0, **დარენა სირკოვა** (2094)-**ნინო ხურციძე** (2435) 0.5:0.5, **ბელა ხოტენაშვილი** (2464)-**მარია იანევა** (2042) 1:0. მართალი გითხრათ, ამგვარ მძიმე დასაწყისს არ ველოდით, რადგან ნიკოლოვა ის მოჭადრაკე არ არის, რომელთანაც ჯავახიშვილი უნდა დამარცხდეს, ხოლო სირკოვა სულაც 16 წლისაა და ამას წინათ ბათუმში ახალგაზრდების ევროპის პირველობაზე თანატოლთა შორის 9 შესაძლებლიდან 5.5 ქულით მე-13 ადგილი დაიკავა, თანაც **ნანი უნაფქოშვილსა** და **ანა კუჭავას** დანებდა.

ქალებში დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „მონტე კარლო" (მონაკო)-„ფოლკსბანკი" (გერმანია) 4:0, „აშდოდი" (ისრაელი)- AVS (რუსეთი) 1:3, „პეტერბურგი" (რუსეთი)-"ფიშერ კიეტი" (იტალია) 3:1, „მიკა" (ერევანი)-„ჰერცლია" (ისრაელი) 4:0, „კომარნო" (სლოვაკეთი)-„ჰიდრორეჩტრანსი" (რუსეთი) 0.5:3.5, ბას ბელგრადი (სერბეთი)-„ოსლო" (ნორვეგია) 4:0. როგორც ვხედავთ, შვიდივე პაექრობა შედეგიანად დამთავრდა. გუნდის მოთამაშეთა საერთო მონაგრით ტურნირის რეიტინგფავორიტი „მონტე კარლო", „მიკა" და „ბას ბელგრადი" დაწინაურდნენ, რომლებმაც ოთხივე დაფაზე სძლიეს მეტოქეებს. „სამაია" მეშვიდეა. დღეს, მეორე ტურში, ჩვენი გუნდი მონაკოელებს (ჰამფი კონერუ, ინდოეთი - 2593, ჰოუ იფანი, ჩინეთი - 2578, ანა მუზიჩუკი, სლოვენია - 2535, პია კრამლინგი, შვედეთი - 2509, ელმირა სკრიპჩენკო, საფრანგეთი - 2464) დაუპირისპირდება, ფაქტობრივად, უძლიერეს მსოფლიო ნაკრებს. დანარჩენები კი ასე დაწყვილდნენ: AVS-ბას, „მიკა"-"პეტერბურგი", „ჰიპრორეჩტრანსი"-"ოსლო", „ფოლკსბანკი"-"აშდოდი", „ფიშერ კიეტი"-"კომარნო", „ჰერცლია"-"ლოკომოტივი"...

ვაჟთა ტურნირი ჩვენთვის იმითაა საინტერესო, რომ ჩერნიგოველთა შემადგენლობაში **ბაადურ ჯობავა** გამოდის, ხოლო ლუქსემბურგელებს **თორნიკე სანიკიძე** მეწინავეობს. ჯობავას გუშინ არ უთამაშია. მისმა გუნდმა ბელარუსებს (გენტსე) სძლია 5.5:0.5, ხოლო სანიკიძის „კავალიემ" (ამ გუნდში თორნიკეს გარდა წოდება არავის აქვს) 0:6 წააგო „ბიჰაჩთან" (ბოსნია-ჰერცეგოვინა), რომლის შემადგენლობაში 5 დიდოსტატი და 1 საერთაშორისო ოსტატი გამოდის. თავად სანიკიძე პირველ დაფაზე დიდოსტატ **სტევიჩთან** დამარცხდა. ასევე მშრალი ანგარიშით აჯობა ბელარუსთა „ვესნიანკამ" უელსის „კარდიფს" და ბოსნია-ჰერცეგოვინის „გლასინაჩმა - ალბანეთის „ბუტრინტის". ტურნირის რეიტინგფავორიტმა აზერბაიჯანის „სოკარმა" 5.5:0.5 დაჯაბნა მაკედონიის „გამბიტი". ნახევარი ქულა ჩვენი მეზობლებიდან **შაჰრიარ მამედიაროვმა** (2756) დაკარგა **მარიან მიტკოვთან** (2392) შეხვედრისას, არადა, როგორც ვხედავთ, აზერბაიჯანელი მეტოქეს რეიტინგში 364 პუნქტით უსწრებს.

ვაჟა დანელია

ფარიკაობა

# მეექვსე ადგილზე გადაინაცვლა

უნგრეთის ქალაქ გოდოლოში კადეტი მოხმალავეებისთვის ევროპის თასის მორიგი ეტაპი გათამაშდა. შეჯიბრებაში სხვადასხვა ქვეყნის 182 წარმომადგენელი მონაწილეობდა. საქართველოდან საპრიზო ადგილებისთვის **მიხეილ მარდალეიშვილი** იბრძოდა. ქართველმა სპორტსმენმა საბოლოოდ მე-11 ადგილი დაიკავა, რამაც საშუალება მისცა ევროპელ თანატოლთა შორის კლასიფიკაციაში მე-6 საფეხურამდე დაწინაურებულიყო. ასპარეზობა რუსმა **ალექსანდრ ბარანოვსკიმ** მოიგო. მეორე ადგილებზე უკრაინელი **ოლექს სტაცენკო**, მესამეზე მოლდოველი **ნიკოლაი ზაპოროჟენკო** და **რუსი ალექსანდრ ტრუშაკოვი** გავიდნენ.

უნგრეთიდან მარდალეიშვილი კიევში დაბრუნდა, სადაც ქართველი მოფარიკავეები — **ბექა** და **სანდრო ბაზაძეები** უკრაინელებთან ერთობლივ საწვრთნელ შეკრებას გადიან. 23 ოქტომბრიდან კი ლობნიაში (რუსეთი) იუნიორთა ევროპის პირველობაში ჩაებმება. იქვე მასთან ერთად სანდრო ბაზაძე, **თეოდორა კახიანი** და **თათია აფციაურიც** ისპარეზებენ.

ვაჟა დანელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ქართული კალაშნიკოვის მე-13 გასროლა

« მე-11 გვერდიდან

კალაშნიკოვას კოზირი კი სწრაფი თამაში და ძლიერი მონოდებებია. მთელი თამაში მან ამ ტაქტიკით წარმართა - ძლიერი ჩაწოდების შემდეგ ჩვენებური სწრაფად უტევდა.

პირველ სეტში, 5:5-მდე მეტოქეები საკუთარ მონოდებებზე იგებდნენ, შემდეგ კი ოქსანამ ბრეიკი აიღო და სეტი 7:5 მოიგო. მეორე სეტში ოქსანა 2:0 დაწინაურდა, მაგრამ საქმე ბოლომდე ველარ მიიყვანა და ეს სეტი 4:6 დათმო. მესამე სეტში ჩვენებურის უპირატესობა საგრძნობი იყო და აკი თამაში საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანა.

*„მეორე სეტში 2:0-მდე საკუთარ შესაძლებლობებსა და საბოლოო გამარჯვებაში დარწმუნებული ვიყავი. შემდეგ კი ყველაფერი ერთ წამში შეიცვალა, ყოველ გეიმში კუჩმინა სულ უკეთ და უკეთ თამაშობდა. მესამე სეტში ძლივს დავიბრუნე ინიციატივა, მაგრამ უსიამოვნო სიურპრიზი აქაც მელოდა, როცა 5:3-ზე გეიმი წავაგე. ორჯერ ბურთი ბადეს მოხვდა და ისე ჩავარდა, ვიფიქრე, რომ დღეს ფორტუნამ ზურგი მაქცია. თუმცა ბოლო გეიმისას ამაზე აღარ მიფიქრია და გავიმარჯვე. მადლობა დარიას კარგი თამაშისთვის"*, - განაცხადა კალაშნიკოვამ.

ბოლოს კი ოქსანა კალაშნიკოვასთან მცირე ინტერვიუს შემოგთავაზებთ, რომელიც მას უკრაინელმა ჟურნალისტებმა ჩამოართვეს.

**- 2008 და 2009 წლებში თქვენ ხარკოვის ტურნირების ხშირი სტუმარი იყავით, წლეულს სამი ტურნირი ჩატარდა და თქვენ არ გამოჩენილხართ, უფრო მაღალი დონის ტურნირებში თამაშობდით. რას მივაწეროთ ხარკოვში თქვენი დაბრუნება?**

- რეიტინგს, რომელიც ბოლოს გამიუარესდა, ორასეულიდან გავვარდი. იმისთვის, რომ ავსტრალიის ღია პირველობაში მონაწილეობა დავიბევო, ქულები მჭირდება. ბოლო კვირა კიევში ვიყავი შეკრებაზე და ნაყოფიერად მოვემზადე ხარკოვის ტურნირში, აუცილებლად გამარჯვებას არ ვგეგმავდი, რადგან, რამდენჯერაც წინასწარ რამე დავგეგმე, იმდენჯერ წავაგე.

**- კიევში შეკრება სად გაიარეთ?**

- თბილისის ტურნირის შემდეგ ტატიანა არეფიევასთან ერთად ვივარჯიშე. დედაჩემი იცნობს ტატიანას მწვრთნელს და მან მიმიწვია. თან ტანიასთან დიდი ხნის ნაცნობობა მაკავშირებს, ახალგაზრდებშიც ერთად გამოვდიოდით.

**- გასულ სეზონში „დიდი სლემის" ტურნირებს პირველად შეუტიეთ, ერთხელ საკვალიფიკაციო ბადის ფინალშიც გახვედით...**

- დიახ, ეს იყო „როლან გაროსზე", სულ ცოტა დამაკლდა ძირითად ბადემდე. იქ სულ სხვა დონეა, ITF-ის ტურნირებს ვერც შევადარებ. გოგონები უფრო სწრაფად მოძრაობენ კორტზე და ნაკლებ შეცდომას უშვებენ. მათი ჩოგბურთიც გაცილებით შინაარსიანია.

**- ტურნირის დაწყებამდე ლეილა მესხი და იური საპრონოვი შეთანხმდნენ, რომ მომავალში საქართველოში ერთობლივ ტურნირს ჩაატარებენ. ლეილამ თქვა, რომ საქართველოში სახელმწიფოს პოლიტიკა მნიშვნელოვნად შეიცვალა ჩოგბურთის სასარგებლოდ...**

- საქართველოში მცირე დროს ვატარებ, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ სახელმწიფომ მართლაც დაიწყო ჩოგბურთის დაფინანსება, ახალგაზრდა ჩოგბურთელებს ოლიმპიური პროგრამა ეხმარება. მაგრამ არის პრობლემაც - ახლა ჩვენს ქვეყანაში ძალიან ცოტა ჩოგბურთელია, ძნელია სპარინგპარტნიორის პოვნაც კი. ჩვენი მომდევნო თაობა არ ჩანს, რადგან 5-10 წლის წინათ საქართველოში ჩოგბურთი მძიმე მდგომარეობაში იყო. ამიტომ მომავალში ხანგრძლივი ჩავარდნა გველის.

კალაშნიკოვამ ხარკოვში 50 სარეიტინგო ქულა დაიბევა, რაც მას დაახლოებით 25-30 ადგილით წაწევს რეიტინგში (მარშან ლომიდის მეოთხედფინალში გასვლისთვის მიღებული 14 ქულა დააკლდება).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



რაგბი. ლეგიონერები



მარცხნიდან მესამე მამუკა მაგრაქველიძე

# ბრივი და მონპელიე ლიდერობენ

საკლუბო ევროტურნირებზე მოასპარეზე ქართველ მორაგბეთა ექვსი გუნდიდან ჯგუფური ეტაპის მეორე ტურში მხოლოდ სამმა მოიგო. ყველაზე პრესტიჟულ, „ჰეინეკენის" თასის გათამაშებაში წარმატებას მხოლოდ **აქვსენტი გიორგაძისა** და **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრმა" მიაღწია, რომელიც პირველ ტურში ერთადერთი „ქართული გუნდი" იყო, რომელმაც ვერ მოიგო.

კასტრელები „ჰეინეკენის" თასზე A ჯგუფში არიან და შინ „ემლინ ჩელენჯ კაპის" შარშანდელი გამარჯვებული და მიმდინარე ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი, უელსური „კარდიფი" დაამარცხეს - 27:20. აღსანიშნავია, რომ ჩვენებურთა გუნდმა საქმე, ფაქტობრივად, პირველ ტაიმში მოათავა, მასპინძლებმა 21-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს - 27:6.

შესვენების შემდეგ სტუმრები გააქტიურდნენ, „კასტრს" მონაგარის გაზრდის საშუალება არ მისცეს, თუმცა მატჩის გადარჩენა ველარ მოახერხეს.

გიორგაძე სათადარიგოთა შორის იყო, თუმცა არ უთამაშია. ფეიქრიშვილი ტრავმირებულია.

ამავე ჯგუფში ინგლისურმა „ნორსჰემპთონმა" სტუმრად მოუგო შოტლანდიურ „ედინბურგს" - 31:27.

A ჯგუფი: **კასტრი (საფ) - კარდიფი (უელ) 27:20, ედინბურგი (შოტ)-ნორსჰემპთონი (ინგ) 27:31**

სატურნირო მდგომარეობა: **ნორსჰემთონი - 8 ქულა, კასტრი - 5, კარდიფი - 5, ედინბურგი - 2**

B ჯგუფში პირველი მარცხი განიცადა **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონმა". ჩვენებურის გუნდი სტუმრად დამარცხდა საფრანგეთის ჩემპიონატში უშუალო კონკურენტ „მეტრო რასინგთან" - 16:9. პარიზელები, როგორც ჩანს, „ვულკანებს" კონკურენციას „ჰეინეკენის" თასზეც გაუწევენ.

ზირაქაშვილი სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 41-ე წუთიდან ჩაერთო.

ჯგუფში დაუმარცხებლად ირლანდიური „ლენსტერი" ლიდერობს, რომელმაც მეორე ტურში სტუმრად მოუგო ინგლისურ „სარასენზს" - 25:23.

B ჯგუფი: **მეტრო რასინგი (საფ) - კლერმონი (საფ) 16:9, სარასენზი (ინგ) - ლენსტერი (ირლ) 23:25**

C ჯგუფში **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონმა" დიდი ანგარიშით წააგო სტუმრად ირლანდიურ „მანსტერთან" - 18:45. აღსანიშნავია, რომ ტულონელებმა ანგარიში პირველივე წუთზე გახსნეს არგენტინელი **ფელიპე კონტეპომის** ლელოთი, რომელიც მან თავადვე გარდასახა. თუმცა მერე მთელი მატჩის განმავლობაში ირლანდიელები დომინირებდნენ. მათ მეტოქეს ხუთი ლელო გაუტანეს, რისთვისაც ერთი საპრემიო ქულაც მიიღეს.

ქუბრიაშვილი სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 67-ე წუთიდან ჩაერთო, ამ დროისთვის „ტულონი" 13:38-ს აგებდა.

ამავე ჯგუფში უელსურმა „ოსფრიზმა" შინ მოუგო ინგლისურ „ლონდონ აირიშს" - 27:16.

C ჯგუფი: **მანსტერი (ირ) - ტულონი (საფ) 45:18, ოსფრიზი (უელ) - ლონდონ აირიში (ინგ) 27:16.**

სატურნირო მდგომარეობა: **მანსტერი - 6 ქულა, ოსფრიზი - 5, ლონდონ აირიში - 4, ტულონი - 4.**

D ჯგუფი: **აირონი (იტ) - ბასი (ინგ) 6:22, ბიარიცი (საფ) - ალსტერი (ირ) 21:14**

სატურნირო მდგომარეობა: **ბიარიცი - 8 ქულა, ბასი - 6, ალსტერი - 4, აირონი - 0**

E ჯგუფი: **პერპინიანი (საფ) - ბენეტონი (იტ) 35:14, ლესტერი (ინგ) - ჰლანეჰლი (უელ) 23:9**

სატურნირო მდგომარეობა: **ლესტერი - 9, პერპინიანი - 6, ჰლანეჰლი - 5, ბენეტონი - 1**

F ჯგუფი: **ნიუპორტი (უელ) - ტულუზი (საფ) 19:42, ვოსფსი (ინგ) - გლაზგო (შოტ) 41:15**

სატურნირო მდგომარეობა: **ტულუზი - 8 ქულა, ვოსფსი - 5, გლაზგო - 4, ნიუპორტი - 0**

„ემლინ ჩელენჯ კაპის" გათამაშებაში B ჯგუფში მოასპარეზე **დავით ხინჩაგიშვილისა** და **ვასილ კაკოვინის** „ბრივმა" სტუმრად სარეკორდო ანგარიშით 113:3 დაამარცხა ესპანური „ელ სალვადორი". ჩვენებურებს არ უთამაშიათ.

„ბრივი" ათი ქულით ინგლისურ „სეილ შარქსთან" ერთად ჯგუფის ლიდერია. „ზვიგენებმა" სტუმრად დიდი ანგარიშით - 56:9 დაამარცხეს იტალიური „პადოვა".

B ჯგუფი: **ელ სალვადორი (ესპ) - ბრივი (საფ) 3:113, პადოვა (იტ) - სეილ შარქსი (ინგ) 9:56**

სატურნირო მდგომარეობა: **ბრივი - 10 ქულა, სეილ შარქსი - 10, პადოვა - 0, ელ სალვადორი - 0**

C ჯგუფში ყველაზე ქართულმა ფრანგულმა კლუბმა, **მამუკა გორგოძის, გიორგი ჩხაიძის, გიორგი ჟღენტის, გოდერძი შველიძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიემ" შინ ინგლისური „ნიუკასლი" დაამარცხა - 32:8.

მონპელიელები ამ გამარჯვების შემდეგ C ჯგუფს სათავეში ჩაუდგნენ. ამავე ჯგუფში საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთმა აუტსაიდერმა, „ბურგუენმა" ინგლისურ „ექსეტერს" უმასპინძლა და 19:34 წააგო.

„ნიუკასლთან" მატჩში ჩხაიძემ სრულად ითამაშა, ჟღენტი ძირითად შემადგენლობაში იყო და 61-ე წუთზე შეცვალეს. გორგოძე, შველიძე და ნარიაშვილი განაცხადში არ იყვნენ.

C ჯგუფი: **მონპელიე (საფ) - ნიუკასლი (ინგ) 32:8, ბურგუენი (საფ) - ექსეტერი (ინგ) 19:34**

სატურნირო მდგომარეობა: **მონპელიე - 8 ქულა, ექსეტერი - 5, ნიუკასლი - 4, ბურგუენი - 1.**

E ჯგუფში **ბექა შეყლაშვილის** „აჟენი" სტუმრად დამარცხდა „ლა როშელთან" 23:30, რომელიც ჯგუფს ორი გამარჯვებით ლიდერობს. შეყლაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და მე-60 წუთზე შეცვალეს.

ამავე ჯგუფში ინგლისურმა „გლოსტერმა" შინ გაანადგურა „როვიგო" - 90:7.

E ჯგუფი: **გლოსტერი (ინგ) - როვიგო (იტ) 90:7, ლა როშელი (საფ) - აჟენი (საფ) 30:23.**

სატურნირო მდგომარეობა: **ლა როშელი - 10 ქულა, გლოსტერი - 6, აჟენი - 5, როვიგო - 0**

A ჯგუფი: **ქონოთი (ირლ) - ბაიონი (საფ) 16:13, ჰარლიქუინზი (ინგ) - პრატო (იტ) 55:17**

სატურნირო მდგომარეობა: **ჰარლიქუინზი - 6 ქულა, ქონოთი - 5, ბაიონი - 5, პრატო - 4**

D ჯგუფი: **ბუქარესტი (რუმ) - კროკიატი (იტ) 20:19, ლიდსი (იტ) - სტად ფრანსე (საფ) 24:13.**

სატურნირო მდგომარეობა: **ლიდსი - 8 ქულა, სტად ფრანსე - 5, ბუქარესტი - 4, კროკიატი - 1**

ამასობაში საფრანგეთის ჩემპიონატის ელიტურ, მეორე დივიზიონში მე-7 ტურის შეხვედრები გაიმართა. აქ ლიდერთა შორის ქართველ მორაგბეთა ორი გუნდია: „გრენობლი" და „ლიონი".

**გიორგი მენაბდიშვილის** „გრენობლმა" შინ იოლად დაამარცხა „კოლომიე" - 36:6. „ალპელები" ამ გამარჯვების შემდეგ 18 ქულით მეოთხე ადგილზე გადაბარგდნენ. მენაბდიშვილს არ უთამაშია.

**გურამ კავთიძის** „ლიონმა" სტუმრად წააგო უშუალო კონკურენტ „ორიაკთან" - 9:22 და სატურნირო ცხრილში მეორე საფეხური დაუთმო. კავთიძე განაცხადში არ იყო.

**მამუკა მაგრაქველიძისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბი" შინ მინიმალური სხვაობით - 21:22 დამარცხდა „პოსთან". მაგრაქველიძე სათადარიგოთა შორის იყო და მოედანზე 52-ე წუთიდან გამოჩნდა. მირცხულავას არ უთამაშია.

### საფრანგეთი. II დივიზიონი

VII ტური: **მონ დე მარსანი-სენტ ეტიენი 60:10, ტარბი-პო 21:22, ნარბონი-კარკასონი 36:29, დაქსი-ექსი 14:30, ორიაკი-ლიონი 22:9, გრენობლი-კოლომიე 36:6, ოში-ოიონაქსი 18:15, ბორდო-ალბი 16:24**

სატურნირო მდგომარეობა: **1. ალბი - 30 ქულა, 2. ორიაკი - 22, 3. ლიონი - 22, 4. გრენობლი - 18, 5. ოიონაქსი - 17, 6. მონ დე მარსანი - 17, 7. პო - 17, 8. ბორდო - 16, 9. ტარბი - 16, 10. ოში - 15, 11. კარკასონი - 15, 12. ნარბონი - 14, 13. კოლომიე - 14, 14. ექსი - 12, 15. დაქსი - 10, 16. სენტ ეტიენი - 7.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

რაგბი. საქართველოს ჩემპიონატი

# ხარები მეხუთეა, არმაზი დარჩენისთვის იბრძოლებს

რუსთავში საქართველოს ჩემპიონატის მე-12 ტურის გადათამაშებულ მატჩში „ხარებმა" თბილისის „არმაზი" მშრალი ანგარიშით - 30:0 დაამარცხა და საბოლოოდ მე-5 ადგილზე გავიდა.

„არმაზი" კი, რომელიც ბოლოსწინა, მეშვიდე ადგილს დასჯერდა, უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად პირველი ლიგის მეორეადგილოსან თბილისის „ივერიას" ორჯერ დაუპირისპირდება.

შეგახსენებთ, რომ მე-12 ტურში „ხარებისა" და „არმაზის" მატჩი ჯგუფური ჩხუბის გამო ჩაიშალა. სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილება, „არმაზისთვის" წაგება ჩაეთვალათ, რაგბის კავშირის გამგეობამ შეცვალა და მატჩის გადათამაშება დაადგინა.

ამრიგად, უმაღლესი ლიგა „ბათუმი XV"-მ დატოვა. მის ნაცვლად პირველ ლიგაში დაუმარცხებელი გორის „თსუ\ლომები" ითამაშებს. შეინარჩუნებს თუ არა „არმაზი" ადგილს უმაღლეს ლიგაში, ამას 11 ნოემბერს, განმეორებითი მატჩის შემდეგ შევიტყობთ. პირველი შეხვედრა კი 4 ნოემბერს გაიმართება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლელო | 14 | 10 | 0 | 4 | +173 | 20 |
| 2. ლოკომოტივი | 14 | 10 | 0 | 4 | +97 | 20 |
| 3. ყოჩები | 14 | 9 | 1 | 4 | +73 | 19 |
| 4. აია | 14 | 9 | 0 | 5 | +63 | 18 |
| 5. ხარები | 14 | 6 | 0 | 8 | -121 | 12 |
| 6. აკადემია | 14 | 4 | 2 | 8 | -17 | 10 |
| 7. არმაზი | 14 | 4 | 1 | 9 | -135 | 9 |
| 8. ბათუმი XV | 14 | 2 | 0 | 12 | -133 | 4 |

**3 ნოემბერი**

შესარჩევი ფინალი

ლელო-ლოკომოტივი

ვისოლი\ყოჩები-აია

**8 ნოემბერი**

წინასწარი ფინალი

**14 ნოემბერი**

ფინალი

გასავარდნი პლეი ოფი

**4 ნოემბერი**

ივერია-არმაზი

ქარის თასი

# ჩემპიონმა უფლებამოსილება დათმო

„ქარის თასს" ახალი მფლობელი ეყოლება. წლევანდელი რეგულარული გათამაშების გამარჯვებულმა, დურბანის „ნატალ შარქსმა" შინ ნახევარფინალში მეოთხეადგილოსანი, აწ უკვე ყოფილი ჩემპიონი პრეტორიის „ბლუ ბულზი" დაამარცხა - 16:12.

დურბანელთა წარმატება განაპირობა გარემარბ **კიგან დენიელის** ერთადერთმა ლელომ, რომელიც ახალგაზრდა მგეზავმა **პატრიკ ლამბიემ** გარდასახა. მის ანგარიშზე კიდევ სამი საჯარიმოა, რაზეც პრეტორიელმა **მორნი სტეინმა** ოთხით უპასუხა.

მეორე ფინალისტი მეორეადგილოსანი კეიპთაუნის „ვესტერნ პროვანსია", რომელმაც შინ იოლად მოუგო ბლუმფონტეინის „ჩიტაზსს" - 31:7. „დასავლელებმა" უაღრესად მწყობრი, საკმაოდ მაღალი დონის თამაში აჩვენეს. 70-ე წუთისთვის პროვანსელები მშრალი ანგარიშით -31:0-ს იგებდნენ.

კეიპთაუნელებმა მეტოქეს სამი ლელო გაუტანეს, სამივე „ბოკეს" ნევრების, **ბრაიან ჰაბანას, ფრანსუა ლავის** და **ხიო ეპლონის** ანგარიშზეა. მგეზავმა **ვილემ დე ფაალმა** ორი გარდასახა და ზედ ოთხი საჯარიმოც მიაყოლა.

ფინალი „ნატალ შარქსსა" და „ვესტერნ პროვანსს" შორის 23 ოქტომბერს დურბანში გაიმართება.

**ქარის თასი**

**ნახევარფინალი**

**ნატალ შარქსი-ბლუ ბულზი 16:12, ვესტერნ პროვანსი-ჩიტაზი 31:7**

**ფინალი. 23 ოქტომბერი**

**ნატალ შარქსი-ვესტერნ პროვანსი**

**ბესიკ ჯანგავაძე**

sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

კალათბურთი. საგამოფენო მატჩები

## ლებრონი და უეიდი ისვენებენ

კვლავაც თამაშგარე მდგომარეობაშია „მაიამი ჰიტის" ვარსკვლავი **ლებრონ ჯეიმსი**. მოსკოვის ცსკა-სთან მიღებული ტრავმის გამო ლებრონს არ უთამაშია ბოლო საკონტროლო შეხვედრაში, გარდა ამისა, ყოფილმა კლივლენდელმა რამდენიმე ვარჯიშიც გამოტოვა.

თუმცა ფეხის ტრავმა სერიოზული არ არის და ბოლო ორი სეზონის საუკეთესო მოთამაშე მალე განაახლებს სეზონისთვის მზადებას. უბრალოდ, „ჰიტის" ხელმძღვანელობასა და თავად კალათბურთელს არ სურთ რისკზე წასვლა, ამიტომაც ჯეიმსმა მცირე პაუზა აიღო.

*„სეზონის წინ აჩქარება არ ივარგებს,* - ამბობს კალათბურთელი. - *მიმაჩნია, რომ ასეთ სიტუაციაში ბოლომდე გამოჯანმრთელებაა საჭირო".*

დაახლოებით ანალოგიურ სიტუაციაშია ფლორიდელთა მეორე ლიდერი **დუეინ უეიდი**. მუხლის მცირე დაზიანების გამო მცველი დარჩენილ სამ საკონტროლო შეხვედრას გამოტოვებს. „მაიამის" მთავარმა მწვრთნელმა **ერიკ სპოელსტრამ** განაცხადა, რომ უეიდს ტკივილი არ აწუხებს, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა არ გარისკოს და სეზონის დაწყებამდე დაასვენოს დუეინი.

■ ■ ■

„ვაშინგტონი უიზარდსის" ხელმძღვანელობამ 50 ათასი დოლარით დასაჯა მცველი **გილბერტ არენასი**, რომელმაც მუხლის ტრავმის სიმულაციისთვის გამოტოვა „ატლანტასთან" საწვრთნელი შეხვედრა. კალათბურთელს ამ ნაბიჯით თავისი პარტნიორის **ნიკ იანგის** დახმარება უნდოდა, რომელსაც თავდაჯერება და სათამაშო დრო აკლია. თუმცა „ვაშინგტონის" შეფობამ მიიჩნია, რომ არენასის საქციელმა კლუბის იმიჯზე უარყოფითად იმოქმედა.

ამასობაში, „ვაშინგტონის" დამრიგებელმა **ფლიპ სონდერსმა** განაცხადა, რომ არენასი ბოლომდე გამოჯანმრთელებული არ არის, ამიტომაც მცველს აღარ დააკავებს დარჩენილ საკონტროლო შეხვედრებში.

*„ვნახოთ, როგორ წარიმართება აღდგენითი პროცესი. ასეთ სიტუაციაში არ ღირს მოვლენათა დაჩქარება",* - ამბობს სონდერსი.

**15 ოქტომბერი**

**ინდიანა–ნიუ ორლეანი 101:98**
30:23, 25:17, 25:37, 21:21
ი: ჰენსბრო (19), კოლისონი (16+5 პასი), ჰიბერტი (15), დანლივი (13+6 მოხსნა).
ნ-ო: ბელინელი (16), არიზა (15), სმიტი (14+9 მოხსნა), პოლი (12+8 პასი), ოკაფორი (11), სტოიაკოვიჩი (11), გრინი (10).

**ტორონტო–ბოსტონი 112:117**
20:29, 23:31, 30:41, 39:16
ტ: ბარნიანი (15), კლეიზა (15), უიმსი (14), ბარბოზა (12), ჯონსონი (10), ბენქსი (10).
ბ: რობინსონი (23), რონდო (21+5 პასი), ალენი (15+6 მოხსნა), დანიელსი (14+7 მოხსნა), ვაფერი (14).

**მინესოტა–დეტროიტი 99:88**
20:29, 29:14, 22:18, 28:27
მ: ლავი (21+10 მოხსნა), უებსტერი (13), პეკოვიჩი (13+6 მოხსნა).
დ: დეივ (18+11 მოხსნა), ვილანუევა (16+8 მოხსნა), ბინუმი (12), გორდონი (11).

**ჩიკაგო–დალასი 105:109 (ო)**
38:27, 17:28, 19:25, 23:17, 8:12
ჩ: როუზი (23), დენგი (23), ნოა (13+15 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა+3 დაფარება), უოტსონი (10), ტომასი (2+10 მოხსნა).
დ: ნოვიცკი (24+6 მოხსნა), ჯონსი (19), ბატლერი (18), ტერი (11), ჩენდლერი (11), ჰეივუდი (8+10 მოხსნა).

**16 ოქტომბერი**

**შარლოტი–დეტროიტი 97:94**
23:15, 22:29, 21:25, 31:25
შ: ტომასი (23+7 მოხსნა), ოგუსტინი (16+8 პასი), ბრაუნი (15), ჯექსონი (12+6 მოხსნა), დიაო (11).
დ: სტაკი (25+5 მოხსნა+5 პასი), ვილანუევა (19), დეივ (14+6 მოხსნა), გორდონი (10).

**ორლანდო–ჩიკაგო 105:67**
22:10, 29:13, 30:20, 24:24
ო: კარტერი (21), რედიკი (16), ჰოვარდი (15+11 მოხსნა), ბასი (14+10 მოხსნა), გორტატი (14+8 მოხსნა), ლუისი (11+6 მოხსნა).
ჩ: უოტსონი (13), ჯონსონი (10).

**ბოსტონი–ნიუ იორკი 97:84**
29:30, 15:15, 32:27, 21:12
ბ: გარნეტი (20), პირსი (16), დევისი (15+7 მოხსნა), რობინსონი (13), რონდო (2+8 მოხსნა+9 პასი).
ნ-ი: გალინარი (20), ჩენდლერი (17), ფელტონი (16+5 პასი).

**კლივლენდი–იუტა 91:103**
27:23, 20:28, 23:27, 21:25
კ: გორდონი (23), გრიფინი (17+14 მოხსნა), კამანი (14+8 მოხსნა), ბატლერი (11), დევისი (10+8 პასი).
ი: მაილზი (20), ჯეფერსონი (17+6 მოხსნა), მილსეპი (12+7 მოხსნა).

**მემფისი–მილუოკი 91:77**
25:24, 26:22, 20:16, 20:15
მემ: გეი (17+9 მოხსნა), არტური (14+5 მოხსნა), კონლი (14), გასოლი (10+6 მოხსნა).
მილ: გუდენი (13+6 მოხსნა), დუგლას რობერტსი (12), ჯენინგსი (12), ბოიკინსი (11).

**ნიუ ორლეანი–ორლეანი 74:84**
20:18, 17:25, 23:22, 14:19
ნ-ო: ბელინელი (13+5 მოხსნა), გრინი (10), პონდექსტერი (10).
ო: ჯონსონი (22), უილიამსი (15).

**პორტლენდი–გ. სტეიტი 118:105**
34:29, 37:26, 23:32, 24:18
პ: ოლდრიჯი (25+7 მოხსნა), ბატუმი (19+9 მოხსნა), მილერი (15), ფერნანდესი (14+5 პასი), ჯონსონი (14), კანინგემი (10+8 მოხსნა).
გ-ს: კარი (17+11 პასი), ლი (17+11 მოხსნა+5 პასი), ელისი (15), ბ. რაიტი (11), რადმანოვიჩი (11).

**ლეიკერსი–დენვერი 102:95**
32:28, 31:23, 22:17, 17:27
ლ: ბრაიანტი (18+8 მოხსნა+5 პასი), ოდომი (14+7 პასი+6 მოხსნა), ებენქსი (14+7 მოხსნა), გასოლი (12+5 მოხსნა), ბრაუნი (11).
დ: აფლალო (20), ნენე (13), სმიტი (12), ბელკმენი (11+10 მოხსნა), ლოუსონი (10+7 პასი), ფორბსი (10).

**ნიუ ჯერსი–ჰიუსტონი 85:95**
20:26, 22:27, 29:23, 14:19
ნ-ჯ: ლოპესი (20+9 მოხსნა), მოროუ (19), ჰარისი (16+5 პასი), უილიამსი (16+6 მოხსნა), აუთლო (10+6 მოხსნა).
ჰ: მარტინი (16), ბრუქსი (12), მილერი (11), ბადინგერი (10), ბატიე (10+6 მოხსნა), მინი (10).

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი



ენტონი სტიუარტი

## ლიგას ორი ლიდერი ჰყავს

„ტორონტო მეიპლ ლივზმა" ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო და კვლავაც ასპროცენტიანი მაჩვენებლით ლიდერობს აღმოსავლეთ კონფერენციას. ამჯერად **რონი უილსონის** გუნდმა სტუმრად ოვერტაიმში მოუგო ძლიერ „რეინჯერსს". პირველ პერიოდში ნიუიორკელები **როჟსივალის** გოლით დაწინაურდნენ, მაგრამ „ტორონტომ" მეორე პერიოდის ექვსწუთიან მონაკვეთში სამი შაიბა გაუტანა მეტოქეს.

„რეინჯერსმა" მატჩის მსვლელობისას **მარიან გაბორიკი** დაკარგა, რომელმაც **კოლბი არმსტრონგის** ძალისმიერი ილეთის შემდეგ დატოვა მოედანი. ასევე ვერ გააგრძელა თამაში **კრის დრურიმ** - მან ერთ-ერთ პარტნიორთან შეჯახებისას მიიღო ხელის ტრავმა. წამყვანი ფორვარდების არყოფნაში „რეინჯერსის" გადარჩენა 25 წლის ფორვარდმა **ბრაიან ბოილმა** იკისრა. მისმა დუბლმა შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანა, მაგრამ იქ რიცხობრივი უპირატესობისას **ფილ კესელის** შესანიშნავმა დარტყმამ კანადურ კლუბს გამარჯვება მოუტანა.

სეზონში მეორე ჰეთ-თრიკი დაფიქსირდა „ანაჰაიმისა" და „ატლანტას" შეხვედრაში. მისი ავტორი გახდა **ენტონი სტიუარტი**. მატჩის მსვლელობისას ისე ჩანდა, რომ „იხვები" სეზონში მეორე გამარჯვებას მოიპოვებდნენ - მასპინძლები მესამე პერიოდში 4:2-ს იგებდნენ, მაგრამ სტიუარტმა პირველ პერიოდში გატანილ ერთ გოლს დუბლი დაუმატა და შეხვედრა ოვერტაიმში გაგრძელდა. საბოლოოდ, მატჩის ბედი ბულიტების სერიაში გადაწყდა, სადაც უფრო იღბლიანი „ტრეშერზი" აღმოჩნდა.

სხვათა შორის, ხასიათის სიმტკიცე „ატლანტამ" მეორე დღესაც გამოავლინა, როცა უფრო მრისხანე „სან ხოსესთან" 0:2 ჩამორჩენა გააბათილა და 4:2 მოიგო. ენტონი სტიუარტმა ჰეთ-თრიკს კიდევ ერთი გოლი დაუმატა.

პენსილვანიურ დერბიში, როგორც იქნა, ჩვეული თამაში აჩვენა „პიტსბურგმა" და მისმა ლიდერმა **სიდნი კროსბიმ**. „პინგვინებს" ანგარიში ჰქონდათ გასასწორებელი „ფილადელფიასთვის", რომელმაც რეგულარულის პირველ მატჩში ზეიმი ჩაუშხარა „პიტსბურგს" - ახალი არენის გახსნის დღეს სტუმრად მოუგო თანაშტატელს. რევანში დამაჯერებელი გამოვიდა - 5:1. კროსბის მხარი აუბა **მარკ ლეტესტუმ**, რომელიც სტაბილურად აგროვებს ქულებს - ხუთ მატჩში ხუთჯერ გამოიჩინა თავი. სეზონში მესამე გამარჯვება მოიპოვა მეკარე **ბრენტ ჯონსონმა**, რომელმაც ამჯერადაც წარმატებით შეცვალა **მარკ-ანდრე ფლერი**.

ზედიზედ სამი მოგების შემდეგ სრული ფიასკო ელოდა ფლორიდაში „ტამპა ბეის". ყოფილმა ლიდერმა „პანტერებისგან" ექვსი უპასუხო შაიბა მიიღო. „ფლორიდამ" შინ პირველ გამარჯვებას მიაღწია და ეს დიდწილად მცველ **ბრაიან მაკეიბის** დამსახურებაა, რომელმაც ოთხი საგოლე პასი ჩაიწერა აქტივში.

მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა „ბაფალო", რომელმაც დიდი ბრძოლა გაუმართა სტენლის თასის მფლობელ „ჩიკაგოს", მაგრამ ზედიზედ მეხუთე მარცხი იწვნია - 3:4. „სეიბრზი" ძალიან მონდომებული იყო და მასპინძლებზე ორჯერ მეტი დარტყმა შეასრულა, მაგრამ მესამე პერიოდში ბრწყინვალედ მოქმედებდა „ჩიკაგოს" მეკარე **მარტი ტურკო**. „ბლეკჰოქსმა" კი ბოლო 20-წუთეულში სულ ხუთჯერ დაარტყა და ორჯერ ზუსტად - მასპინძელს გამარჯვება **ბოლანდმა** და **შარპმა** მოუტანეს.

„ტორონტოს" მიბაძა „დალასმა" და ისიც ოთხიდან ოთხი მოგებით სათავეში უდგას დასავლეთ კონფერენციას. სწორედ ეს ორი გუნდია ჯერჯერობით დაუმარცხებელი. თუმცა „ვარსკვლავები" ამჯერად ახლოს იყვნენ მარცხთან. „სენტ ლუისი" 2:0-ს იგებდა, მაგრამ „დალასი" **ნილმა** და **ერიქსონმა** გადაარჩინეს, ხოლო ბულიტების სერიაში გადამწყვეტი აღმოჩნდა **მაიკ რიბეიროს** შაიბა. კარგ ფორმაშია „სტარზის" მეკარე **კარი ლეჰტონენი**, რომელმაც ოთხივე მატჩში მიიღო მონაწილეობა, ფინელმა გუშინ 41 დარტყმა მოიგერია.

**15 ოქტომბერი**

**კოლამბუსი–ჩიკაგო 2:5**
0:2, 1:2, 1:1
**გოლები:** 0:1 სტალბერგი-1 (სკილი-1, ბოინტონი-2), 0:2 მარიან ჰოსა-4 (კოპეცკი-5, კალიმორი-1), 1:2 უმბერგერი-2 (დორსეტი-1), 1:3 შარპი-2 (დოუელი-1), 1:4 შარპი-3 (ბროუერი-3, ბიკელი-2), 2:4 კოპეცკი-1 (მარიან ჰოსა-4), 2:5 ჰუსელიუსი-3 (უმბერგერი-1, კლესლა-1).

**ნიუ ჯერსი–კოლორადო 2:3**
0:1, 1:1, 1:1
**გოლები:** 0:1 მაკლეოდი-1 (გალიარდი-1, დუშენი-4), 0:2 გალიარდი-1 (კ. სტიუარტი-2, პ. შჩასტნი-1), 1:2 ტაორმინა-1 (კოვალჩუკი-3, ელიაში-3), 1:3 კ. სტიუარტი-2 (ლაილსი-6, პ. შჩასტნი-2), 2:3 კოვალჩუკი-2 (ტაორმინა-2, კორენტი-1).

**რეინჯერსი–ტორონტო 3:4 (ო)**
1:0, 0:3, 2:0, 0:1
**გოლები:** 1:0 როჟსივალი-1 (მ. ეივერი-3, ფედოტენკო-1), 1:1 მაკარტური-5 (კულემინი-3, შენი-3), 1:2 კომისარეკი-1 (კესელი-2), 1:3 კესელი-3 (ბოჟაკი-2), 2:3 ბოილი-1 (ბოოგარდი-1, ემინგერი-1), 3:3 ბოილი-2 (მ. ეივერი-4, დელ ზოტო-2), 3:4 კესელი-4 (ბოჟაკი-3, ტ. კაბერლე-3).

**პიტსბურგი–აილენდერსი 3:2 (ო)**
0:0, 2:2, 0:0, 1:0
**გოლები:** 1:0 რუპი-1 (მარტინი-4, ლეტესტუ-1), 2:0 ტანგრადი-1 (ლეტესტუ-2, ენგელანდი-1), 2:1 ბეილი-2 (კომო-2, უეიტი-4), 2:2 მარტინეკი-1 (კომო-3, მოელსონი-2), 3:2 გოლიგოსკი-3 (მალკინი-2, კროსბი-2).

**ბაფალო–მონრეალი 1:2**
0:0, 0:2, 1:0
**გოლები:** 0:1 პაკარი-1 (სუბანი-1), 0:2 გორჯესი-1 (ჰამრლიკი-1, გომესი-1), 1:2 დ. როი-5 (ვანეკი-1, სტეფორდი-3).

**ანაჰაიმი–ატლანტა 4:5 (ბ)**
1:1, 2:1, 1:2, 0:0
**გოლები:** 0:1 ე. სტიუარტი-1 (ლედი-2, ლიტლი-1), 1:1 პერი-2 (ვიშნოვსკი-2, გეტცლაფი-4), 2:1 ლიდმანი-1 (სელიანე-2, ბელესკი-1), 2:2 ტორნბურნი-3 (ბიფულინი-1, ენსტრიომი-1), 3:2 სელიანე-2 (ს. კოიჟუ-1, პერი-1), 4:2 გეტცლაფი-2 (პერი-2, სელიანე-3), 4:3 ე. სტიუარტი-2 (პევერლი-1, ოდუია-2), 4:4 ე. სტიუარტი-3 (ბიფულინი-2, ენსტრიომი-2).
**ბულიტები გაიტანეს:** დეივსი (ატლანტა).

**ლოს ანჯელესი–ვანკუვერი 4:1**
1:0, 1:0, 2:1
**გოლები:** 1:0 სტოლი-2 (ჯ. ჯონსონი-1, დრიუსკი-1), 2:0 ჯასტინ უილიამსი-2 (მუზინი-1, რ. სმიტი-2), 2:1 დ. სედინი-4 (ჰ. სედინი-5, ედლერი-3), 3:1 დ. ბრაუნი-2 (კოპიტარი-3, რ. სმიტი-3), 4:1 დ. ბრაუნი-3 (პონიკაროვსკი-1, ჰანძუში-2).

**16 ოქტომბერი**

**ფლორიდა–ტამპა ბეი 6:0**
4:0, 0:0, 2:0
**გოლები:** 1:0 სტილმანი-1 (მაკეიბი-1, დვორაკი-1), 2:0 ბუტი-1 (მატიასი-1, ოლეში-2), 3:0 რაინპრეხტი-1 (ბერნიე-3, სანტორელი-2), 4:0 ვიდემანი-1 (ვეისი-1, მაკეიბი-2), 5:0 ბუტი-2 (ოლეში-3, მაკეიბი-3), 6:0 ოლეში-2 (მაკეიბი-4, ბუტი-3).

**მონრეალი–ოტავა 4:3**
1:1, 2:2, 1:0
**გოლები:** 1:0 ჯონტა-1, 1:1 მ. მიხალეკი-2 (ალფრედსონი-3, სპეცა-2), 2:1 ე. კარლსონი-1 (ალფრედსონი-4, სპეცა-3), 3:1 მ. მიხალეკი-3 (ფილიპსი-1), 3:2 პალპერნი-2 (სუბანი-2, მოენი-1), 3:3 ა. კოსტიცინი-2 (პლეკანეცი-3), 4:3 პლეკანეცი-2 (ა. კოსტიცინი-2).

**ნიუ ჯერსი–ბოსტონი 1:4**
0:0, 1:4, 0:0
**გოლები:** 1:0 ზუბრუსი-1 (პარიზე-1, ე. გრინი-2), 1:1 კარონი-1 (ბოიჩუკი-1), 1:2 რაიდერი-1 (სეგუინი-1, რეკი-2), 1:3 შ. ტორნტონი-1 (გ. კემპბელი-1, მარშანი-1), 1:4 ლუჩიჩი-2 (კრეისი-4, პორტონი-2).

**აილენდერსი–კოლორადო 5:2**
0:0, 3:0, 2:2
**გოლები:** 1:0 იურჩინა-1 (ბეილი-4), 2:0 იურჩინა-2, 3:0 ბეილი-3 (პარენტო-2, ვიშნიევსკი-3), 3:1 კ. სტიუარტი-3 (ლილსი-7, პ. შჩასტნი-3), 4:1 გრაბნერი-1 (პარენტო-3), 4:2 გალიარდი-2 (ოლვერი-2), 5:2 ტავარესი-1 (სიმი-1, იურჩინა-1).

**ფილადელფია–პიტსბურგი 1:5**
1:1, 0:1, 0:3
**გოლები:** 1:0 ბრიერი-4 (პარნელი-1, ჯ. კარტერი-1), 1:1 კუნიტცი-2 (კროსბი-3), 1:2 ლეტესტუ-3 (ლეტანგი-3, მარტინი-5), 1:3 კროსბი-2 (მალკინი-3, კომრი-1), 1:4 კროსბი-3 (ლეტანგი-4, ვოლიგოსკი-3), 1:5 კუკი-1 (დუპუი-1).

**დალასი–სენტ ლუისი 3:2 (ბ)**
1:2, 1:0, 0:0, 0:0
**გოლები:** 0:1 ბერგლუნდი-2 (ბოიესი-2, პიეტრანჯელო-2), 0:2 ენდი მაკდონალდი-2 (ბეკსი-1, ოში-3), 1:2 ნილი-2 (ლ. ერიქსონი-1, ბ. რიჩარდსი-6), 2:2 ლ. ერიქსონი-4 (ბ. რიჩარდსი-7, ნილი-4).
**ბულიტები გაიტანეს:** ბ. რიჩარდსი (დალასი), ლ. ერიქსონი (დალასი), ბოიესი (სტ. ლუისი), რიბეირო (დალასი).

**მინესოტა–კოლამბუსი 2:3**
0:1, 2:1, 0:1
**გოლები:** 0:1 დორსეტი-1 (რასელი-1, კ. კლარკი-1), 1:1 ბერნსი-2 (ჰავლატი-2, კულენი-3), 1:2 მაკენზი-1 (ბრასარი-1, ვორაჩეკი-1), 2:2 კლატერბეკი-1 (ჰავლატი-3, კულენი-4), 2:3 უმბერგერი-3 (კ. კლარკი-2, მეტოტი-1).

**ნეშვილი–ვაშინგტონი 2:3 (ო)**
1:0, 1:0, 0:2, 0:1
**გოლები:** 1:0 დუმონი-1 (კ. უილსონი-2, ფრენსონი-2), 2:0 ტუტუ-1 (ლეგვანდი-2), 2:1 სიომინი-2 (ჯ. კარლსონი-5, ბექსტრიომი-3), 2:2 ფლიშმანი-2 (ლეიჩი-2), 2:3 ლეიჩი-3 (ოვეჩკინი-4, ბექსტრიომი-3).

**ჩიკაგო–ბაფალო 4:3**
1:2, 1:1, 2:0
**გოლები:** 1:0 შარპი-4 (პ. კეინი-2), 1:1 სტეფორდი-2 (მონტადორი-2, ვანეკი-2), 1:2 გოსტადი-1 (კალეტა-2), 2:2 მარიან ჰოსა-5 (სიბრუკი-1), 2:3 მაკორმიკი-1 (ჰეხტი-2, ტიმ კონოლი-2), 3:3 ბოლანდი-1 (სიბრუკი-2, კეიტი-2), 4:3 შარპი-5 (კოპეცკი-6, პ. კეინი-3).

**ფინიქსი–დეტროიტი 1:2 (ო)**
1:0, 0:1, 0:0, 0:1
**გოლები:** 1:0 ჰანძალი-1 (ვოლსკი-1, იენდლი-2), 1:1 დაციუკი-3 (ივსი-1, ზეტერბერგი-3), 1:2 კრონვალი-2 (ზეტერბერგი-4, ლიდსტრიომი-4).

**კალგარი–ედმონტონი 5:3**
1:1, 1:2, 3:0
**გოლები:** 0:1 ჰესკი-2 (რაიან უიტნი-3, პააიარვი-1), 1:1 ტანგეი-1 (სტაიანი-1, რეგერი-1), 1:2 პენერი-3 (სემ განიე-4), 2:2 ბ. მორისონი-1 (სტაიანი-2, სერიჩი-1), 2:3 პააიარვი-1 (ფრეზერი-1, რ. ჯონსი-1), 3:3 პაგმანი-2 (ბ. მორისონი-3, ო. იოკინენი-1), 4:3 იგინლა-1 (ტანგეი-1, ჯორდანი-1), 5:3 ტანგეი-2 (იგინლა-1, სტაიანი-3).

**სან ხოსე–ატლანტა 2:4**
2:0, 0:2, 0:2
**გოლები:** 1:0 პიტლი-1 (მარლო-2, ჯ. ტორნტონი-1), 2:0 ქლოუ-1 (ტ. მიტჩელი-1, ბოილი-2), 2:1 ლედი-2 (ლიტლი-2), 2:2 ენტონი სტიუარტი-4 (ლედი-3, ლიტლი-3), 2:3 ბიფულინი-1 (ტორნბურნი-1, ენსტრიომი-3), 2:4 ე. კეინი-3 (პევერლი-2, ოდუია-3).

ამბები

**დოპინგი**

## ოლიმპიურ პრიზიორს სასჯელი მოუხსნეს

გერმანიის მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციამ დისკვალიფიკაცია მოუხსნა პეკინის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორ **დმიტრი ოვჩაროვს**, რომლის დოპინგსინჯმა კლენბუტეროლზე აჩვენა დადებითი შედეგი. ჯერჯერობით ფედერაციას არ აუხსნია ამ გადაწყვეტილების მიზეზი.

კლენბუტეროლის კვალი აღმოჩნდა დოპინგ-სინჯში, რომელიც სპორტსმენმა 2010 წლის 23 აგვისტოს ჩააბარა. ოვჩაროვი დროებით ჩამოცილებული იყო საერთაშორისო ტურნირებს.

გერმანელმა განაცხადა, რომ არაფერი იცოდა კლენბუტეროლის შესახებ. 22 წლის ოვჩაროვი ვარაუდობს, რომ ეს აკრძალული პრეპარატი მის ორგანიზმში ჩინეთში მირთმეული კერძისგან მოხვდა.

**ცურვა**

## მანოდუ ვერ ბრუნდება

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, ფრანგი **ლორ მანოდუ** 2011 წლის 5 ივლისამდე ვერ შეძლებს საერთაშორისო ტურნირებში გამოსვლას.

*„მანოდუმ მომავალ ტურნირებზე გამოსვლის თაობაზე განაცხადი შემოიტანა საფრანგეთის ცურვის ფედერაციაში. თავის მხრივ, ჩვენ შევახსენეთ მას, რომ წესების თანახმად, განაცხადის შემოტანიდან პირველ ტურნირამდე ცხრა თვე უნდა გავიდეს,* - ამბობს ცურვაში საფრანგეთის ნაკრების ტექნიკური დირექტორი **კრისტიან დონზე**. - *ეს იმას ნიშნავს, რომ მანოდუ 2011 წლის 5 ივლისამდე ვერ მიიღებს მონაწილეობას ტურნირებში. ყველაზე რეალური იქნება მისი დაბრუნება 2012 წლის სეზონში, როცა ლონდონში ოლიმპიური თამაშები გაიმართება. დღეისთვის ლორმა განაახლა ვარჯიშები და სერიოზული მიზნები აქვს".*

ლორ მანოდუ 2004 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონია. მან დიდი სპორტიდან დროებით წასვლა გადაწყვიტა, რადგან 2008 წლის თამაშებზე დაბალი შედეგები აჩვენა. ფრანგს 2008 წლის დეკემბრიდან არ მიუღია მონაწილეობა ოფიციალურ ტურნირებში.

ოლიმპიზმი. ლონდონი 2012

## რა ღირს ბილეთი?

ლონდონის ოლიმპიადის ორგანიზატორებმა ბილეთებზე ფასები დაადგინეს. ყველაზე ძვირი ეღირება გახსნის ცერემონიაზე დასწრება - 2012 ფუნტი სტერლინგი. ყველაზე იაფი ბილეთი (სხვადასხვა სახეობებზე დასწრება) 20 ფუნტი ღირს - წერს ოლიმპიადის ოფიციალური ვებგვერდი.

ბილეთების რეალიზაცია 2011 წლის დასაწყისში დაიწყება. სულ გაიყიდება 8.8 მილიონი ბილეთი. დღეისთვის უკვე მილიონ-ნახევარმა ადამიანმა გამოთქვა თამაშებზე დასწრების სურვილი. ისინი 2012 წლის ოლიმპიადის ვებგვერდზე დარეგისტრირდნენ.

გახსნის ცერემონიაზე ყველაზე იაფი ბილეთი 20,12 ფუნტი ეღირება. ასეთივე ფასი ექნება იაფ ბილეთს დახურვის ცერემონიაზე (12 აგვისტო), ყველაზე ძვირს - 1500 ფუნტი.

რაც შეეხება სპორტულ შეჯიბრებებს, ფასის მიხედვით ყველაზე პრესტიჟულია მამაკაცთა შორის 100 მეტრზე გარბენი. ვისაც მძლეოსნობის ამ სახეობის ფინალის ნახვა სურს, 725 ფუნტი უნდა გადაიხადოს.




ზაფხულის თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის აღმასრულებელმა დირექტორმა **პოლ დეიტონმა** აღნიშნა, რომ ზოგიერთი შეჯიბრება ლონდონის ქუჩებში გაიმართება და მათ მაყურებელი უფასოდ იხილავს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა


როჯერმა და ენდიმ პრიზები გაინაწილეს

# ფედერერმა უბრძოლველად წააგო

შანხაის მასტერსის მთავარი პრიზი გუშინ შვეიცარიელ **როჯერ ფედერერსა** და ბრიტანელ **ენდი მიურეის** შორის ფინალში გათამაშდა. ორივე ჩოგბურთელმა დამაჯერებლად გაიარა წინა რაუნდები და სეტის წაუგებლად მიაღწია ფინალამდე. თუმცა შოტლანდიელის ბადე უფრო მარტივი იყო - მას ტოპათეულის არც ერთი წევრი არ შეხვედრია და ერთადერთი განთესილი მეტოქე მეოთხედფინალში ჰყავდა ფრანგი **ჟო-ვილფრიდ ცონგას** სახით. ფინალში თამაშის უფლება ენდიმ 41-ე ჩოგანის **ხუან მონაკოს** დამარცხებით მოიპოვა.

ამ მატჩში მიურეი აშკარა ფავორიტი იყო. არგენტინელი პირველად თამაშობდა მასტერსის ნახევარფინალში და მისთვის ესეც დიდ წარმატებად მიიჩნეოდა. მიურეიმ იოლად დაამტკიცა ფავორიტის სტატუსი. ბრიტანელმა მხოლოდ ერთხელ ანერვიულა საკუთარი თაყვანისმცემლები, როცა პირველი სეტში 4:1-დან მონაკოს დაწევის საშუალება მისცა. მაგრამ სამხრეთამერიკელმა ამისთვის იმდენად დიდი ემოციური და ფიზიკური ძალა დახარჯა, რომ ჩავარდნა დაეწყო და მიურეიმ მეორე ბრეიკით გაინაღდა სეტში გამარჯვება - 6:4.

მეორე პარტიის დასაწყისი პირველისგან ბევრით არ განსხვავდებოდა. ენდიმ დამაჯერებელი თამაშით ისევ მალე აიღო მეტოქის მოწოდება, ამჯერად საკუთარ თავს მოდუნების უფლება არ მისცა და 6:1 მოიგო.

გაცილებით დიდ ინტერესს იწვევდა მეორე ნახევარფინალი, რომელშიც როჯერ ფედერერი **ნოვაკ ჯოკოვიჩს** ხვდებოდა. ამ ჩოგბურთელების შეხვედრები მუდმივად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობს. საკმარისია გავიხსენოთ მათი ბოლო ორი მატჩი: ტორონტოში როჯერმა გადამწყვეტ სეტში 7:5 მოიგო, აშშ-ის ღია პირველობაზე კი ჯოკოვიჩმა ანალოგიური ანგარიშით აიღო მეხუთე სეტი.

შანხაის ნახევარფინალში გადამწყვეტი სეტის თამაში საჭირო არ გახდა, თუმცა მატჩმა გაამართლა მაყურებელთა იმედები. თავიდან ნოვაკი უკეთ თამაშობდა საკუთარ მოწოდებაზე, რადგან ფედერერი უფრო მძიმედ შედიოდა თამაშში. ამიტომაც გასაკვირი არ იყო, რომ სწორედ სერბმა მოიპოვა პირველი ბრეიკ-პოინტები მეოთხე გეიმში, მაგრამ საქმის ლოგიკურ დასასრულამდე მიყვანა არ მოხერხდა. პირველ სეტს ბრეიკის გარეშე მაინც არ ჩაუვლია და მისი ავტორი ფედერერი გახდა. მე-11 გეიმში ჯოკოვიჩმა უკანა ხაზიდან შეცდომა დაუშვა და საკუთარი გეიმი დათმო. ფედერერმა სეტზე წარმატებით ჩაიწოდა - 7:5.

დასაწყისი წაგებით განაწყენებულმა ჯოკოვიჩმა მეორე სეტის დასაწყისშივე წააგო საკუთარი მოწოდება. ამის შემდეგ სერბს დრო და დრო ლამაზი დარტყმები გამოსდიოდა, მაგრამ მის თამაშში შეცდომები უფრო ჭარბობდა. ამან როჯერს კიდევ ერთი ბრეიკი მოუტანა. ცოტა ხანში ჯოკოვიჩმაც იხეირა მეტოქის მოწოდებაზე, მაგრამ სერბმა მეტის გაკეთება ვერ შეძლო - 4:6. ფედერერი ზედიზედ მესამე მასტერსის ფინალში გავიდა: ტორონტოში მან მიურეისთან წააგო, ცინცინატიში კი ამერიკელი **მარდი ფიში** დაამარცხა.

■ ■ ■

შანხაის ფინალი მე-13 დაპირისპირება იყო მიურეისა და ფედერერს შორის. საგულისხმოა, რომ წელს ისინი მხოლოდ ფინალებში ხვდებოდნენ ერთმანეთს. ტორონტოს მასტერსამდე იყო ავსტრალიის ღიას გადამწყვეტი მატჩი, რომელიც ფედერერმა მოიგო. გუშინდელ მატჩამდე შვეიცარიელი წინ იყო პირად შეხვედრებში - 7:5. საყოველთაოდ ცნობილია, რომ როჯერისა და ენდის მატჩები ყოველთვის პრინციპულ ხასიათს ატარებს. რამდენიმე წლის წინ მიურეი არც ისე კორექტული ფრაზებით ლაპარაკობდა ფედერერის შესახებ, 2008 წლის შემაჯამებელ ტურნირში კი ყველაფერი გააკეთა შვეიცარიელის ჯგუფში დასარჩენად (ბრიტანელს ის გამარჯვება არაფერში სჭირდებოდა), მიუხედავად იმისა, რომ ნახევარფინალისთვის ძალები აღარ ეყო.

ამიტომაც გასაკვირი არ გახლდათ, რომ მიურეიმ ფინალი განსაკუთრებული განწყობით დაიწყო და მაშინვე გააკეთა ის, რაც ჯოკოვიჩმა ნახევარფინალში ვერ მოახერხა - ადრეული ბრეიკი. ენდიმ კარგად გამოიყენა ის ფაქტორი, რომ ბოლო დროს ფედერერი არც ისე კარგად ატარებს მატჩის დებიუტს. ამის შემდეგ როჯერმა მართალია მოუმატა, მაგრამ მის მოქმედებაში მაინც ბევრი წუნი იყო. განსაკუთრებით უჭირდა უკანა ხაზზე თამაში, რადგან გრძელ გათამაშებებს ვერ უძლებდა. მერვე გეიმში როჯერმა მაინც მიიღო ანგარიშის გათანაბრების შანსი, მაგრამ ორი ბრეიკ-პოინტი ვერ გამოიყენა. ეს ძვირად დაუჯდა შვეიცარიელს. მომდევნო გეიმში მიურეიმ ორჯერ ალაფრთოვანა პუბლიკა შემოხვეწილი დარტყმებით - პირველი ფორჰენდით, მეორეჯერ კი თითქმის აულებელ შემოკლებულ დარტყმას მიუსწრო. სწორედ ეს აღმოჩნდა ბოლო გათამაშება სეტში - 6:3.

მეორე პარტია ფედერერმა კარგად დაიწყო, მაგრამ საკუთარი უხეში შეცდომებით გაანიავა ორმაგი ბრეიკ-პოინტი. ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა მიურეის მორიგ მოწოდებაზე. როჯერი ძალიან მალე დაისაჯა ასეთი „ხელგაშლილობისთვის". მეოთხე გეიმში შოტლანდიელმა ბრეიკ-პოინტი მოიპოვა, რომელიც თითქოს იოლად მოიგერია ფედერერმა. მაგრამ აქ საქმეში ჩაერია მთავარი მსაჯი. მან როჯერის დარტყმის შემდეგ აუტი დააფიქსირა, არადა, ხაზის მსაჯი ჩუმად იყო. ვიდეოგამეორებამ კი აჩვენა, რომ ბურთი ოდნავ მაინც შეეხო ხაზს, ასე რომ, დაინიშნა გადათამაშება, რომელიც იმით დასრულდა, რომ განაწყენებულმა ფედერერმა შეცდომა დაუშვა და საკუთარი მოწოდება წააგო. შვეიცარიელი ველარ განეწყო საბრძოლველად და მიურეიმ მშვიდად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე - 6:2. საბოლოო სტატისტიკამ აჩვენა, რომ ფედერერმა არა მარტო „აჯობა" მეტოქეს უნებლიე შეცდომებით (30 18-ის წინააღმდეგ), არამედ აქტიური მოქმედებით მოპოვებული ქულებიც ნაკლები ჰქონდა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ენდიმ ბოლომდე დაჯაბნა მსოფლიოს მესამე ჩოგანი.

შანხაის წაგებით ფედერერმა ვერ შეძლო რაფაელ ნადალის დაწევა მოგებული მასტერსების რაოდენობით. ესპანელი 18 ტიტული აქვს, ფედერერს - 17. მიურეიმ კარიერაში მეექვსე მასტერსი მოიგო და ამ მაჩვენებლით ნოვაკ ჯოკოვიჩს გაასწრო.

ფინალში გასვლას ფედერერისთვის ერთი დადებითი მომენტი ჰქონდა - დღეიდან შვეიცარიელი რეიტინგში ისევ შეავიწროებს ჯოკოვიჩს და მეორე ადგილს დაუბრუნდება. ნოვაკს გაუჭირდება წლის ბოლომდე ზემოთ ასვლა, რადგან მას ტიტული აქვს დასაცავი პარიზის მასტერსზე, სადაც როჯერი შარშან მეორე წრიდან გავარდა.

**ATP**

**Masters**

შანხაი (ჩინეთი). ჰარდი

საპრიზო ფონდი: 3 249 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

ენდი მიურეი (ბრიტ, 4)-ხუან მონაკო (არგ) 6:4, 6:1; როჯერ ფედერერი (შვეიც, 3)-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2) 7:5, 6:4.

**ფინალი**

ენდი მიურეი (ბრიტ, 4)-როჯერ ფედერერი (შვეიც, 3) 6:3, 6:2.

გვერდი მოამზადა

**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**კალათბურთი**

| გერმანია | |
|---|---|
| სკაილაინერსი-ბრემერჰაფენი | 81:66 |
| მიტელდოიჩე-ტელეკომ ბონი | 73:56 |
| ბრაუნშვაიგი-ბამბერგი | 71:74 |
| არტლანდი-ჯაიანტსი | 91:68 |
| გისენი-ულმი | 88:81 |
| ტიუბინგენი-ბაიროიტი | 84:76 |
| ალბა-ლუდვიგსბურგი | 86:60 |
| გოტინგენი-ოლდენბურგი | 80:68 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| ბილბაო-რეალი | 73:75 |
| ვალენსია-ბარსელონა | 69:78 |
| სარაგოსა-გრანადა | 89:75 |
| მენორკა-ხირონა | 87:96 |
| კახასოლი-ალიკანტე | 65:49 |
| მანრესა-ვალიადოლიდი | 72:76 (ო) |
| ფუენლაბრადა-უნიკახა | 84:74 |
| ესტუდიანტესი-ხუვენტუდი | 66:77 |

| იტალია | |
|---|---|
| ტერამო-მილანი | 83:89 |
| ვანოლი-მონტეპასკი | 68:71 |
| ვარეზე-სკავოლინი | 87:78 |
| კაზერტა-ბიელა | 87:91 |
| ბოლონია-კანტუ | 68:66 |
| მონტეგრანარო-სასარი | 88:76 |
| რომა-ბრინდიზი | 86:61 |
| ბენეტონი-აველინო | 88:70 |

| საფრანგეთი | |
|---|---|
| ვილერბანი-სტრასბური | 67:82 |
| გრაველენი-შოლე | 88:52 |
| ჰავრი-შალონი | 64:72 |
| პუატიე-პარიზი | 63:75 |
| როანი-ტულონი | 98:76 |
| ვიში-ლიმოჟი | 72:58 |

**ჰოკეი**

| კჰლ | |
|---|---|
| ამური-აკ ბარსი | 1:1 |
| მეტალურგი (ნ)-ავანგარდი | 1:4 |
| სიბირი-ნეფტეხიმიკი | 3:2 |
| ბარისი-იუგრა | 4:4 |
| ტრაქტორი-ავტომობილისტი | 6:1 |
| დინამო (მ)-დინამო (რ) | 0:0 |

| ავსტრია | |
|---|---|
| ვილახი-ზაგრები | 7:1 |
| ოლიმპია-კლაგენფიურტი | 1:2 |
| ვენა-ალბა | 7:3 |
| ზალცბურგი-აკრონი | 8:1 |
| ლინცი-გრაცი | 2:1 |

| გერმანია | |
|---|---|
| ჰანოვერი-აისბარენი | 3:2 |
| ვოლფსბურგი-მიუნხენი | 5:1 |
| შტრაუბინგი-ნიურნბერგი | 3:6 |
| მანჰაიმი-კიოლნი | 3:2 |
| დიუსელდორფი-კრეფელდი | 3:1 |

| დანია | |
|---|---|
| როდოვრე-ფრედერიკშავნი | 1:1 |
| ჰერნინგი-ესბერგი | 4:1 |

| ნორვეგია | |
|---|---|
| სტიორნენი-ლილეჰამერი | 0:6 |
| ფრისკ ასკერი-სპარტა | 2:5 |
| სტორჰამარი-სტავანგერი | 7:4 |
| მანგლერუდი-ლორენსკოგი | 1:3 |
| რუსენბორგი-ვოლერენგა | 1:5 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| სკალიცა-სლოვანი | 5:1 |
| კოშიცე-ტრენჩინი | 6:2 |
| პოპრადი-ზვოლენი... | |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| სკალიცა-სლოვანი | 5:1 |
| კოშიცე-ტრენჩინი | 6:2 |
| პოპრადი-ბისტრიცა | 3:1 |
| მარტინი-ჟილინა | 5:4 |
| ზვოლენი-ნიტრა | 3:3 |

| ფინეთი | |
|---|---|
| ჰპკ-ჰიფკ | 6:2 |
| ილვესი-საიპა | 2:2 |
| კერპეტი-პელიკანსი | 4:4 |
| ტპს-იუვიასკიულა | 1:4 |
| ესეტი-ლუკო | 2:2 |
| იოკერიტი-ბლუზი | 3:2 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| სლავია-ბოლესლავი | 1:3 |
| ლიბერეცი-ლიტვინოვი | 2:2 |
| პლზენი-ტრშინეცი | 3:1 |
| კლადნო-ბრნო | 4:1 |
| კარლოვი ვარი-ბუდეიოვიცე | 1:1 |
| ვიტკოვიცე-სპარტა | 5:2 |

| შვეიცარია | |
|---|---|
| რაპერსვილი-ციურიხი | 3:1 |
| ბილი-სერვეტი | 3:3 |
| ბერნი-ლუგანო | 2:2 |
| ფრიბურგი-ცუგი | 5:1 |
| ლანგნაუ-ამბრი | 1:0 |

| შვედეთი | |
|---|---|
| შელეფტეო-სიოდერტალე | 2:0 |
| იურგორდენი-ფრიოლუნდა | 3:2 |
| ბრიუნასი-ლინჩოპინგი | 3:1 |
| მოდო-ჰვ71 | 5:1 |
| ტიმრა-აიკ | 1:4 |

**ჩოგბურთი**

| ATP. შანხაი | |
|---|---|
| ფედერერი-ჯოკოვიჩი | 7:5, 6:4 |
| მიურეი-მონაკო | 6:4, 6:1 |
| ფედერერი-მიურეი | 3:6, 2:6 |

| WTA. ლინცი | |
|---|---|
| ივანოვიჩი-ვინჩი | 6:3, 7:5 |
| პეტკოვიჩი-შნიდერი | 2:6, 6:4, 5:7 |
| ივანოვიჩი-შნიდერი | 6:1, 6:2 |

| WTA. ოსაკა | |
|---|---|
| ტანასუგარნი-ბარტოლი | 6:2, 7:5 |
| პეერი-დატე | 6:3, 6:7, 5:7 |
| დატე-ტანასუგარნი | 5:7, 7:6, 1:6 |

## TV პროგრამა

**18 ოქტომბერი. ორშაბათი**

**მზე**

**23:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ერკულესი-ვილიარეალი (LIVE).

**I არხი**

**23:00** არენა.

**რუსთავი 2**

**00:00** საფეხბურთო ღამე.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**06:30** იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ლეჩე.
**08:20** საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-ლილი.
**10:10** ბრაზილიის ჩემპიონატი. გუარანი-კორინთიანსი.
**12:00** ახალი ამბები.
**12:20** იტალიის ჩემპიონატი. ბარი-ლაციო.
**14:10** ესპანეთის ჩემპიონატი. სპორტინგი-სევილია.
**15:55** ახალი ამბები.
**16:10** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**17:10** გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-ბორუსია (მ).
**18:55** იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**19:50** საერთაშორისო პანორამა.
**20:55** გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**21:55** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:55** ესპანეთის ჩემპიონატი. ერკულესი-ვილიარეალი (LIVE).
**00:55** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**01:25** საფეხბურთო ღამე.
**01:55** 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**03:45** ესპანეთის ჩემპიონატი. ერკულესი-ვილიარეალი.
**05:35** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

**EUROSPORT**

**10:30** მძლეოსნობა. მარათონი. პოზნანი. პოლონეთი.
**11:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. ანა ივანოვიჩი-პატი შნიდერი. ლინცი. ავსტრია.
**13:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. მოსკოვი. რუსეთი. I დღე (LIVE).
**16:45** მულტისპორტი.
**17:00** ველოსპორტი. ლომბარდიის ტური. იტალია.
**18:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. მოსკოვი. რუსეთი. I დღე.
**20:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**20:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**22:00** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ჩემპიონთა ლიგა. აშშ.
**22:45** მულტისპორტი.
**23:00** პრო-რესტლინგი.
**00:25** მულტისპორტი.
**00:30** ბრძოლა წესების გარეშე.
**01:30** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**02:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**03:15** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბრიგსმა საავადმყოფოში დაასრულა

# რინგიდან საავადმყოფოში

## ვიტალი კლიჩკომ ქულებით მოუგო ასთმიან ამერიკელს

უკრაინელმა **ვიტალი კლიჩკომ** დაიცვა სუპერმძიმე წონაში WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. მან ჰამბურგში ქულებით დაამარცხა ამერიკელი **შენონ ბრიგსი**.

ვიტალიმ ვერ შეძლო მეტოქის ნოკაუტში გაგზავნა, თუმცა მის უპირატესობაში ეჭვი არავის შეჰპარვია. სამივე მსაჯმა გამარჯვება უკრაინელს მიანიჭა - 120:107, 120:105, 120:107. ახლა უფროსი კლიჩკოს ანგარიშზე 41 გამარჯვება და ორი მარცხი მოდის. შთამბეჭდავი სტატისტიკაა, თუმცა ჩემპიონის მომავალი კარიერა მაინც ბუნდოვანი ჩანს - სულ უფრო მცირდება ძმებ კლიჩკოებთან შეხვედრის მსურველთა რიცხვი.

■ ■ ■

39 წლის ვიტალისა და 38 წლის შენონის ბრძოლის შესახებ აგვისტოს შუაში გახდა ცნობილი. ამერიკელის მენეჯერმა **ივაილო გოტცევმა** ძალიან სწრაფად მიაღწია შეთანხმებას უკრაინელების პრომოუტერულ კომპანიასთან. საერთოდ, ბულგარელს კარგად გამოსდის თავისი მოკრივეებისთვის კლიჩკოებთან ჩხუბის „ჩაწყობა". სექტემბერში გოტცევის მეორე კლიენტი, ნიგერიელი **სამუელ პიტერი ვლადიმერ კლიჩკოს** შეხვდა და ფრანკფურტის რინგი საკაცით დატოვა.

ბულგარელი პრომოუტერის განმარტებით, მის მოკრივეებს არ აინტერესებთ კაბალური კონტრაქტები, რომელსაც K2 Promotions სთავაზობს. მათ, პირველ რიგში, საჩემპიონო ბრძოლაში მონაწილეობის პერსპექტივა ხიბლავთ. ამიტომაც იოლდება კლიჩკოებთან მოლაპარაკება. იგივე ბრიგსი - საკმაოდ ცნობილი მძიმეწონოსანია, რომელიც აქამდე არც ერთ კლიჩკოს არ შეხვედრია. შენონი დათანხმდა მოკრძალებულ ჰონორარს - 800 ათას ევროს, არადა, ის ყოფილი ჩემპიონია და ისეთ მოკრივეებთან უჩხუბია, როგორებიც არიან **ჯორჯ ფორმენი, ლენოქს ლუისი** და სხვები.

*„ძალიან ძლიერი პრეტენდენტის წინააღმდეგ მომიწევს რინგზე გასვლა, რომელიც უკვე იყო მსოფლიოს ჩემპიონი. ბრიგსი ამ მომენტისთვის ყველაზე ძლიერი მეტოქეა მსოფლიოში. ბევრ მოკრივეს არ სურს ჩემთან და ჩემს ძმასთან ჩხუბი. ამიტომაც მადლობელი ვარ შენონის, რომელმაც მიიღო ჩვენი წინადადება. ეს ნამდვილი ბრძოლა იქნება. რამდენიმე კვირა დავხარჯე მოსამზადებლად და ვფიქრობ, რინგს გამარჯვებული დავტოვებ"*, - განაცხადა ბრძოლის წინ ჩემპიონმა.

■ ■ ■

ბევრმა არ მოუწონა ბრიგს არჩევანი. მაგალითად, WBA-ის ჩემპიონმა, ბრიტანელმა **დევიდ ჰეიმ** მომავალ ბრძოლას „არაფრისმომცემი" უწოდა.

*„კლიჩკო დაამარცხებს ასთმით დაავადებულ შენონს, რომელსაც ბრძოლის წინ უბრალოდ ძალა აღარ ექნება. არ ღირს ამ ბრძოლისთვის დიდი მნიშვნელობის მინიჭება"*, - განაცხადა სკანდალური გამონათქვამებით ცნობილმა ჰეიმ. ამასთან, ვიტალის მორიგ შეთავაზებაზე ბრიტანელმა ისევ უარი განაცხადა.

თავად უფროსმა კლიჩკომ აღნიშნა, რომ ასთმა - კარგი საბაბი იქნება მისი მეტოქისთვის მოსალოდნელი დამარცხების გასამართლებლად.

*„ბევრი მოკრივე ვიცი, ვისაც ასთმა აწუხებდა, მაგრამ მაინც გახდა ჩემპიონი. ეს არ არის საშიში დაავადება და არ ღირს შენონისგან ინვალიდის შექმნა. გადახედეთ ბრიგსის კარიერას და მის ნოკაუტებს და მიხვდებით, რამდენად სერიოზული მეტოქეა ამერიკელი. მას დღემდე ერთ-ერთი უძლიერესი დარტყმა აქვს სუპერმძიმე კატეგორიაში. ყველაფერს გავაკეთებ ბრძოლის ვადაზე ადრე მოსაგებად, თუმცა მთელი დისტანციის გასავლელადაც მზად ვარ"*, - განაცხადა ვიტალიმ.

ბრიგსმა მეტოქეს ერთობლივ პრესკონფერენციაზე უპასუხა: *„ვიტალიმ თავი შეირცხვინა, როცა ასთმას მარტივი დაავადება უწოდა. ამერიკაში ასთმისგან ყოველდღიურად 13 ადამიანი იღუპება. არ მინახავს ამ ავადმყოფობით დაავადებული არც ერთი მძიმეწონოსანი, რომელიც ჩემპიონი გამხდარიყოს. ის ექიმია? ის, უბრალოდ, მასხარაა. კლიჩკო აქამდე „ტომრებს" ამარცხებდა. ნამდვილ მოკრივესთან საქმე არ ჰქონია, ამიტომაც ჯერ ვიტალის დავამარცხებ, შემდეგ კი მის ძმას მივხედავ".*

■ ■ ■

სიტყვიერი ომი ანონსის ტრადიციული ცერემონიის დროს გაგრძელდა. ბრიგსმა ყველაფერი გააკეთა უკრაინელის მწყობრიდან გამოსაყვანად, მაგრამ ვიტალის ერთი ზედმეტი მოძრაობა არ გაუკეთებია და ირონიულად იღიმოდა.

ბრძოლის დაწყების წინ, როცა **მაიკლ ბაფერმა** 14 500 მაყურებლის წინაშე წარადგინა მოკრივეები, შენონმა კლიჩკოს წინ ხტუნვა დაიწყო და მეტად სასაცილოდ გამოიყურებოდა. თუმცა ისიც აშკარად ჩანდა, რომ ამერიკელი ფორმაში იყო - მას არანაირი ზედმეტი წონა არ ჰქონდა.

თავად ბრძოლა იმ სცენარით წარიმართა, რომელიც ვიტალი კლიჩკომ თავის მწვრთნელ **ფრიც ზდუნეკთან** ერთად შეიმუშავა. პირველი რაუნდი ჩემპიონს საჭირო დისტანციის შესარჩევად დასჭირდა, თუმცა ერთხელ მაინც მოახერხა ორმაგი დარტყმის განხორციელება. მეორე რაუნდში უკრაინელი კიდევ უფრო გაიხსნა და ისე მოქმედებდა, როგორც საჭიროდ მიიჩნევდა. ბრიგსმა საკმარისად ბევრი დარტყმა გაატარა, მაგრამ უძლებდა და უკრაინელს ნოკდაუნის შანსი არ ჰქონია. მესამე რაუნდში ამერიკელი გააქტიურდა და რამდენჯერმე თავადაც მოარტყა ვიტალის. რაუნდი თითქოს ფრედ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ბოლოს კლიჩკოს შესანიშნავი მარჯვენა დარტყმა გამოუვიდა და ბრიგსი შეტორტმანდა. ამერიკელს გონგმა უშველა.

მეოთხე რაუნდის სტარტზე ვიტალის კინაღამ ძვირად დაუჯდა მოდუნება - მას დაავიწყდა, რომ წინ ედგა მოკრივე, რომელსაც თავისი ბრძოლების დიდი ნაწილი პირველ რაუნდში ნოკაუტით აქვს მოგებული. ამერიკელს მარჯვენა პირდაპირი დარტყმა გამოუვიდა და უკრაინელს უკან დახევამ მოუწია. ამ დარტყმამ ჩემპიონი გამოაცოცხლა - უფრო მობილიზებული და აგრესიული გახდა.

მეხუთე რაუნდიდან მოყოლებული კლიჩკომ ამერიკელის დამუშავება დაიწყო. უკრაინელი ბევრად აღემატებოდა მეტოქეს სისწრაფეში, დარტყმის სიზუსტის მხრივაც ყველაფერი წესრიგში ჰქონდა. მართალია, ზოგ ეპიზოდში ვიტალი სწორხაზოვნად მოქმედებდა და მისი კომბინაციები იოლად იკითხებოდა, მაგრამ ბრიგსი უკვე განწირული ჩანდა. მეშვიდე რაუნდში ჩემპიონმა ტემპი გაზარდა და შენონი რამდენჯერმე სასწაულებრივ გადაურჩა ნაქცევას.

ამერიკელის სეკუნდანტებს არ უცდიათ ბრძოლის ნაადრევად დასრულება. შენონი რინგზე ბრუნდებოდა დარტყმების ახალი პორციის მისაღებად. ბრიგსი იდგა, კლიჩკო ურტყამდა... საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ პრეტენდენტი რაუნდებს შორის შესვენებისას უკანალს ვერ უმიზნებდა სკამს.

მე-11 რაუნდში შენონმა ხელები ჩამოუშვა უკრაინელი ყოვლად დაუცველ მეტოქეს ურტყამდა და ამ სიტუაციაში, ამერიკელმა სასწაულებრივ უპასუხა მეტოქეს მოკლე მარჯვენა დარტყმით. ამის შემდეგ ჩემპიონი ფრთხილ ტაქტიკაზე გადავიდა. ბოლო რაუნდში ვიტალის ძალიან უნდოდა ნოკაუტით გამარჯვება, მაგრამ ძალა არ ეყო, თუმცა მისი გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა.

■ ■ ■

ბრძოლის დასრულების შემდეგ შენონ ბრიგსი აღფრთოვანებას ვერ მალავდა იმის გამო, თუ რა ბრწყინვალე მებრძოლთან მოუხდა ჩხუბი. *„ბევრი დიადი მოკრივის წინააღმდეგ მომიწია გამოსვლამ, მაგრამ ვიტალი საუკეთესოა. მისი დარტყმები უფრო მძიმეა, ვიდრე ფორმენის ან ლენოქს ლუისის. შემიძლია ვთქვა, რომ კარიერაში საუკეთესო ბრძოლა ჩავატარე. მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს მეტოქეს და მის გუნდს იმ დახვედრისთვის, რომელიც გერმანიაში მოგვიწყვეს"*, - განაცხადა ამერიკელმა.

*„დაჯერება მიჭირს, რომ ამდენი დარტყმის შემდეგაც მან წონასწორობა შეინარჩუნა და ბრძოლა ბოლომდე მიიყვანა. იყო მომენტები, როცა დარწმუნებული ვიყავი, რომ შენონის სეკუნდანტები რინგზე თეთრ პირსახოცს ისროდნენ. მაგრამ ის რინგზე ბრუნდებოდა და იბრძოდა. მეც ისლა დამრჩენოდა, მისი ცემა გამეგრძელებინა. ჩემი დღევანდელი მეტოქე დიდ პატივისცემას იმსახურებს"*, - განაცხადა კლიჩკომ.

თუმცა ბოლო რაუნდის დასრულებისთანავე უკრაინელს მოწინააღმდეგის მიმართ დიდი პატივისცემა არ გამოუხატავს. *„აბა, მიიღე თუ არა?"* - დაუყვირა ჩემპიონმა, შემდეგ რამდენიმე წრე დაარტყა რინგს და აშკარად უკმაყოფილო იყო იმით, რომ ამერიკელის ნაქცევა ვერ მოახერხა.

ბრძოლის შემდეგ შენონი საავადმყოფოში წაიყვანეს. *„ბრიგსს აუცილებელი გამოკვლევა სჭირდებოდა - მან რამდენიმე მძიმე დარტყმა მიიღო,* - განაცხადა ექიმმა **სტეფან ბოკმა**. - *ბრძოლის დროს ცუდად იყო, ფეხზე ძლივს იდგა, ამიტომაც გადავწყვიტეთ კლინიკაში გადაყვანა, რათა გამოგვერიცხა ტვინში სისხლის ჩაქცევა".*

ბოკის თქმით, მან უკვე მეათე რაუნდში შეატყო, რომ ბრიგსის მდგომარეობა კრიტიკულთან ახლოს იყო, მაგრამ ფედერაციის წესების თანახმად, არ შეეძლო ბრძოლაში ჩარევა იქამდე, სანამ რეფერი არ მოითხოვდა რინგზე ექიმის გამოძახებას.

Klichko Management Group-ის წარმომადგენელმა **ტომ ლეფლერმა** განაცხადა, რომ ბრიგსის მენეჯერმა და პრომოუტერმა ბრძოლის წინ სთხოვეს WBC-ის წარმომადგენელს, არ შეეწყვიტათ ბრძოლა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამერიკელი მძიმე დარტყმებს მიიღებდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**